ლიბერალი
№ 38 / 5 - 11 ივლისი / 2010

განაჩენი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე გვ. 26
ნინია კაკაბაძე: ტელეკრიტიკა გვ. 8
მარკ მალენი: ჯაშუშები ნიუ-ჯერსიში გვ. 16
მიხეილ „ათაგურჯი“ გვ. 29
ბრძოლა ხოდორკოვსკისთვის და მის წინააღმდეგ გვ. 19
მოოქროვილი ნაზარბაევი გვ. 21
მე-20 საუკუნეში დარჩენილი ბაგა-ბაღები გვ. 38
ენტონი შადიდის „ღამე ახლოვდება“ გვ. 41
რატი ამაღლობელი: ქართული ეპატაჟის დაბადება გვ. 44

ფასი 2 ლარი
ISSN 1987-7528
9 771987 752008

გვ. 12

"ბსუმს - ესე იგი უყვარხარ"

პოლიტიკური
ნინო ჟიჟილაშვილის
მაესტრო
შაბათი
21:00

ლიბერალი

№ 38 / 5 - 11 ივლისი / 2010

ანსამბლ „რუსთავის“ გამოსვლა, საქართველოს კულტურის დღეები ბერლინში, სექტემბერი 2009

ნომერში:

02 ფოსტა
04 მოკლედ
06 ფოტორეპორტაჟი
07 ვრცლად
08 **მედიაკრიტიკა**
აღმოვაჩინოთ ტელემედია ხელახლა
10 **ორი აზრი**
უნდა დააფინანსოს თუ არა კულტურა სახელმწიფომ?
მაგდა გურული vs ვახტანგ მეგრელიშვილი
12 **მთავარი თემა**
„გცემს - ესე იგი უყვარხარ“
16 **თვალსაზრისი**
ჯაშუშები ნიუ-ჯერსიში
მარკ მალენი
17 **ინტერვიუ**
თავისუფალი, მაგრამ რეგულირებული
გიორგი ქადაგიძე
მსოფლიო
19 ბრძოლა ხოდორკოვსკისთვის და მის წინააღმდეგ
21 **ყაზახეთი**
მოოქროვილი ნაზარბაევი
23 **თვალსაზრისი**
„რა ნომერია ევროპის ტელე-ფონი?“
მეზობლები
24 სომეხი ერი რობერტ კოჩარიანის წინააღმდეგ
კონფლიქტები
25 ნებისა და ლოგიკის უქონლობა
ჟურნალისტური გამოძიება
26 განაჩენი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე
საუბრები ლიბერალიზმზე
29 მიხეილ „ათაგურჯი“
ადამიანის უფლებები და სამართალი
31 მოქალაქეები ქვეყნის წინააღმდეგ
საზოგადოება
34 მაშინ, როცა რუკა ვერ ხდება ტერიტორია
განათლება
36 მარტო, „მაუსის“ პირისპირ
სკოლამდელი აღზრდა
38 მე-20 საუკუნეში დარჩენილი ბაგა-ბაღები
კულტურა
40 როგორ „გავაკეთოთ“ ევრო-კულტურული საქართველო
წიგნები
41 ენტონი შადიდის „ღამე ახლოვდება“
თვალსაზრისი
43 პოეტები და თალიბანი
ლაშა ბუღაძე
თვალსაზრისი
44 ქართული ეპატაჟის დაბადება
რატი ამაღლობელი
სპორტი
45 HUP HOLLAND HUP
სანდრო ნავერიანი
46 როცა ბრაზილიელი ხარ
გიო ახვლედიანი
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
48 ვაშა, მეტრომშენს!
კახა თოლორდავა

გარეკანზე:

„გცემს - ესე იგი უყვარხარ“

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

გუნდისტანი

როგორი დეგრადირების გზას დაადგა „მაესტროს“ საინფორმაციო: http://www.youtube.com/watch?v=wIloKHutrrY&feature=player_embedded ნახეთ ეს სიუჟეტი და დააკვირდით, თუ არსებობს განსხვავება „მაესტროს“ ამ სიუჟეტსა და „იმედის“ და „კურიერის“ შავ-პიარულ სიუჟეტებს შორის? ეროსი კიწმარიშვილმა ახალი „კურიერი“ შექმნა ეტყობა, სადაც ახალი ამბების ფორმატიდან ისევ გადაუხვია. მხოლოდ ჯერჯერობით მისი სამიზნე უფრო ყოფილ ალიანსში გაერთიანებული პოლიტიკური ძალები არიან. საინტერესოა, რომ მთავრობის თემების გაშუქებაზე ჯერჯერობით მშრალი ნიუსების ფორმატს ინარჩუნებენ, მაგრამ ესეც ალბათ დროებითია, ჯერ სხვების გაშავებით არიან დაკავებულები. აქვე ვიტყვი, რომ, ჩემი დაკვირვებით, ძველი „მაესტროს“ „უკომენტაროდ“ იყო ბევრად უფრო ახლოს საინფორმაციოს სტანდარტებთან – იყო მშრალი და ინფორმაციული ფორმატის, ვიდრე ის, რაც დაიწყო, განახლებული „მაესტროს“ ახალი ამბების ეთერში.

ანა, 29 ივნისი, 2010

ან თარგმანი ვერაა მთლად ზუსტი, ან მ-რი მალენი ვერ აყალიბებს აზრს თანმიმდევრულად (ბოლო ნაწილს ვგულისხმობ). ერთი-ორი საინტერესო მოსაზრებაა და ვეთანხმები ავტორს, რომ საქართველოში მეგობრის ინსტიტუტი სულ სხვაგვარია, ვიდრე ე. წ. ცივილიზებულ დასავლეთში და გამოიყენება როგორც დადებითი (ხელი შეუწყო გაჭირვებულ მეგობარს ფეხზე წამოდგომაში) ისე უარყოფითი მიზნით (გამოიყენო მეგობრობა პირადი გამორჩენისათვის). მაგრამ ისევ ბოლო ნაწილს დავუბრუნდებოდი – გვაჩვენოს ავტორმა ერთი დემოკრატი მაინც (შავგვრემანი კაცის ჩათვლით), რომელმაც ომის პირველივე დღეებში დაგმო რუსეთის მოქმედება... თუმცა ხოო, ომი ხომ ჩვენ დავიწყეთ? აბა, რატომ უნდა დაეგმო? მაკეინმა სიტყვით მაინც გამოხატა თანაგრძნობა და მიუხედავად იმისა, რომ მისი გვარის მანქანის ნომრად დაწერა სრულ ხიხოობად მიმაჩნია, მაგ კაცმა მაინც დაიკავა ცოტათი გამორჩეული ადგილი ჩვენთვის... ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის.

Solveig, 29 ივნისი, 2010

„ბოლო ხანებში ეს სიტუაცია, ჩემი აზრით, გამოსწორების გზაზეა და ამის მიზეზი ბოლო არჩევნებში ხელისუფლების წარმატებაა“. – რომელ წარმატებაზე საუბრობს ბატონი მარკი? მნიშვნელობა არ აქვს ამ „წარმატების“ უკან რა დგას? ან რა გაითვალისწინა, ან გამოასწორა ხელისუფლებამ? ის, რომ უფრო უკეთესად მოიფიქრა, როგორ „ჩაატაროს“ არჩევნები თავის სასარგებლოდ. ეს ხომ საკუთარი თავის მოტყუებაა. არ ვიცი, იცის თუ არა ბატონმა მარკმა, მაგრამ საქართველოში ანტიდასავლური განწყობილებები სამწუხაროდ ძალიან ძლიერდება. ეს იყო ყველაზე უფრო უსამართლო გარემოში ჩატარებული არჩევნები, რაც კი ჩატარებულა ბოლო წლებში და როდესაც ამერიკელები ან ევროპელები ამ არჩევნებს აქებენ, ანტიდასავლური განწყობილებები ძალიან იზრდება და საპასუხოდ, ძლიერდება ნაციონალისტური ან პრორუსული განწყობილებები.

solar, 29 ივნისი, 2010 წელი

გვჭირდება თუ არა ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო?

რაღაც უაზრო მემარჯვენეობა გაჩნდა საქართველოში – ყოვლად სულელური სქემებიდან გლეჯენ აზრებს და აბრახუნებენ წინ და უკუღმა. პრობლემა სამინისტროს შექმნა კი არაა, პრობლემა ისაა, რომ იდიოტი ჩაუყენეს მაგ სამინისტროს სათავეში. სამინისტროს შექმნა პრობლემა როგორ არ არის, სრულიად ზედმეტი სამინისტროა. რა სახელმწიფოს საქმეა ახალგაზრდობის მწყემსვა. ჯობია კერძო ბიზნესს შეუქმნან პირობები, რომ კულტურა და სპორტი დააფინანსოს. პრობლემაა, ჩვენი ფული ომის დროს გაქცეული გუბერნატორის დასაქმებას რომ ხმარდება, სხვა მიზანი ამ სამინისტროს არ აქვს. ვეთანხმები მოწინააღმდეგეს.

ვახტანგი, 28 ივნისი, 2010

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბექიშვილი** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი**
ჟურნალისტები: მაია წიკლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანაზიშვილი, ანიტა თვაური, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, რუსუდან რუხაძე, ნინო რობაქიძე, იაგო ყურაშვილი, ნათია გულიაშვილი, დავით ბუხრიკიძე
კონტრიბუცია: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, კახა თოლორდავა, გიო ახვლედიანი, ლაშა ბუღაძე, სანდრო ნავერიანი
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი **შალვა ჩუბინიძე** / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

რადიო „ნაცნობი“ გეპატიჟებათ კლუბში „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა

მისამართი: აბანოს ქ. N 3

"თბილავიამშენის" ახალი პატრონი

„თბილავიამშენი“, „სამხედრო სარემონტო-სამრეწველო კომპლექსის“ ჩამოყალიბების მიზნით, თავდაცვის სამინისტროს მფლობელობაში გადადის. სამინისტროში აცხადებენ, რომ ეს ინიციატივა თავად ავიამშენის ხელმძღვანელობას ეკუთვნის და „თბილავიამშენი“ საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდება. 2004 წელს ავიამშენი მისმა ხელმძღვანელობამ სახელმწიფოსგან გამოისყიდა 67 მილიონ აშშ დოლარად და დღეისათვის მისი აქციების 90 პროცენტის მფლობელი კვლავ ავიამშენის ხელმძღვანელობაა, ხოლო დანარჩენის – თანამშრომლები.

კომპანიის გენერალური დირექტორის, პანტიკო თორდიას თქმით, მათი ძირითადი დამკვეთი აქამდეც თავდაცვის სამინისტრო იყო და სწორედ ამან განაპირობა მათი გადაწყვეტილებაც. „ვიფიქრეთ, რომ ორივე მხარისთვის მომგებიანი იქნებოდა ერთობლივი მუშაობა“.

ერთობლივ პრესკონფერენციაზე კითხვის დასმის საშუალება ჟურნალისტებს არ მისცემიათ.

თურქეთი და ისრაელი

თურქეთმა ისრაელის თვითმფრინავებს საჰაერო სივრცე ჩაუკეტა. ეს აკრძალვა

თურქეთის მთავრობამ ისრაელის სპეცრაზმის მიერ „თავისუფლების ფლოტილიაზე“ შეტევის საპასუხოდ დააწესა. საჰაერო სივრცის დახურვის ვადის და სხვა დეტალების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. სამაგიეროდ, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრიუსელში თურქეთისა და ისრაელის მინისტრების აჰმეტ ჩავუშოღლუსა და ბენჯამინ ბენ ელიეზერის საიდუმლო შეხვედრა შედგა. ისრაელის სამხედრო რადიოს ცნობით, შეხვედრა ვაშინგტონთან შეთანხმებით მომზადდა. აშშ მის მოკავშირეებს შორის ურთიერთობის გაფუჭების გამო შეშფოთებულია. ეს პირველი მაღალი დონის შეხვედრაა ფლოტილიაზე თავდასხმის შემდეგ, რასაც 9 თურქი აქტივისტი შეეწირა. თურქეთს სურს, რომ ისრაელმა ბოდიში მოიხადოს და დათანხმდეს საერთაშორისო გამოძიების ჩატარებას.

თავდასხმა განმუხურეზე

ქართული პოლიციის საგუშაგოზე, რომელიც ოკუპირებულ სოფელ ოტობაიასთან მოსაზღვრე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში მდებარეობს, შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. ქართველ პოლიციელებზე თავდასხმა ოკუპირებული რეგიონიდან მოხდა – რუსი სამხედროები ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ისროდნენ. სროლის შედეგად მძიმედ დაიჭრა ქართველი პოლიციელი დავით ბეჭვაია, რომელიც ადმინისტრაციული საზღვრიდან 100 მეტრის მოშორებით საგუშაგოზე მსახურობს. დაჭრილი ვარაუდობს, რომ სნაიპერმა ესროლა, რის შემდეგაც მან საპასუხო ცეცხლი გახსნა.

აფხაზეთის მხრიდან სოფელ განმუხურის დაცხრილვა უარჰყო ოკუპირებული გალის რაიონის მილიციის უფროსმა ვადიმ ღვინჯიამ. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს აფხაზეთის განყოფილების წარმომადგენელი ვასილი მალაევი კი აცხადებს, რომ სოფელ ოტობაიასთან მდებარე საგუშაგოსთან ღამის 3-დან 4 საათამდე შუალედში სროლის ხმა მართლაც ისმოდა.

ჰისხვები

89 მინისტრი შეიცვალა ბოლო 7 წლის განმავლობაში საქართველოში.

25 წლის შემდეგ ლარი კინგი CNN-ის შოუს ტოვებს.

მეთერთმეტედ გამოცხადებული ნდობა

საქართველოს პარლამენტმა სამი ახალი მინისტრით დაკომპლექტებულ კაბინეტს ნდობა ბოლო 7 წლის განმავლობაში უკვე მეთერთმეტედ გამოუცხადა. მთავრობისა და მისი პროგრამისთვის უმცირესობას მხარი არ დაუჭერია. პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა დეპუტატებს განუცხადა, რომ მთავრობის „მიზნები და ამოცანები უცვლელია". მთავრობის პროგრამის სახელწოდებაც იგივე რჩება – „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე". გილაურის თქმით, პრიორიტეტს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა წარმოადგენს, „მშვიდობიანი, დიპლომატიური საშუალებით და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმის მაქსიმალური გამოყენებით". პრემიერი აცხადებს, რომ წელს ეკონომიკაში დადებითი ნიშნები უკვე გამოჩნდა და, ზომიერი პროგნოზით, 4,5-პროცენტიანი წლიური ზრდაა მოსალოდნელი.

მოსმენები პარლამენტში

პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ახალი საგადასახადო კოდექსის 267-გვერდიანი პროექტი. პროექტის განხილვაზე მისულმა ფინანსთა მინისტრმა დეპუტატებს მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ ამცნო, რომ დამატებითი ღირებულების გადასახადით არ დაიბეგრება პრესა, განათლების სისტემა და ჯანდაცვის აპარატურის მიწოდება. დღეს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით არც ერთი ეს სფერო დღგ-თი არ იბეგრება, მაგრამ კოდექსის თავდაპირველ პროექტში მათი დაბეგვრა გათვალისწინებული იყო. მესამე და საბოლოო მოსმენით კი საკანონმდებლო ორგანომ კიდევ ერთი საგადასახადო ამნისტიის შესახებ ინიციატივა მიიღო, რომელიც ნაციონალური და რეგიონული ტელევიზიების მიერ მარტამდე დაგროვილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას ითვალისწინებს. ტელევიზიებისთვის დაახლოებით 36 მლნ ლარის შეღავათის გაწევა, აქედან მხოლოდ ორი მილიონი ლარია რეგიონული ტელევიზიების დავალიანება. თუმცა რომელ და რამდენ ტელეკომპანიას რა კონკრეტული თანხა ჩამოეწერება, კანონპროექტში არ არის მითითებული, იმ მოტივით, რომ ეს ინფორმაცია „საგადასახადო საიდუმლოებას" წარმოადგენს.

სიტყვები



„უკრაინა სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელსაც აქვს უფლება თავად ამოირჩიოს მოკავშირეები. ნატო-ს კარი მათთვის ღია რჩება, მაგრამ გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღონ".

ჰილარი კლინტონი

2 ივლისი, კიევი

„თქვენ ებრძვით კანონიერ ქურდებს, მაგრამ ეს მინისტრები [ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი] ხომ არ არიან კანონიერი ქურდები თქვენს მთავრობაში?"

ლევან ვეფხვაძე

2 ივლისი, თბილისი

„პარლამენტში მთავრობა უფრო კომპეტენტურად უნდა წარდგეს, ეკონომიკური განვითარების მინისტრობის კანდიდატებმა კი საკანონმდებლო ორგანოს არა ესე, არამედ კონკრეტულ ციფრებზე გათვლილი გეგმა უნდა წარუდგინონ".

გურამ ჩახვაძე – პარლამენტარი

30 ივნისი, თბილისი

„მზად ვარ მუშაობისთვის დღითა და ღამით, შაბათსა და კვირას, რომ საქართველოში მუდმივად არ ისმოდეს: „გვეშველება რამე?", არამედ ვამბობდეთ: „რა გავაკეთო, რომ ჩემს შვილს უკეთესი მომავალი შევუქმნა".

ვერა ქობალია

29 ივნისი, თბილისი

10 ათასი პალმის სანაცვლოდ, ბათუმში ხეივანს არაბი შეიხის შეიხ ნაჰაიან მაბარაქ ალ ნაჰაიანის სახელი დაერქმევა.

350 მილიარდ აშშ დოლარს ჩადებს ამერიკა ინტერნეტ-ქსელის განვითარებაში.

ფოტო: გაზეთ ლიბერალი

ჩუსეთის 11 მეგობარი

მსოფლიო ინტერესით ადევნებს თვალს ამერიკაში რუსი აგენტების დაკავების ისტორიას.

ნათია ახალაშვილი

როდესაც ვიზიტით კმაყოფილმა მედვედევმა აშშ დატოვა, რუსეთში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 3 დღეში გამოძიების ფედერალური ბიურო რუსეთის 11 აგენტს დაიჭერდა. „ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, დაკავების მომენტი განსაკუთრებულად დახვეწილად იყო შერჩეული“, – ასეთი იყო ლავროვის პირველი განცხადება ჯაშუშების დაკავების შემდეგ. რუსეთის საგარეო უწყება ჯერ აშშ-ს განმარტებებს ელოდა. მოგვიანებით კი ამის გარეშეც განაცხადეს, რომ მზად არიან, შპიონაჟში ეჭვმიტანილ თავის მოქალაქეებს დაეხმარონ და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ მომხდარის შესახებ „ვრცელ ინფორმაციას“ არ ფლობენ.

ამერიკელი ოფიციალური პირების განცხადებით, ეჭვმიტანილების ამოცანა შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებთან კავშირების განვითარება და მოსკოვში სადაზვერვო ცნობების გადაგზავნა იყო. მათი ინტერესის სფეროს განეკუთვნებოდა სამხედრო საქმეები, საგარეო პოლიტიკა და კონგრესის საკითხები.

დაკავებულები სხვადასხვა შტატში ცხოვრობდნენ, ისე – როგორც ჩვეულებრივი ამერიკელები; ჰქონდათ ყალბი პასპორტები; ზოგი ოჯახური წყვილის სახით, ზოგიც მარტო საქმიანობდა. მათ ორი რამ ბრალდებათ – ფარულად მუშაობა უცხო სახელმწიფოსთვის და ფულის გათეთრება.

დაკავებული 28 წლის ანა ჩეპმენი ახალი თაობის შპიონია და სწორედ ის გახდა ამ ჯაჭვის შემკვრელი. 26 ივნისს ის შეხვედრაზე დათანხმდა გამოძიების ფედერალური ბიუროს იმ აგენტს, რომელიც თავს რეზიდენტურის თანამშრომლად ასაღებდა. მას შესაკეთებლად სწორედ ის ლეპტოპი გადასცა, რომლითაც რუსეთში შეტყობინებებს

აგზავნიდა. მისგან კი სხვა ჯაშუშისთვის გადასაცემი ყალბი პასპორტი მიიღო. მაგრამ ანამ ეს დავალება არ შეასრულა, გამოძიების ფედერალურ ბიუროში დარწმუნდნენ, რომ ანა რაღაცს მიხვდა და სწორედ ამის შემდეგ დაიჭირეს აშშ-ს სხვადასხვა შტატში ერთდროულად 10 აგენტი, რომლებსაც რამდენიმე წლის განმავლობაში უთვალთვალებდნენ. მეთერთმეტე ძებნილი კვიპროსზე დააკავეს და ის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შემდეგ მიიმალა.

აშშ-ში დაკავებული 8 ადამიანის საასამართლო უკვე გაიმართა. ორის – რიჩარდ და სინტია მერფების პროცესი კი გადაიდო. მოსამართლემ 250 ათასი აშშ დოლარი გირაოს გადახდის შემდეგ შინაპატიმრობაში მხოლოდ ერთი, ვიკი პელაესი გაუშვა, რომლის მეუღლემაც ჯაშუშობა დაკავებისთანავე აღიარა და ისიც დაადასტურა, რომ მისი აშშ-ში ცხოვრების ხარჯებს რუსეთი ფარავდა, კონკრეტულად კი დაზვერვის სამსახური. იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომ კვიპროსზე დაკავებული და გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებული რობერტ მეტსოსი მიიმალა, აშშ-ს სასამართლომ დანარჩენ ბრალდებულებს გირაოთი გათავისუფლებაზე უარი უთხრა.

ჯაშუშების დაკავებაზე რუსეთის რეაქცია საკმაოდ თავშეკავებულია. „ციხეში ჩასმული ადამიანების“ ბედით შეწუხებული პუტინი იმით შემოიფარგლა, რომ იმედი გამოთქვა, – ამ ფაქტით აშშ-სთან „ბოლო დროს მოპოვებულ პოზიტივს ზიანი არ მიადგებაო“.

სხვა დროს ასეთი შემთხვევებისას რეაქცია ყოველთვის სხვაგვარი იყო. მაგალითად, 4 წლის წინათ – როცა რუსეთის ჯაშუშები საქართველოში დაიჭირეს. თბილისიდან დაკავებული ოფიცრების დეპორტაცია რომ მიმდინარეობდა, სწორედ მაშინ გადაწყდა კრემლში საქართველოს ფინანსური, სატრანსპორტო და საფოსტო ბლოკადის დაწესების საკითხი და ელჩიც გაიწვიეს. პუტინი მაშინ ამბობდა, – საქართველოს ხელისუფლება ბერიას ტრადიციებს მიჰყვებაო.

აშშ-ს იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ 100-ზე მეტი დაშიფრული გზავნილი აქვთ, საიდანაც ირკვევა, რომ ჯაშუშებს კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან და ინფორმაციას მოსკოში, საგარეო დაზვერვის ცენტრში აგზავნიდნენ.

რუსეთისთვის როდის სჯობდა ჯაშუშების დაკავება – მედვედევის აშშ-ში ვიზიტამდე, ვიზიტის დროს, თუ მის შემდეგ? ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აშშ-ს არჩევანი რუსეთისთვის ყველაზე დამნდობი აღმოჩნდა. ახლა კი მათთვის მთავარია, პუტინის იმედი გამართლდეს და ამ ფაქტმა „გადატვირთვის“ რეჟიმში მყოფ რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებზე ზეგავლენა არ იქონიოს. ამის ფასად კი რუსეთი, როგორც ჩანს, მზად არის, საერთაშორისო სკანდალს, რუსული სპეცსამსახურების კრახსა და ფინანსურ დანაკარგებს შეეგუოს.

ალმოვაჩინოთ ტელემედია ხელახლა

ნინია კაკაბაძე

დიდი ხნის განმავლობაში გაზეთ „24 საათში“ მიმყავდა რუბრიკა „ტელეკრიტიკა“. ჯერ ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ გრანტის ფარგლებში, შემდეგ კი – დამოუკიდებლად. ერთი სიტყვით, მომწონდა ტელევიზიაზე დაკვირვება და წერა. გავიდა დრო და ჩემი ხმაურიანი ყუთის მიმართ სრული გაუცხოება გამიჩნდა, ერთგვარი ზიზღიც კი, და ყუთმაც დაკარგა ფუნქცია. მასთან დაბრუნება ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ნაბიჯი იქნება ჩემს არცთუ იმდენად ხანმოკლე ცხოვრებაში. მაშ ასე, ვაგრძელებ ან კიდევ ერთხელ ვიწყებ ტელევიზიის კრიტიკას და კიდევ ერთხელ ვრთავ ტელევიზორს.

ქართულ ტელევიზიას ხშირად აკრიტიკებენ, მაგრამ კრიტიკა ძირითადად პოლიტიკური თოქ-შოუების ან საინფორმაციო გამოშვებების მისამართით ისმის. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში მომავალში პოლიტიკური სტაბილურობაა მოსალოდნელი, ვფიქრობ, ახალი სატელევიზიო სეზონის მიმართაც მოთხოვნები გაიზრდება და ქართველი მაყურებელი არა მხოლოდ პოლიტიკოსების ოპონირების ყურებას, არამედ სხვა ტიპის სანახაობასაც მოითხოვს. უახლოესი 2 წლის განმავლობაში წინასაარჩევნო ისტერია მოსალოდნელი აღარ არის. ამიტომ, ჩვენი მიზანია, მოვისმინოთ და ვნახოთ არსებითი მსჯელობა, კამათი, სხვადასხვა პოლიტიკურ, სოციალურ თუ საზოგადოებრივ თემაზე.

აღარ დავიწყებ იმ ბანალობად ქცეული მიზეზებზე საუბარს, რის შედეგადაც ვერ, ან კი ძალიან ნელ ტემპში ვითარდება ქართული ტელევიზია. პირველ რიგშია არაპროფესიონალიზმი, ცენზურა, თვითცენზურა, გემოვნების დეფიციტი და გაუნათლებლობა. ამ მიზეზთა ყველაზე მტკივნეული შედეგია არა მდარე ხარისხის ტელევიზია, არამედ დანაშაულებრივი ელემენტების მატარებელი ტელემედია. ეთიკური ნორმების სრული უგულებელყოფა, ადამიანის უფლებების შელახვა, ქსენოფობიური რიტორიკა – ეს პრობლემები არა მხოლოდ მედიაშია, ეს პრობლემები საზოგადოებაშია და ამიტომ სწორედ ამაზე უნდა დავიწყოთ საუბარი.

თავის ერთ-ერთ პირველ გადაცემას სწორედ ტელევიზიას უძღვნის ეკა ხოფერია და სვამს კითხვას – რას უყურებს ხალხი? ხალხი უყურებს იმას, რასაც სთავაზობს სატელევიზიო მედია და არ არსებობს მაყურებელთა ჰომოგენური ერთობა, რომელიც ერთსა და იმავე სანახაობას ითხოვს. უმჯობესია ვიკითხოთ, რას გვთავაზობს მედია?!

საზოგადოებრივი ტელევიზია სწორედ ის ადგილია, სადაც ამგვარი კითხვები უნდა ისმოდეს და ამაზე უნდა მიდიოდეს მსჯელობა. პრობლემა კი ისაა, რომ ჩვენ არასწორად ვსვამთ აქცენტებს და არასწორი გზით მივდივართ. მაგალითად, საზოგადოებრივი ტელევიზიის ხელმძღვანელობის პრობლემაა, რომ ვერ

ელევა სატელევიზოო „ბრენდებს“. ყოველკვირეული (თუ ყოველდღიური არა) თოქ-შოუს არსებობა საზოგადოებრივ თემებზე აუცილებელია, მაგრამ არა იმისთვის, რომ „ფეისების“ ხათრით გადაცემას მაყურებელი ჰყავდეს, არამედ იმისთვის, რომ პრობლემა წარმოჩინდეს.

გადაცემა „აუდიტორიის“ პირველი ნაწილი მხოლოდ იმის მტკიცებას მიეძღვნა, რომ პრობლემა არ არის ტელესერიალების თუ სხვადასხვა გასართობი გადაცემის მაღალი რეიტინგი, პრობლემა არის მათი უალტერნატივობა. ქართულ სატელევიზიო სივრცეში არ არსებობს კარგი შემეცნებითი, საგანმანათლებლო გადაცემები, მედიაში არ საუბრობენ საზოგადოებრივ პრობლემებზე... და თუკი საუბრობენ, საუბრობენ ასე: ეკა ხოფერიას ერთ-ერთი სტუმარი, სადაც ის სატელევიზიო მედიაზე ლაპარაკობს, გადაცემა „სიმართლის დროს“ პროდიუსერია. თოქ-შოუს წამყვანს სმენია, რომ ამ გადაცემის მიმართ ხშირად ისმის პრეტენზიები და მის კონტექსტში ხშირად ლაპარაკობენ ადამიანის უფლებების

ხალხი უყურებს იმას, რასაც სთავაზობს სატელევიზიო მედია და არ არსებობს მაყურებელთა ჰომოგენური ერთობა, რომელიც ერთსა და იმავე სანახაობას ითხოვს.

შელახვაზე. „აუდიტორიის“ ერთ-ერთი სტუმარი, თეო ხატიაშვილი ამბობს, რომ როდესაც „სიმართლის დროში“ ჰომოსექსუალი, ლესბოსელი, ტრანსვესტიტი, წარმოშობით სომეხი თუ სხვა ნებისმიერი უმცირესობის წარმომადგენელი მოგვყავს, იმისათვის, რომ არ მოხდეს ქსენოფობიის ტირაჟირება, უნდა ვიყოთ მეტად ფრთხილები და კორექტულები. ამასთან დაკავშირებით ეკა ხოფერია სვამს კითხვას: „აი მესმის, მაგრამ დავუშვათ ის სტუმარი მოვიდა და ნუ, სჭირდებათ საინტერესო გმირი, და ის [გმირი] არის ან ის [ჰომოსექსუალი-ნ.კ.] ან ის [ლესბოსელი-ნ.კ.] ან ის [სომეხი- ნ.კ.] ან ის [ვთქვათ, იეღოვას მოწმე- ნ.კ.]... რა მნიშვნელობა აქვს. აი, აქ რას სთხოვთ თქვენ?“

ნათლად ჩანს, რომ წამყვანს არ ესმის, რაშია გადაცემა „სიმართლის დროს“ პრობლემა და ამიტომაც სვამს ამგვარ გაურკვეველ კითხვას. არ ესმის, რომ პრობლემა მარგინალური ჯგუფების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება და ამ დამოკიდებულების გამჟღავნებაა და არა ან იმის, ან იმის, ან იმის მოწვევა სტუდიაში. პრობლემაა, რომ გადაცემა „სიმართლის დროს“ წამყვანი ნანკა კალატოზიშვილი პიეტეტით ესაუბრება მხედრიონელ დოდო გუგეშაშვილს (ქართველი მებრძოლი ქალის ხატს) და დასცინის თეა თუთბერიძეს („მართლმადიდებლობის მტერს“). წამყვანი საზოგადოებაში არსებული კონიუნქტურის ტყვეობაშია და თავად არის ამ საზოგადოებისა და კონიუნქტურის შემქმნელი, სადაც ომის პროპაგანდისტი დოდო გუგეშაშვილი რევერანსებს იმსახურებს, ხოლო საკუთარი, თავისუფალი აზრის გამოთქმისთვის თეა თუთბერიძე – წამყვანის ქედმაღლურ, შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას.

უნდა ვისწავლოთ მედიისა და საზოგადოების პრობლემების აღმოჩენა და შემდეგ მათზე ადეკვატურად მსჯელობა. ვცადოთ ჩვენ, და დავიწყოთ საუბარი კონკრეტულ გადაცემებზე, მათ წამყვანებზე, გადაცემის სტრუქტურასა და შინაარსზე, ცალკეულ ჟურნალისტებზე, რეპორტაჟებზე და, რაც მთავარია, ვცადოთ, რომ დავსვათ სწორი აქცენტები, ამისთვის საჭიროა.... (იხილეთ მომავალი ნომრიდან)

ლიბერალი

გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი

ბეჭდური ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
22 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
45 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
90 ლარი

PDF ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
13 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
25 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
50 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვაწოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

მომხრე
მაგდა გურული
თანამედროვე ხელოვნების კურატორი



უნდა დააფინან
ხელისუფლებამ სახ

თუ ჩვენ შევთანხმდებით, რომ საქართველოში გვინდა კულტურის და ხელოვნების განვითარება, მაშინ, სახელმწიფოსგან დიდი თუ მცირე დახმარების გარეშე, ამის მიღწევა შეუძლებელია.

კულტურას სახელმწიფოს სუბსიდია სჭირდება. თუ ჩვენ შევთანხმდებით, რომ საქართველოში გვინდა კულტურის და ხელოვნების განვითარება, და თუ სახელმწიფოს აქვს კულტურის პოლიტიკა, მაშინ, მისგან დიდი თუ მცირე დახმარების გარეშე, ამ სფეროს განვითარება შეუძლებელია. საქართველო არის ღარიბი ქვეყანა, და მოსახლეობას არ აქვს იმდენი შესაძლებლობა, რომ კულტურამ მის ხარჯზე იარსებოს – თუნდაც ძვირად ღირებული ბილეთი შეიძინოს. ამ ფაქტორის გათვალისწინება ყველა სახელოვნებო დაწესებულებას უწევს.

მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ხელოვნების კერებსაც კი უჭირთ თავის რჩენა მხოლოდ საკუთარი შემოსავლებით, თუმცა მათ დაფინანსებაში ძალიან მცირე წილი აქვს სახელმწიფოს.

მაგალითად, ამერიკაში კულტურის დაფინანსებაში სახელმწიფოს წილი დაახლოებით 13%-ია (ამაში შედის ფედერალური, შტატის და ქალაქის დაფინანსება), თვითდაფინანსება – 40-44%, დანარჩენი კი ფონდების, კორპორაციებისა და ინდივიდუალური შემოწირულობებია. საქართველოშიც ასე უნდა მოხდეს. ეს დარგები ისე უნდა განვითარდეს, რომ მათ, თვითდაფინანსების ნახევარი თუ არა, 30-40%-ის თავად მოპოვება მაინც შეძლონ. მაგრამ ამგვარ განვითარებას ხელს ბევრი რამ უშლის.

პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ შეიცვალოს კანონმდებლობა კულტურის შესახებ. მეცენატობა უნდა გათავისუფლდეს დაბეგვრისგან. სწორედ ეს უწყობს ხელს ნებისმიერ ქვეყანაში კულტურის განვითარებას, რადგან შეძლებულ ადამიანებს მეტი მოტივაცია აქვთ, დააფინანსონ კულტურა. ეს მათი იმიჯისთვის არის სასარგებლო და მათთვის რეკლამაცაა, თან ამით ისინი გადასახადებისგან თავისუფლდებიან.

გალერეა არის კომერციული დაწესებულება, სადაც სახელმწიფო შეიძლება არ ჩაერიოს, გარდა იმისა, რომ ხელი შეუწყოს მის განვითარებას – მაგალითად, საგადასახადო შეღავათები მისცეს.

ქვეყანაში თანამედროვე ხელოვნების არსებობა დემოკრატიულობის განმსაზღვრელია, რადგან ის პროვოკაციულია. როგორც წესი, ის მკაფიოდ ასახავს ხოლმე სოციალურ პრობლემებს, და მისი განვითარების ხელშეწყობა იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ამ კრიტიკის მიღება შეუძლია.

ფოტო: ბარბარა ქორბაბეიძე

ნსოს თუ პრა ელმწიფომ?

■ სუბსიდირებული კულტურა და ხელოვნება ბუნებრივად გარდაიქმნება პროპაგანდის ინსტრუმენტად, რისი კარგი მაგალითიცაა საბჭოთა დროს კომუნისტური პარტიისადმი მიძღვნილი ხელოვნების შედეგები.

მოწინააღმდეგე
ვახტანგ მეგრელიშვილი
თავისუფალი ინსტიტუტის კვლევის ცენტრის დირექტორი

სახელმწიფო სუბსიდია ნიშნავს ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის ფულის იძულებით გამორთმევას, შემდეგ ადამიანების მცირე ჯგუფის შეხედულების შესაბამისად ამ ფულის განკარგვას.

გადაწყვეტილების მოტივად ასახელებენ ორ არგუმენტს:

1. ხალხს უნდა, მაგრამ გაჭირვების გამო ვერ იხდის „პროდუქტის“ ღირებულებას;

2. ხალხს არ ესმის „პროდუქტის“ საჭიროება და ამიტომ არ უნდა ფულის გადახდა.

იმ ადამიანებს, ვინც ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებას აძლევს თავს, მიაჩნიათ, რომ ხალხი საკუთარი თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების უნარს მოკლებულია და საჭიროა მათ ნაცვლად ფიქრი. ადამიანის თავისუფალი ნების შეზღუდვას არანაირი მოტივი არ ამართლებს. ასეთი ქმედება ამორალურია, ეს კი თეორიულადაც გამორიცხავს ნებისმიერი პროდუქციის ხანგრძლივვადიანი სუბსიდირებით პოზიტიური შედეგის მიღების შესაძლებლობას.

განსხვავებით სხვა სექტორების სუბსიდირებისაგან, კულტურისა და ხელოვნების სფეროში სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსების შედეგით ხალხის მცირე ნაწილი სარგებლობს. მწარმოებელი ორიენტირებულია კლიენტზე. შედეგად, მისი ამოცანა ხდება, დააკმაყოფილოს სახელმწიფოს მოთხოვნა. შესაბამისად, სუბსიდირებული კულტურა და ხელოვნება ბუნებრივად გარდაიქმნება პროპაგანდის ინსტრუმენტად, რისი კარგი მაგალითიცაა საბჭოთა დროს კომუნისტური პარტიისადმი მიძღვნილი ხელოვნების შედეგები. რა აიძულებს სუბსიდირებულ ხელოვნებას გახდეს პროპაგანდის ინსტრუმენტი? ადამიანის რაციონალური ბუნება – ნაკლები შრომით მიიღოს მეტი სარგებელი. მომხმარებლის სასურველი პროდუქტით მუდმივად მომარაგება რთულია, მომხმარებელი არ უწევს ანგარიშს რეჟისორის, მწერლის ან პოეტის წარსულ დამსახურებას. მას მინიმალურ ფასად მაქსიმალური ხარისხის პროდუქტი სჭირდება, რათა წარმოდგენის ნახვა ან მოთხრობების კრებულში ფულის გადახდა გადაწყვიტოს.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სახელმწიფოსგან ექსკლუზიური ფლობის ვალდებულებაც არ არის ერთმნიშვნელოვნად მისაღები. პროცესი სწრაფი ვერ იქნება, მაგრამ ძეგლების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესის დაწყება ერთი მხრივ ხელს შეუწყობს მათ შენარჩუნებას, მოვლა-პატრონობაში ფინანსურად დაინტერესებული მხარის მიერ, ხოლო მეორე მხრივ გამოათავისუფლებს სახელმწიფოს რესურსს ისეთი ძეგლების დროებით შესანარჩუნებლად, რომელთა მიმართ კერძო სექტორს ჯერ ინტერესი არ გააჩნია.

ხალხის და კულტურის ურთიერთობაში, ცნობილი გამოთქმის არ იყოს, მესამე ზედმეტია.

ილუსტრაცია სერგო ქირთაძე / წიგნის სახლ-ლუნგი

ძალადობა გენდერული ნიშნით

"ბსუმს - ესე იგი უყვარხარ"

საქართველოში ყოველი მესამე ქალი ფიქრობს, რომ თუკი მამაკაცი საკუთარ ცოლს სცემს, ეს ნორმალურია.

ნათია გულიაშვილი

„გააჩნია ცემის მიზეზს, შეიძლება, მან დაიმსახურა გალახვა. თუმცა, მარტო ვირს უნდა ცემა. თუ ქალზე ხელს აწევ, სახლიდანაც უნდა გაუშვა"... – ასე ფიქრობს ერთი საშუალო სტატისტიკური ქართველი მამაკაცი, რომლის პასუხიც, გაერო-ს მოსახლეობის ფონდის ბოლო კვლევის მიხედვით, ქართველ მამაკაცთა შორის ტენდენციაა.

დღეს რომ ასეთ შედეგს მივიღებდით, ამის ნიშნები ჯერ კიდევ 5 წლის წინათ გამოჩნდა, UNICEF-ის კვლევაში სათაურით – „ქალები, რომლებიც ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში ამართლებენ". მაშინ აღმოჩნდა, რომ ქმრისგან ცემას საქართველოში 15-დან 49 წლამდე ქალების თითქმის 7 პროცენტი ამართლებს. იმ ფონზე, რომ ეს მაჩვენებელი ეთიოპიაში, ზამბიასა და იორდანიაში გაცილებით უფრო მაღალი იყო – 81, 85.4 და 90%, საქართველოს მონაცემები მაშინ არც ისე კატასტროფული ჩანდა. თუმცა შეშფოთებისთვის დამატებით საფუძველს ქმნიდა თუნდაც ეს მონაცემი – იმავე წელს, მაგალითად უკრაინაში, ქმრისგან ცემას ქალების სულ 3,6 პროცენტი მიიჩნევდა ნორმად.

წელს, UNICEF-ის ანგარიშიდან 5 წლის შემდეგ ჩატარებულ კვლევაში ქალთა უკვე 34.1% ამართლებს ქმრის მიერ ცოლის ცემას, რაც მაშინდელ მონაცემზე 28 პროცენტით მეტია. ქალების ნაწილი დღეს მიიჩნევს, რომ ქმარი თუ ცოლს ღალატის გამო სცემს, ეს ნორმალურია, ზოგისთვის კი ქმრის ეჭვიანობაც საკმარისი მიზეზია.

პატრიარქალურ საზოგადოებებში ქალებს იმდენად საფუძვლიანად აქვთ ჩამოყალიბებული სტერეოტიპები საკუთარი როლის შესახებ, რომ კაცების მხრიდან დამამცირებელ მოპყრობას ჯერ კიდევ ბუნებრივად მიიჩნევენ. ეს კი მიუთითებს არა მხოლოდ იმაზე, რომ საქართველოში გენდერული ძალადობის პრობლემა მწვავედ დგას, არამედ იმაზეც, რომ ქალები პირველ რიგში საკუთარივე სტერეოტიპებისა და ცრურწმენების მსხვერპლნი არიან.

ალბათ, სწორედ ამიტომ ფიქრობენ ქართველი ქალები, რომ:

„მარტოხელა ქალი იმდენად ცოდოა, რომ თუ ქმარი ძალიან არ გცემს, ჯობია, მასთან და მის ოჯახთან დარჩე. გარდა ამისა, განქორწინებულ ქალს ყოველთვის გარკვეული სტიგმა დასდევს საზოგადოებაში“ (ციტატა კვლევიდან).

რაც შეეხება „ძალიან ცემის“ შემთხვევებს, ეს თემა ნებისმიერი კვლევის დროს ყველაზე რთულად გამოსავლენია, რადგან რესპონდენტთა მცირე ნაწილი თუ ბედავს, მკვლევრებთან ბოლომდე გულწრფელი იყოს და აუტანელი შეურაცხყოფის შესახებ ღიად ისაუბროს.

6.9% – ეს გამოკითხული ქალების ის ნაწილი იყო, რომელმაც გაერო-ს კვლევაში ქმრისგან მიყენებული ფიზიკური ძალადობა აღიარა. კიდევ უფრო მტკივნეულ თემაზე, სექსუალურ ძალადობაზე კი ქალების მხოლოდ 3,9% საუბრობდა.

„გაცილებით ადვილია თქვა, რომ ქმარი გიკრძალავს ოჯახთან, მეგობრებთან კონტაქტს, ვიდრე აღიარო, რომ ის გცემს, ან სქესობრივ კავშირს გაიძულებს, – ამბობს კვლევის ხელმძღვანელი მარინა ჩიტაშვილი, – ქალების 7 პროცენტი, რომელთაც ფიზიკური ძალადობა აღიარეს, მხოლოდ მცირე ნაწილია და წარმოდგენა არ გვაქვს, ამ მაჩვენებლის მიღმა კიდევ რამდენი ქალია დარჩენილი“.

ჩიტაშვილის თქმით, ფსიქოლოგიური ძალადობა, რასაც გამოკითხული ქალების მესამედი, ანუ 35% აღიარებს, იმდენად მაღალი მაჩვენებელია, რომ ამის ფონზე ფიზიკური ძალადობის მაჩვენებელი დაახლოებით 11-12% მაინც უნდა ყოფილიყო, რადგან, როგორც წესი, ფსიქოლოგიური ზეწოლა მხოლოდ წინაპირობაა „ძალიან ცემისთვის“. როგორც ჩანს, კვლევაში მონაწილე ქალები თავიანთ მთავარ სათქმელს და ტკივილს ინტერვიუების დროს გულმოდგინედ მალავდნენ.

კვლევის ავტორები აღნიშნავენ იმასაც, რომ გამოკითხული ქალების გულახდილი პასუხი დიდწილად იყო დამოკიდებული მათ საცხოვრებელ ადგილსა და ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზეც.

„გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ თუკი ქალი დაკავებულია და მუშაობს, ძალადობის პრობლემა მისთვის ავტომატურად იხსნება, მაგრამ კვლევამ აჩვენა, რომ საქმიანი ქალი ბევრად უფრო მარტივად იწყებს საუბარს საკუთარ პრობლემაზე და აგვარებს მას, ვიდრე – დიასახლისი“, – აცხადებს ჩიტაშვილი.

ისევე როგორც მსხვერპლი ქალები, ასევე მოძალადე მამაკაცები, როგორც წესი, ვერ აცნობიერებენ, რომ ბავშვობაში თავად გახდნენ მშობლებისა და საზოგადოების მსხვერპლი. კანადელი ექსპერტი მაიკლ კაუფმანი, რომელმაც ჯერ კიდევ 20 წლის წინ შექმნა მოძრაობა „თეთრი ლენტი“, იბრძვის იმისთვის, რომ

"ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში" ჩაატარა ბაეთო-ს მოსახლეობის ფონდმა 2009 წელს

გამოკითხულ ქალთა 35.9% აცხადებს, რომ მას აკონტროლებს მეუღლე/პარტნიორი

მათგან:

- 29.0% - პარტნიორი უკრძალავს საკუთარ ოჯახთან კავშირს;
- 11.6% - პარტნიორი აიძულებს მისგან აიღოს ნებართვა, ვიდრე ექიმს მიმართავს;
- 11.1% - პარტნიორი ბრაზდება, თუ მისი ცოლი სხვა მამაკაცს დაელაპარაკება;
- 5.5% - პარტნიორი ხშირად ეჭვიანობს და ღალატში დებს ბრალს;
- 4.0% - პარტნიორი არ აძლევს მეგობრებთან შეხვედრის საშუალებას;
- 3.9% - პარტნიორი იგნორირებას უკეთებს და გულგრილად ეპყრობა;
- 3.8% - სამსახური მიატოვა, რადგან მის ქმარს/პარტნიორს არ უნდოდა ემუშავა;
- 2.4% - პარტნიორი დაჟინებით მოითხოვს, მუდმივად იცოდეს, თუ სად არის იგი;
- 1.4% - ქმარი/პარტნიორი უკრძალავს შეხვედრებზე დასწრებას, ან რომელიმე ორგანიზაციაში მონაწილეობას.

მორჩილება

- 50.7% - კარგი ცოლი ქმარს უნდა უჯერებდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ეთანხმება;
- 44.9% - აუცილებელია, მამაკაცმა ცოლს/პარტნიორს კარგად დაანახოს, ვინ არის ოჯახის უფროსი;
- 16.0% - ცოლის მოვალეობაა ქმართან სქესობრივი კავშირი ჰქონდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ მომენტში თავად ეს არ სურს.

გამოკითხულ ქალთა 34.1% – ქმრის მიერ ცოლის ცემას გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს

თუ:

- 28.5% - მამაკაცმა გაიგო, რომ ქალი ღალატობს;
- 4.0% - მამაკაცი ეჭვობს, რომ ქალი ღალატობს;
- 3.1% - ქალი მამაკაცს არ ემორჩილება;
- 1.5% - ქალმა სახლის საქმე მამაკაცის მოსაწონად არ გააკეთა;
- 1.4% - ქალი უარს ამბობს სქესობრივ კავშირზე;
- 0.6% - ქალი ეჭვიანობს და ეკითხება მამაკაცს სხვა ქალი ხომ არ ჰყავს.

მამაკაცებიც აქტიურად ჩაერთონ ქალთა უფლებების დაცვისთვის ბრძოლაში. „ის, ვინც არ ამართლებს დისკრიმინაციას, მაგრამ ხმას არ იღებს, დანაშაულს ჩადის“, – განაცხადა მან საქართველოში ყოფნისას „ლიბერალთან“ საუბარში. მაიკლ კაუფმანის აზრით, „ოჯახის უფროსის“ როლი, რომელსაც უფლება აქვს, „ცოლი მოარჯულოს“, ბავშვებში პატარაობიდანვეა წახალისებული.

ოჯახური ძალადობა ჩაკეტილ წრედ მეორე კულტურული სტერეოტიპის გამოც რჩება – შინაურული პრობლემების გამომზეურება უღირს საქციელად ითვლება. სწორედ ასეთი დამოკიდებულების გამო, გამოკითხული ქალების თითქმის 80%-ს მიაჩნია, რომ ოჯახური პრობლეგიერთ პროტესტანტულ კულტურაში ხერხდება. მართალია, სასულიერო პირმა შეიძლება დაგმოს ძალადობის ფაქტი, მაგრამ საქართველოში, მართლმადიდებლური ეკლესიის მკვეთრად პატრიარქალური ბუნების გამო, გენდერული როლების არათანაბარი გადანაწილებით გამოწვეულ ძალადობის მიზეზებზე ეკლესიას მკვეთრი რეაქცია ვერ ექნება.

პირველი, ვინც ამ ახალი კვლევის შედეგებს უნდა მიაქციოს ყურადღება, სამთავრობო და საკანონმდებლო ორგანოებია. სტატისტიკა, ერთი მხრივ, ეფექტური ხერხია პრობლემის მიმართ მათი ყურადღების მოსაპოვებლად, მაგრამ მეორე მხრივ, საშიშროებასაც სწორედ რითვის წახალისება საჭიროა იმისთვის, რომ ერთი მხრივ ოჯახში ძალადობის შემთხვევები შემცირდეს, მეორე მხრივ კი, ყბადაღებული გენდერული ბალანსი დავიცვათ. ვიდრე ეს არ მოხდება, მუდამ ფიქციად დარჩება ქალთა და მამაკაცთა კონსტიტუციით აღიარებული თანასწორობა, რომელსაც ცრურწმენებით სავსე რეალობა იოლად ჩაანაცვლებს.

გაერო-ს მოსახლეობის ფონდის თვისობრივი კვლევის რესპონდენტი კახეთიდან:

„რატომაც არა, თუ ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი უფლებები აქვთ, მაშინ ქალებმა უნდა თოხნონ, მოუარონ ნახირს და, თუ საჭირო იქნება, ომშიც იბრძოლონ“.

ქართველი ქალები ფიქრობენ, რომ: „მარტოხელა ქალი იმდენად ცოდოა, რომ თუ ქმარი ძალიან არ გცემს, ჯობია, მასთან და მის ოჯახთან დარჩე. გარდა ამისა, განქორწინებულ ქალს ყოველთვის გარკვეული სტიგმა დასდევს საზოგადოებაში“.

მები, რომლებიც ცემითა და შეურაცხყოფით მთავრდება, მხოლოდ წყვილს შორის უნდა რჩებოდეს. შესაბამისად, ქალების 38%-ს არც ერთი ოჯახური კონფლიქტის დროს არავისთვის უთხოვია დახმარება. მშობლები, მეგობრები, პოლიცია, ექიმი და სულიერი მოძღვარი – მათ მხოლოდ უკიდურესი საფრთხის დროს მიმართავენ.

რეგიონებში კი სტერეოტიპების მსხვერპლნი არიან არა მხოლოდ რიგითი ქალები, არამედ ისინიც, ვისაც, წესით, პრობლემის გადაჭრა ევალება. კვლევის რაოდენობრივი ნაწილის ხელმძღვანელი, ნინო ჯავახიშვილი იხსენებს შემთხვევას, როცა ქმრისგან ნაცემმა ქალმა, ექიმისგან სათანადო დახმარების ნაცვლად, მორალისტური ქადაგება მიიღო. არადა, კვალიფიციური ექიმი ასეთი ინციდენტის დროს სათანადო კითხვებს უნდა უსვამდეს ქალს და ცდილობდეს, გაიგოს, რა არის მისი სხეულის დაზიანების ნამდვილი მიზეზი.

რაც შეეხება ეკლესიის როლს, პრობლემის მოგვარებაში მისი ეფექტურად ჩართულობა დღემდე მხოლოდ ზოცხვები ქმნის: საკითხით ზედაპირულად დაინტერესებული დეპუტატი ხშირად რიცხვებს იქით ვერაფერს ხედავს და ასეთ შემთხვევაში შეიძლება ისიც თქვას, რომ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი – 7 % – უმნიშვნელო მაჩვენებელია.

„როცა პრეტენზიაა ციფრების მასშტაბურობაზე, შეგვიძლია განვიხილოთ ორსულების თემა. კვლევის მიხედვით, 100 ორსულზე 2 ან 3 ქალი ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია. თუ ავიღებთ 2008 წლის მონაცემებს, როცა 57000 ქალი იყო ფეხმძიმე, ეს ნიშნავს იმას, რომ მინიმუმ 570 და მაქსიმუმ 1140 ქალი იყო ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ამ რიცხვებში იგულისხმება არა მხოლოდ დედა, არამედ ნაყოფიც, რომელიც ძალადობის პრობლემით იბადება“, – ჩიტაშვილი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია, ქვეყანა თვალს ხუჭავდეს და ამბობდეს, რომ წელიწადში საშუალოდ 1000 ასეთი ბავშვის დაბადება პრობლემა არაა.

კვლევამ დაადასტურა სახელმწიფოსგან კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობაც. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების ჩარ-

მოდერატორი: „უნდა აკეთოს თუ არა კაცმაც ქალის სამუშაო?“

მამაკაცი კახეთიდან: „როგორ, წარმოუდგენელია! კაცი ვერ გაზრდის შვილებს. ოჯახს მოვლა სჭირდება, სარეცხია დასარეცხი, სადილები მოსამზადებელი და ამ ყველაფერს კაცი ვერ გააკეთებს. იგი ვერ დარეცხავს სარეცხს, ეს მის გენეტიკაში არ დევს“.

შედარებისთვის, სქესთა ბალანსით, სრულფასოვნად რეალიზებული მოქალაქეებით და ცხოვრების მაღალი სტანდარტებით ცნობილ შვედეთში, წლევანდელი მონაცემებით, შვილის დაბადებისას დეკრეტულ შვებულებას მამაკაცების 85% პროცენტი იღებს. საქართველოში კი, სადაც ქალთა დისკრიმინაცია ყოველდღიურ სალაპარაკო ლექსიკაშიც კი ისეა გამჯდარი, რომ ქალის სოციალური სტატუსის შეფასებისას დამკვიდრებულ ანაქრონისტულ და სტერეოტიპულ გამოთქმებს, როგორიცაა გაუთხოვარი, გასათხოვარი, განათხოვარი, ყურადღებას არც კი ვაქცევთ, თანასწორობის შვედური ხარისხის მიღწევა კიდევ ათწლეულების განმავლობაში შეუძლებელია.

ყოველ სამუშაო დღეს, 17 საათზე, რადიოქალაქის პირდაპირ ეთერში საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „დღის თემა“ ნათია ორველაშვილთან ერთად

28 ივნისი - 2 ივლისის კვირის რეზიუმე

„ემოციების უფლება ადამიანს აქვს, როდესაც ის თავად აგებს პასუხს საკუთარ ემოციაზე და არავინ სხვა, მაგრამ როდესაც ემოციურ განცხადებებზე პასუხისმგებლობა უნევს სახელმწიფოს, როცა შენი ფრაზეოლოგიის გამო შენი თითოეული მოქალაქე აგებს პასუხს, როცა შეიძლება დაკარგო ტერიტორიები, დაკარგო გასაღების ბაზარი, შენ არ გაქვს ემოციური განცხადებების გაკეთების უფლება“.

ორშაბათი, 28 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასი“

„სირცხვილი მიხეილ სააკაშვილს, რომლის გამოც ოკუპირებულია საქართველოს ტერიტორიის 20%, დევნილია უამრავი ადამიანი. ახლა აცხადებს პრეზიდენტი, რომ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დაელაპარაკება რუსეთის ხელმძღვანელობას? მიხეილ სააკაშვილმა არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ნორმალურ ჩარჩოებში მოექცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და ახლა უსირცხვილოდ მიდის დიალოგზე წინაპირობების გარეშე “.

სამშაბათი, 29 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
ნესტან კირთაძე, „ლეიბორისტული პარტია“

„არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობას არ დაუდგენია, რომ პრეზიდენტი არ უნდა იყოს ემოციური. ჩვენ არ მოვუჩლექთ ენას ოკუპანტს და არ დაველაპარაკებით ღიმილით, რადგან რუსეთი არის დამპყრობელი, საქართველო კი მსხვერპლი. პრეზიდენტი რომ არ აკეთებდეს ასეთ ემოციურ განცხადებებს, მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, ეჭვი შემეპარებოდა ეროვნული ინტერესებისადმი მის ერთგულებაში“.

ოთხშაბათი, 30 ივნისი, რადიოქალაქი FM 101.9
ჩიორა თაქთაქიშვილი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

„საკრებულო სანოტარო ბიუროდაა გადაქცეული და მხოლოდ ბეჭდის დარტყმის ფუნქცია აქვს მერის და პრეზიდენტის გადაწყვეტილებებზე. როდესაც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები დაისმება საკრებულოს სხდომაზე, საკრებულოს გარეთ უნდა შეიკრიბოს ათეულობით ათასი ადამიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიციის მუშაობა არაეფექტური იქნება“.

ხუთშაბათი, 1 ივლისი, რადიოქალაქი FM 101.9
კობა დავითაშვილი, საკრებულოს წევრი

„ვერა ქობალიამ უფრო გონივრულად უნდა შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები. ჩემთვის უცნობია, რა კრიტერიუმით შეარჩიეს ის. თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს მომავალში პრემიერის პოსტზე შეიძლება ვიხილოთ ავთო ცქვიტინიძე, მინისტრებად კი სამოდელო სააგენტოს გოგონები“.

პარასკევი, 2 ივლისი, რადიოქალაქი FM 101.9
სოსო ცისკარიშვილი, ექსპერტი

რადიოქალაქის სტუდიის ტელეფონი: 920 977

ჯაშუშები ნიუ-ჯერსიში

კვირის ყველაზე სენსაციური ახალი ამბავი აშშ-ში რუსი აგენტების ქსელის გაშიფვრა იყო. არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება, თუ როგორ აღიქვეს ეს ამბავი ამერიკაში, რუსეთსა და საქართველოში.

მარკ მალენი

ისინი იყვნენ ათნი, და ათი წლის განმავლობაში იღებდნენ ბრძანებას, რომ გამხდარიყვნენ ამერიკელები და დამეგობრებოდნენ გავლენიან ამერიკელებს, რაც მათ მოახერხეს კიდეც. ალბათ იყო გრძელვადიანი ბოროტი მიზნებიც, მაგრამ ბოლო ათწლეულის მანძილზე ისინი უბრალოდ ცხოვრობდნენ როგორც ამერიკელები და ხანდახან წერდნენ ნაკლებად საინტერესო ანგარიშებს.

რუსეთის ნორმალური პასუხი იქნება ამის უარყოფა, მაგრამ ეჭვმიტანილებს 10 წლის განმავლობაში უთვალთვალებდნენ, სასამართლოს დოკუმენტები ინტერნეტში დევს (და ღირს მათი წაკითხვა), ერთი სიტყვით, ფაქტები სრულიად აშკარა და საკმარისია. აქედან გამომდინარე, არ მოგვეცა საშუალება, კრემლის იმედგაცრუებულ მოქმედებას დავკვირვებოდით – თუ როგორ უარყოფდა იმას, რაც ყველამ იცის, რომ მან ჩაიდინა. რუსულ პრესაში შეეცადნენ ფაქტის მნიშვნელობა დაეკნინებინათ და თქვეს, – დაჭერილი ადამიანები, უბრალოდ, „ჩვენი ლობისტები იყვნენო“. მართალია, რომ ისინი მოქმედებდნენ როგორც ლობისტები, მაგრამ ვინაიდან იმას მალავდნენ, რომ რუსეთის მთავრობისთვის მუშაობდნენ, ეს მათ უბრალოდ ჯაშუშებად აქცევს. ეს ყველაფერი ძალიან სასაცილოა. თუ რომელიმე მათგანი გულწრფელად იტყოდა, რომ რუსეთის მთავრობას ემსახურებოდა, ამერიკელებისგან მაინც იმავე პასუხებს მიიღებდნენ, რაც მიიღეს.

სინამდვილეში, ამერიკელები ამ ფაქტით შოკირებულები არ არიან, უფრო პირიქით – კარგად გაერთნენ, რადგან ეს აჩვენებს, თუ როგორი დაბნეულია კრემლი ამერიკით და თანამედროვე სამყაროთი. საბჭოთა დროის მთავარი პრინციპი ის გახლდათ – ვისაც მეტი ინფორმაცია ჰქონდა, ის უფრო ძლიერი იყო. ამის საფუძველს ის წარმოადგენდა, რომ ყველა, ან სულ მცირე ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანები მაინც, საიდუმლოებებს ინახავენ. აქედან გამომდინარე, საიდუმლო ინფორმაციები უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე საჯარო ინფორმაცია. გახსოვთ გამგებლების დახშული კარები, რომლებიც ხმას არ ატარებდა? ამერიკელები ასევე არ ფიქრობენ. ყველა, ვინც ამერიკელებს იცნობს, იტყვის, რომ მათ უყვართ ყველაფრის ხმამაღლა და დაწვრილებით თქმა. ჩვენ, ამერიკელები სწორედ ასე ვმოქმედებთ. ამერიკული აზროვნების წესი ის არის, რომ ყველას გააგებინო, რას ფიქრობ, რადგან კარგი ადამიანი ხარ და ყველამ უნდა იცოდეს, რომ ბოროტი მიზნები არ გაქვს. აქედან გამომდინარე, ყველას მოეწონები. ის იდეა, რომ ხმამაღლა რაღაცის თქმა შეიძლება საშიში იყოს, ამერიკელებისთვის გაუგებარია.

> **რუსი ჯაშუშების ამბავი კომიკურად გამოიყურება.** ყველაფერი, რაც მათ ამერიკაში გაიგეს, ინტერნეტით მოსკოვიდან გაცილებით უფრო იაფად იქნებოდა ხელმისაწვდომი.

ასე რომ, ამერიკაში რუსი ჯაშუშების ამბავი კომიკურად გამოიყურება. ყველაფერი, რაც მათ გაიგეს იმ გავლენიანი ადამიანებისგან, რომლებთანაც კონტაქტი დაავალეს, მათთვის ინტერნეტით მოსკოვიდანვე გაცილებით უფრო იაფად იქნებოდა ხელმისაწვდომი. სასამართლოს დოკუმენტების მიხედვით, ნათელია, რომ ამ ადამიანებს ეს გააზრებული ჰქონდათ. ისინი უბრალოდ ტკბებოდნენ თავიანთი ამერიკული ცხოვრებით. მათ უფროსებს მოსკოვში უბრალოდ ვერ წარმოუდგენიათ, როგორი გახსნილია ამერიკული საზოგადოება. თუ ამერიკას შეუძლია იყოს მდიდარი და წარმატებული ქვეყანა და ამავდროულად ასეთი გახსნილი, რას ამბობს ეს რუსეთის მთავრობის მმართველობის სტილზე?

საქართველოში ამგვარი აზროვნების კვალი კვლავ შეიმჩნევა. ყველა ჩემი ნაცნობი, ვინც რომელიმე NGO-ს ან ოპოზიციური პარტიისთვის მუშაობს, მიიჩნევს, რომ მათ ტელეფონებს უსმენენ. გარკვეული პერიოდის მანძილზე ისე ჩანდა, რომ ყოველ საღამოს ტელევიზიით გადმოიცემოდა იმ ადამიანის საიდუმლოდ ჩაწერილი საუბარი, რომელიც მთავრობას არ მოსწონდა. არ მიკვირს, რომ მთავრობა ხარჯავს დროსა და ფულს ამ საუბრების ჩაწერისთვის. მე მაკვირვებს, რომ ისინი ტელევიზიით გადაიცა. ეს ქვეყანაში არაჯანსაღ ტონს ამკვიდრებს. მთავრობა ამით ამბობს, – „დაიმახსოვრე, ჩვენ გისმენთ“. ამგვარი აზროვნების შედეგი მთავრობას უკანვე მიუბრუნდა, როცა „იმედის“ შოუს სკანდალი ატყდა. ყველას მიერ ყველას ჩაწერა იმის მუქარით, რომ ამ ჩანაწერს ტელევიზიით ან ინტერნეტით გაავრცელებენ, ისეთ საზოგადოებას ვერ წარმოშობს, რომელიც ჩვენ ყველას გვინდა. მთავრობამ მაგალითი უნდა მისცეს სხვებს. პირად, პოლიტიკურ და კომერციულ ცხოვრებაში საიდუმლოებები ყოველთვის საშიშია, და არამხოლოდ მაშინ, როდესაც ტელევიზიით გადაიცემა. საიდუმლოებებით ბავშვივით შეპყრობილი რუსეთი სულელურად გამოიყურება.

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

თავისუფალი, მაბრალ ჩებულიჩებული

ინტერვიუ ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან,
გიორგი ქადაგიძესთან

ივნისში ლარი დოლარის მიმართ 10-მდე ნიშნულით დაეცა. რატომ მოხდა კურსის ასეთი ვარდნა და რატომ გაძვირდა პროდუქტები?

ფოტო: ლევან ხარბედია

რა ვითარებაა სავალუტო ბაზარზე ახლა, როგორია ლარის კურსის ცვლილების ტენდენცია?

ივნისის დასაწყისთან შედარებით, დღეს ლარი გამყარებულია. სავალუტო ბაზარი სტაბილურია.

არსებობს ვალუტის კურსის რამდენიმე ძირითადი რეჟიმი – სრულიად მცურავი კურსი, ფიქსირებული და მართვადი, რომელიც ჩვენ გვაქვს და სადაც ეროვნული ბანკის მხრიდან ინტერვენცია ხდება მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიზნებით.

რადგან ჩვენ მცურავი კურსის სავაჭრო პოლიტიკა გვაქვს, ეროვნული ბანკი მხოლოდ იმ შემთხვევაში აწესებს ვალუტის ფიქსირებულ კურსს, როცა რყევა დიდია და ეკონომიკურ პროცესებს ემუქრება. სხვა შემთხვევაში, ლარის კურსს უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების პრინციპი არეგულირებს.

სრულიად მცურავი პოლიტიკა ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე ჯანსაღია, რადგან ქვეყანაში რომელიმე ვალუტის კურსს ადგენს არა ეროვნული ბანკი, არამედ უშუალოდ ვალუტის ყიდვა-გაყიდვის პროცესი, როგორც, ვთქვათ, ბაზარზე თავისით დგინდება პომიდვრის ღირებულება ფქვილთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში ბაზარი თავის თავზე იღებს საგარეო შოკებს.

სრულიად მცურავი სავალუტო პოლიტიკის ფუფუნება მხოლოდ დიდი ეკონომიკის ქვეყნებს აქვთ. პატარა ქვეყანაში, სადაც სავალუტო ბაზრები ჯერ კიდევ არ არის მთლიანად განვითარებული, ვალუტის კურსზე ნებისმიერი ინდივიდუალური შეთანხმება ზოგადად ბაზარზე ახდენს გავლენას. რეგულირების არარსებობის პირობებში არის რისკი, რომ ერთ დღეს კურსი 2,2 იყოს და მეორე დღეს – 1,8. ასეთი მერყეობა სერიოზულ საფრთხეებს უქმნის ეკონომიკის განვითარებასა და ზრდას.

ამიტომ, ჩვენთან ბაზრის ყოველდღიური ბრუნვის ანალიზის შემდეგ ეროვნული ბანკი ადგენს ლარის ოფიციალურ კურსს, რაც პრინციპში არის კიდეც ბაზრის ობიექტური კურსის ამსახველი.

რატომ გაუფასურდა ივნისის დასაწყისში ლარი დოლართან მიმართებაში?

განსაკუთრებული არაფერი მომხდარა – უნდა შევეჩვიოთ, რომ ვალუტის მცირე მერყეობა იქნება და ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ რაიმე ტიპის ფუნდამენტურ ეკონომიკურ პრობლემასთან გვაქვს საქმე.

ვალუტის კურსზე გავლენას ახდენს ქვეყანაში ფულის შემოდინება და გადინება.

2004 წლიდან უფრო მეტი უცხოური ვალუტა შემოდიოდა პირდაპირი ინვესტიციების სახით და შედეგად ერთ ლარზე სულ უფრო ბევრი უცხოური ვალუტა მოდიოდა. შესაბამისად, მყარდებოდა ლარი.

2008 წლის შემდეგ საქართველომ ერთდროულად რამდენიმე შოკი გადაიტანა – ომი, ფინანსური კრიზისი და 2009 წლის საპროტესტო აქციები. შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მართალია, უცხოური ფული გრანტების და დახმარების სახით შემოვიდა, მაგრამ ქვეყნის შიგნით ლარზე მოთხოვნა შემცირდა.

მიმდინარე წელს უცხოეთიდან 900 მილიონი დოლარის ოდენობის გზავნილია მოსალოდნელი, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციები – 700 მილიონის ოდენობით. შედარებისათვის, 2008 წლის მხოლოდ პირველ ნახევარში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მილიარდ 200 მილიონს შეადგენდა.

ახლა ნელ-ნელა სტაბილიზაციის გზას ვადგავართ. ლარის კურსზე გავლენას ახდენს სეზონური ფაქტორიც – თუ საქართველო ტურისტებს მოიზიდავს, ლარზე მოთხოვნა გაიზრდება და გამყარდება კიდეც.

მთავარი პრობლემა ის კი არაა, რომ ჩვენ უარყოფითი სავაჭრო ბალანსი გვაქვს – ანუ სხვაობა ფულის ექსპორტ-იმპორტს შორის, არამედ ის, თუ რა წყაროებიდან შეივსება ეს სხვაობა.

ჩვენი ამოცანაა, რომ შემოსულსა და გასულ ფულის მასას შორის ბალანსი დაცული იყოს. ამ ბალანსის შესანარჩუნებლად ეროვნული ბანკი ან შეისყიდის ბაზარზე ჭარბად არსებულ რომელიმე ვალუტას, დაარეზერვებს, ან პიქირით – მაქსიმალურად უშვებს მიმოქცევაში.

მაგრამ ბალანსი ვერ იქნება დაცული ყოველდღიურად. ივნისში, პირობითად, შეიძლება უფრო მეტი ფული გავიდეს ქვეყნიდან, ვიდრე ივლისში.

რა შემთხვევაში ჩაერევა ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზრის მუშაობაში?

თუ ქვეყანის ეკონომიკა ვერ ახდენს ბაზრის დაფინანსებას და ფული მუდმივად გაედინება, მაშინ ბალანსის აღდგენის უზრუნველსაყოფად უნდა შეიცვალოს კურსი. თუ ცვლილება იმდენად მასშტაბურია, რომ შეიძლება ეკონომიკურ სტაბილურობასაც შეუქმნას საფრთხე, მხოლოდ ამ შემთხვევაშია საჭირო ეროვნული ბანკის სერიოზული ჩარევა.

ომი იყო სწორედ ასეთი შემთხვევა, როცა ეროვნული ბანკი აქტიურად ჩაერთო სავალუტო ბაზრის მუშაობაში.

ჩვენთან დიდ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური ფაქტორი – საზოგადოების დამოკიდებულება გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ. როგორც წესი, ეს ემოციური მხარე გაცილებით დიდია, ვიდრე თავად მომხდარი ცვლილების ეკონომიკური შინაარსი. ამის შედეგად ომის შემდგომ კვირებში ჩვენი დეპოზიტების 10%-ზე მეტი დავკარგეთ – ადამიანებმა დაიწყეს ბანკებიდან ფულის გატანა. გაჩნდა უზარმაზარი მოთხოვნა დოლარზე. დაირღვა ბალანსი ფულის ექსპორტ-იმპორტს შორის.

ბანკებმა ამოწურეს დოლარის რეზერვი. ამიტომ ეროვნულმა ბანკმა მათგან შეისყიდა ლარები და სანაცვლოდ გასცა დოლარები. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეფიციტის გამო, გაძვირდებოდა დოლარი და გაუფასურდებოდა ლარი, ეს კი გამოიწყვევდა დამატებით პანიკასა და დეპოზიტების კიდევ უფრო გადინებას. მით უმეტეს, რომ ხალხს ძალიან კარგად ახსოვს „კუპონიზაცია“.

დღეს რითია მოქალაქე ლარის მკვეთრი გაუფასურებისგან დაცული?

ჩვენ გვაქვს დაახლოებით 2 მილიარდი დოლარის სავალუტო რეზერვი. ეს საქართველოს ეკონომიკისთვის და ბრუნვაში არსებულ ლარის მასასთან შედარებით, ადეკვატურია. ეს არის იმის გარანტია, რომ ყველაზე დიდი შოკის შემთხვევაშიც კი, შევძლებთ ჩვენს მოქალაქეებს მაქსიმალურად უმტკივნეულოდ მოვუგვაროთ პრობლემები.

რა თქმა უნდა, არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ შეიძლება მოხდეს რაიმე შოკი და მოსახლეობამ და ბიზნესებმა ეს საერთოდ ვერ იგრძნონ. ჩვენზე გლობალურ პროცესებს დიდი გავლენა აქვს, მაგრამ ეროვნული ბანკი საიმისო რესურსს ფლობს, რომ ყველაფერი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გადავიტანოთ.

ლარის კურსის დაცემისთანავე თითქმის ყველა სახის პროდუქტი გაძვირდა. რამდენად ადეკვატური და ობიექტური იყო ფასების ასეთი სწრაფი ზრდა?

კურსის ასეთი ტიპის მერყეობა არაა ფასების ზრდასთან პირდაპირ კავშირში. ფასების ზრდა, ანუ ინფლაციური პროცესი, დამოკიდებულია ფულის მასაზე – რაოდენობაზე. კურსის ცვლილება კი არ ცვლის ფულის მასას.

თუ ლარი უფასურდება დოლარის მიმართ და მყარდება ევროს მიმართ, ეს ნიშნავს, რომ დოლარით ნაყიდი პროდუქცია უნდა ჩაანაცვლოს ევროთი ნაყიდმა. ასეთ დროს ფასები იზრდება იმ სექტორში, სადაც ყველაზე ნაკლები კონკურენციაა. იქ კი, სადაც კონკურენცია არაა, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სპეკულაციას.

ის, რაც მოხდა ჩვენს ფარმაცევტულ ბაზარზე, კარტელური გარიგებაა. დიდ მოთამაშეებს შორის გარიგების საფუძველზე, მედიკამენტზე ფიქსირებული ფასი დაწესდა. როგორც კი კურსმა აიწია, მეორე დღესვე მედიკამენტები ახალი კურსით დაიანგარიშეს.

საქართველოს ბაზარზე სამი კატეგორიის მედიკამენტი იყიდება – ადგილზე წარმოებული, რაზეც დოლარს ძალიან მცირე გავლენა აქვს, ევროთი ნაყიდი, რომელზეც დოლარის გამყარება საერთოდ არ უნდა ასახულიყო და მესამე – წამლები, რომლებიც დოლარითაა ნაყიდი.

თუ კურსი პირობითად უფასურდება, ვთქვათ 10%-ით, შესაძლოა, ოდნავ გაძვირდეს მხოლოდ ის მედიკამენტები, რომლებიც შემოტანილია და ნაყიდია დოლარით. არადა, ჩვენთან კურსის 10%-იან ცვლილებას მედიკამენტების ფასის 30%-ით მომატება მოჰყვა.

რა კავშირშია ვალუტის კურსის ცვლა ინფლაციასთან და რა ტენდენციაა ამ მხრივ დღეს?

მაგალითად, განვიხილოთ ასეთი სიტუაცია – 10 ლარით ვყიდულობდით 5 ლარის კარაქს, 3 ლარის შაქარს და 2 ლარის პურს. თუკი აღმოჩნდება, რომ ფასი მხოლოდ ერთ პროდუქტზე გაიზარდა და ამიტომ იმავე 10 ლარით მხოლოდ კარაქის და პურის ყიდვაღა შეგიძლია, ესე იგი, ის ვალუტა გაძვირდა, რომლითაც შაქარი შემოჰქონდათ. მაგრამ, თუ ფასები ყველა პროდუქტზე პროპორციულად გაიზარდა, ესე იგი, გვაქვს ინფლაცია.

ფასების სტაბილურობა ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა. მაისის თვის მონაცემებით, ინფლაციის მაჩვენებელი წლიურად 4,0%-ია.

დღეს ეროვნული ბანკის ამოცანაა 2012 წლამდე ინფლაციის 6%-იან ნიშნულზე სტაბილიზება. ეს სავსებით რეალური და შესაძლებელია. მაღალი ინფლაციის საფრთხე ამ ეტაპზე არ არსებობს.

ესაუბრა ნინო გოგუა

რუსეთი

ბრძოლა ხოდორკოვსკისთვის და მის წინააღმდეგ

ხოდორკოვსკის პიროვნება რუსეთის უახლეს ისტორიაში კიდევ ერთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს – მას პუტინსა და მედვედევს შორის ფარულ, თუმცა აშკარა დაპირისპირებაში, შესაძლოა, გადამწყვეტი როლი ერგოს.

ოლგა ალიონოვა, მოსკოვი

მიხაილ ხოდორკოვსკის პროცესი

მიხაილ ხოდორკოვსკის საქმე კვლავ შიდაპოლიტიკური სკანდალების ცენტრშია. რუსმა სენატორებმა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ისეთი შესწორებები შეიტანეს, რამაც პრეზიდენტის მიერ მანამდე შეტანილი შესწორებების ეფექტურობა გააუფასურა. ეს შესწორებები ითვალისწინებდა სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ პირთათვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლას გაუსვლელობის ხელწერილით. სხვადასხვა ინფორმაციით, სენატორებმა ეს სარისკო ნაბიჯი პრემიერ პუტინის ზეგავლენით გადადგეს. პუტინს უბრალოდ არ შეუძლია დაუშვას მისი პირადი მტრის – ხოდორკოვსკის გათავისუფლება.

უახლოეს ხანში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ახალი კანონპროექტის მოსმენა გაიმართება. ამ პროცესს შეიძლება პუტინსა და მედვედევს შორის გამართული ბრძოლა ეწოდოს.

ჯერ კიდევ 2005 წლის იანვარში, როდესაც „იუკოსის“ საქმის ძირითადი პროცესი მიმდინარეობდა, გენერალურმა პროკურატურამ ნავთობის კომპანიის ექს-ხელმძღვანელ მიხაილ ხოდორკოვსკისა და „მენატეპის“ ჯგუფის ხელმძღვანელ პლატონ ლებედევის წინააღმდეგ ახალი საქმის აღძვრის თაობაზე განაცხადა. მათ ბრალად ედებოდათ 892 მილიარდი რუბლის ღირებულების ნავთობის მოპარვა და მისი გაყიდვის შედეგად მიღებული სახსრების ლეგალიზება. ამ დროისთვის ხოდორკოვსკი და ლებედევი უკვე იხდიდნენ პირველი საქმისთვის მისჯილ 8-წლიან სასჯელს.

პროცესი 2009 წლის 3 მარტს დაიწყო. 2010 წლის დასაწყისისთვის ბრალდებამ დაასრულა მტკიცებულებათა წარდგენა, და სიტყვა დაცვამ აიღო.17 მაისს ხოდორკოვსკიმ პროტესტის ნიშნად უვადო შიმშილობა გამოაცხადა, მისი პატიმრობის ვადის 17 აგვისტომდე გაგრძელების გამო. შიმშილობა ორ დღეში შეწყდა. როგორც ჩანს, ხოდორკოვსკი არც გეგმავდა შიმშილით თავის მოკვლას. მან თავის მიზანს მიაღწია: რუსეთსა და დასავლეთში ლიბერალური საზოგადოება იმაზე ალაპარაკდა, რომ სასამართლო ორგანოები პრეზიდენტ მედვედევის იმ ბრძანებულების საბოტაჟს ეწევიან, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ბრალდებულთა დაპატიმრება იკრძალება. ეს რევოლუციური ცვლილებები კანონში, დმიტრი მედვედევის ინიციატივით, ჯერ კიდევ ამა წლის აპრილში შევიდა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაციას ბიზნესისა და მთლიანად საზოგადოების მხრიდან მხურვალე მხარდაჭერა ჰქონდა. პრეზიდენტის შესწორებებს ახლდა კიდევ ერთი ასპექტი, რომელზეც ცოტას ლაპარაკობდნენ, თუმცა ეს საკითხი ყველა ლიბერალურ სივრცეში განიხილებოდა: კანონმდებლობის ლიბერალიზაცია დაპატიმრებულ ხოდორკოვსკის თავისუფლებას უქადდა.

მოსკოვში დიდი ხანია, დადის ჭორი, რომ მედვედევს ძალიან აღიზიანებს ხოდორკოვსკისთან დაკავშირებით შექმნილი სიტუაცია. დასავლეთში, სადაც მედვედევი გარკვეული ქულების დაგროვებას ცდილობს, ხოდორკოვსკის პოლიტიკურ პატიმრად სისუსტის დემონსტრაცია. სწორედ ამიტომ, ვლადიმირ პუტინი ყველაფერს გააკეთებს, რომ ხოდორკოვსკი ციხეში დატოვოს.

ეს თეზისი ჯერ კიდევ 14 მაისს დადასტურდა, როდესაც მოსკოვის ხამოვნიჩესკის სასამართლომ ხოდორკოვსკის თავდებით გათავისუფლებაზე უარი განაცხადა და მას პატიმრობაში ყოფნა იმის საფუძველზე გაუხანგრძლივა, რომ მან დანაშაულები არასამეწარმეო საქმიანობის სფეროში ჩაიდინა. შიმშილობა, რომელიც ხოდორკოვსკიმ 17 მაისს გამოაცხადა, უფრო მეტად ერთ მიზანს ისახავდა: ხმა მიეწვდინა მედვედევისთვის, ეჩვენებინა მისთვის, თუ როგორ სრულდება მისი ბრძანებები ადგილებზე. შიმშილობის ირგვლივ შექმნილი აჟიოტაჟის გათვალისწინებით, შეუძლებელი იყო პრეზიდენტს მისი მიზეზი არ შეეტყო. თუმცა, 22 მაისს მოსკოვის საქალაქო სასამართლომ ხამოვნიჩესკის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე პრეზიდენტ მედვედევის რეაქცია ცნობილი არ არის. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ რეაქცია მაინც იყო. ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ პრეზიდენტი საკმაოდ გაბედულადაა განწყობილი – ამაზე მეტყველებს თუნდაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ვიაჩესლავ ლებედევის გამონათქვამები, რომელიც ცნობილია მედვედევისადმი ლოიალურობით. ხოდორკოვსკის საქმის კომენტირებაზე ლებედევმა უარი განაცხადა, თუმცა პატარა, მაგრამ არსებითი რეპლიკა მაინც გააკეთა: „კანონის ახლებური რედაქციის გამოყენებისას მისი სამართლებრივი ასპექტებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და არა – მდიდრისადმი ღარიბის რევოლუციური სიძულვილით“. ამ ფრაზის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ქვეყნის პოლიტიკური ნება ხოდორკოვსკის მხარესაა.

თუმცა, საკუთარი თავისთვის საფრთხის არიდების მიზნით, სამართალდამცავებმა სხვადასხვა ზომებს მიმართეს: ხოდორკოვსკის შიმშილობიდან ზუსტად ორი კვირის შემდეგ რამდენიმე რუსმა სენატორმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესწორებების პროექტი შეიტანა. ამ პროექტის მიხედვით, თავად სიტყვა „მეწარმეობის“ გაგება იცვლებოდა. პროექტში აღნიშნული იყო, რომ, ახალი კანონმდებლობით, პატიმრობა ასცდება მხოლოდ „იმ მოქალაქეებს,

■ თავისუფალი ხოდორკოვსკი – ეს არის მედვედევის სიძლიერისა და პუტინის სისუსტის დემონსტრაცია. სწორედ ამიტომ, ვლადიმირ პუტინი ყველაფერს გააკეთებს, რომ ხოდორკოვსკი ციხეში დატოვოს.

მიიჩნევენ. ეს მისი დისკრედიტაციაა დასავლეთის წინაშე და იმ რუსების თვალშიც, ვისაც სწამს, რომ „მედვედევი პუტინი არ არის“. ამავე დროს მსხვილი ბიზნესი, რომელიც თავის იმედებს პუტინზე ბევრად უფრო ლიბერალურ მედვედევს უკავშირებს, დარწმუნებულია, რომ ხოდორკოვსკი უნდა გათავისუფლდეს: ამით ბოლო მოეღებოდა რუსეთის ხელისუფლების მისამართით დასავლელი პოლიტიკოსების და სამართალდამცავების ბრალდებებს. ასევე გარკვეულ გარანტიებს მისცემდა საერთაშორისო ბიზნესს, რომლისთვისაც რუსეთი უფრო მიმზიდველ სივრცედ იქცეოდა, ვიდრე დღესაა.

და ბოლოს, ხოდორკოვსკის გათავისუფლება იქნებოდა პრეზიდენტ მედვედევის დამოუკიდებლობის აღმნიშვნელი ძლიერი ნიშანი, რომელსაც დღემდე პუტინის ხელისუფლების სისტემის ნაწილად მიიჩნევენ. ანუ თავისუფალი ხოდორკოვსკი – ეს არის მედვედევის სიძლიერისა და პუტინის

რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან და არ არიან იურიდიული პირები და სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვთ როგორც ინდივიდუალურ მეწარმეებს“.

აღსანიშნავია, რომ ამ კანონპროექტის ავტორთა შორის ბევრია სამართალდამცავი ორგანოების მუშაკი. ძნელია იმის მტკიცება, რომ ეს ადამიანები ვლადიმირ პუტინთან უშუალო კავშირში არიან და მის მითითებებს ასრულებენ, თუმცა იმაში ეჭვი არავის ეპარება, რომ ამ სენატორების ინიციატივა ასახავს მთელი სამართალდამცავი სისტემის განწყობას, რომელიც მედვედევის მოქმედებებით დაშინებულია და გაბრაზებული.

უახლოეს ხანებში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გადამწყვეტი თუ არა, ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი შერკინება მოხდება: თუკი დეპუტატები სენატორების შესწორებებს მიიღებენ, ეს დმიტრი მედვედევის მორიგი მარცხი იქნება.

ყაზახეთი

მოოქროვილი ნაზარბაევი

ნაზარბაევი შეიძლება ახალი დენ სიაოპინი გახდეს, რომელიც პრეზიდენტის პოსტს კი დატოვებს, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ყაზახეთის მმართველი იქნება.

თამარ კაკაბაძე

ნურსულთან ნაზარბაევი

მისი სიცოცხლის ხელყოფა ტერორიზმია. მისი შეურაცხმყოფელი სიტყვით მოხსენიება, მისი გამოსახულების დაზიანება და მის ბიოგრაფიაში ფაქტების დამახინჯება – სისხლის სამართლის დანაშაული. ამიერიდან, კონსტიტუციის თანახმად, ის უბრალოდ ყაზახეთის პრეზიდენტი კი არა, ელბასი ანუ „ერის ლიდერი“ გახდა.

ეს სტატუსი ნურსულთან ნაზარბაევს, რამდენიმე კვირაა, მიენიჭა. კანონი დაჩქარებულად მიიღეს – სპეციალურად ნაზარბაევის 70 წლის იუბილესთვის, რომელიც 6 ივლისსაა.

კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ „ერის ლიდერი“ განსაზღვრავს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს, მაგალითად, უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ მოწყობას. იგი უფლებამოსილი იქნება, იცოდეს ყველა სახელმწიფო საიდუმლო, მაგრამ ამავე დროს თავისუფალი იქნება ყოველგვარი პასუხისმგებლობისა და ვალდებულებისგან.

„ერის ლიდერის შესახებ“ ახალი კანონის თანახმად, შეუძლებელია „ერის ლიდერის“ სისხლის სამართლებრივ თუ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა, ასევე კანონში წერია, რომ ქვეყნის პირველი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების ქონება ხელშეუხებელია. თუ „ერის ლიდერი“ გადაწყვეტს, რომ ქვეყნის პრეზიდენტი სათანადოდ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, პრეზიდენტი უნდა წავიდეს.

კანონი „ერის ლიდერის შესახებ“ პირველი კონსტიტუციური ცვლილებაა, რომელსაც თავად ნაზარბაევი არ აწერს ხელს. აწ განსვენებული თურქმენბაშისგან განსხვავებით, რომელმაც მეზობელ თურქმენეთში საკუთარი თავის მძლავრი კულტი შექმნა, ნაზარბაევი თავის გამოსვლებში „პიროვნების კულტს“ აკრიტიკებს და უფრო მოხერხებულად მოქმედებს – მან უარი თქვა ახალი კანონის ხელმოწერაზე, იმ მოტივით, რომ დამატებითი გარანტიები არ სჭირდება. თუმცა, ამავე დროს მას „ერის ლიდერის“ ინიციატივაზე ვეტო არ დაუდია. ყაზახური კანონმდებლობით კი, თუ საკონსტიტუციო ინიციატივას პრეზიდენტის ვეტო არ ადევს, ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებისთანავე ძალაში შედის.

„ეს ხალხის არჩევანი იყო“, – განაცხადა ნაზარბაევმა, როცა კანონი ავტომატურად ამოქმედდა.

ანალიტიკოსების აზრით, ამ კანონის მიღებით ყაზახეთი ავტორიტარული, მაგრამ სტაბილური ქვეყნის იმიჯს კიდევ უფრო გაიმყარებს.

ნაზარბაევი, 21 წელია, მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანას მართავს. მის სახელთანაა დაკავშირებული დამოუკიდებელი ყაზახეთის ყველა წარმატება თუ წარუმატებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ყაზახეთში 130-მდე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ცხოვრობს, ის რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნოკონფლიქტში არ აღმოჩნდა ჩათრეული.

ნაზარბაევის მეგობრებიც და კრიტიკოსებიც თანხმდებიან, რომ იგი პრაგმატული პოლიტიკოსია, რომელსაც კარგად ეხერხება პირადი და ქვეყნის

ინტერესების ისე გატარება, რომ წლების განმავლობაში შეინარჩუნოს მეტ-ნაკლებად სტაბილური ურთიერთობები თავის მთავარ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორებთან – რუსეთთან, ჩინეთთან და აშშ-სთან.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს ნაზარბაევმა მხარი დაუჭირა რუსეთის ქმედებებს ცხინვალში, თუმცა, მიუხედავად რუსეთის მხრიდან ზეწოლისა, არ აღიარა სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

2006 წელს ნაზარბაევმა ხელი მოაწერა შეთანხმებას აზერბაიჯანთან „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის“ ნავთობსადენის ერთობლივად გამოყენების შესახებ, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით გადის. 2007 წელს კი შესთავაზა რუ-

ანგარიში, რომლებიც ყაზახ ჩინოვნიკებს, მათ შორის თავად ნაზარბაევსაც, ეკუთვნოდათ. როგორც აღმოჩნდა, ფული ამ ანგარიშებზე ძირითადად ამერიკული ნავთობკომპანიებიდან ირიცხებოდა. საუბარი იყო 1 მილიარდ დოლარზე მეტ თანხაზე. ეს საქმე „ყაზახგეიტის“ სახელითაა ცნობილი).

მიუხედავად ნაზარბაევის მართვის სტილისა, განსხვავებით იგივე თურქმენბაშისგან, „ყველა ყაზახის მამა“ საზღვარგარეთაც პოპულარულია. ყაზახეთი ერთადერთი მუსლიმური ქვეყანაა, რომელიც ეუთო-ს თავმჯდომარეობს. ამავე დროს ყაზახეთი ისეთ საეჭვო რეპუტაციის მქონე სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების წევრია, როგორიცაა ოდკბ (კოლექტიური უსა-

ყაზახი პოლიტიკური კომენტატორები მიიჩნევენ, რომ იმ ფონზე, როცა რეგიონში ვითარება დაძაბულია (ყირგიზეთის მოვლენები), „ყაზახეთს საკუთარი სტაბილურობის გამყარება არ აწყენდა“.

„ერის ლიდერის“ ინიციატივის შემოღებით, ყაზახური ელიტის წარმომადგენლებმა პირველ რიგში საკუთარ თავზე იფიქრეს – ისინი შეეცადნენ, თავიდან აეცილებინათ საფრთხე, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ქვეყანაში ხელისუფლების გადაცემის პროცესს.

2012 წელს ყაზახეთში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. ნაზარბაევის ახალი სტატუსი გარკვეულ გავლენას იქონიებს არჩევნების პროცესზე.

შესაძლოა, ნაზარბაევმა 2012 წელს არჩევნებში კენჭი აღარ იყაროს, რადგან ამის აუცილებლობა აღარ იქნება. იგი შეეცდება, მინუმუმამდე დაიყვანოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები და, როგორც „ერის ლიდერმა“, კვლავ ერთპიროვნულად განაგრძოს ქვეყნის მართვა.

სეთს, კასპიის ნავთობსადენის კონსორციუმის გაფართოება ყაზახური ნავთობის ხარჯზე.

ენერგორესურსების ექსპორტის საკითხში ყაზახეთის სტრატეგიის მთავარი მიმართულებაა საექსპორტო მარშრუტების დივერსიფიკაცია. რუსეთი ცდილობს, აკონტროლოს ყაზახეთის ნავთობის ექსპორტი, თუმცა ამ დრომდე ყაზახეთი ახერხებს დაიძვრინოს თავი რუსეთის სრული კონტროლისგან და ამავე დროს მოსკოვთან კონსტრუქციულ ურთიერთობასაც ინარჩუნებს.

ნაზარბაევის ყაზახეთი ავტორიტარული ქვეყანაა, სადაც ყველა მმართველ თანამდებობაზე ნაზარბაევის ოჯახის წევრები და ნათესავები მუშაობენ. ენერგორესურსებით მდიდარი, კასპიის ზღვის აუზის სხვა ქვეყნების მსგავსად, კორუფცია აქაც დიდ მასშტაბებს აღწევს. ნაზარბაევი თავად იყო ერთ-ერთი გახმაურებული კორუფციული საქმის მთავარი ფიგურანტი (1999 წელს შვეიცარიელმა სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს და გაყინეს რამდენიმე საბანკო

ფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია) და შანჰაის ორგანიზაცია.

რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, ნაზარბაევის პირველი ძეგლიც არა ასტანაში, არამედ თურქეთის დედაქალაქ ანკარაში აღიმართა. „თურქული წარმოშობის ხალხების განვითარებაში შეტანილი უზარმაზარი წვლილისთვის“ თურქეთის პრეზიდენტის, აბდულა გიულის ინიციატივით, ივნისში ანკარაში ნაზარბაევის ბრინჯაოს ძეგლი დაიდგა.

ამ ინფორმაციამ „ერის ლიდერის“ იუბილეს სამზადისში მყოფი ყაზახეთი კიდევ უფრო ააფორიაქა. ერთ-ერთი დეპუტატი ადგილობრივ პარლამენტში სიტყვით გამოვიდა: „როგორ უნდა დაგვასწროს ანკარამ და პირველმა როგორ უნდა დადგას ნურსულთან აბიშევიჩის ძეგლი?“ ნაზარბაევის 17-მეტრიან ბრინჯაოს მოოქროვილ მონუმენტს, რომელზე მუშაობაც უკვე დაწყებულია, ყაზახეთში მალე დადგამენ.

„ერის ლიდერის“ სტატუსი, რომელიც ნაზარბაევს მიენიჭა, ქვეყნის ცხოვრებაში გარკვეულ ცვლილებებს მოიტანს.

ყაზახი ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ არ არის გამორიცხული, ნაზარბაევმა 2012 წელს არჩევნებში კენჭი აღარ იყაროს, რადგან ამის აუცილებლობა აღარ იქნება. ნაზარბაევი შეეცდება, მინუმუმამდე დაიყვანოს პრეზიდენტის უფლებამოსილებები და, როგორც „ერის ლიდერმა“, კვლავ ერთპიროვნულად განაგრძოს ქვეყნის მართვა.

რაც შეეხება საერთაშორისო რეაქციას – ნაზარბაევსაც და ყაზახეთის პოლიტიკურ ელიტასაც კარგად ესმით, რომ საერთაშორისო პოლიტიკის წამყვანი მოთამაშეებისთვის, რომლებიც სრულიად უძლურნი აღმოჩნდნენ, შეეჩერებინათ ყირგიზეთში სისხლისღვრა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია სტაბილური ყაზახეთი, რომელსაც ენერგორესურსების ულევი მარაგი აქვს, ვიდრე დემოკრატიული პროცესები ამ ქვეყანაში. ცენტრალური აზია კარგა ხნის განმავლობაში არ გახდება ის რეგიონი, სადაც საერთაშორისო თანამეგობრობის პრიორიტეტი დემოკრატია იქნება.

"რა ნომერია ევროპის ტელეფონი?"

სამხრეთ კავკასიელმა ლიდერებმა რეგიონულ განზომილებაზე უნდა იფიქრონ. ამის ხელშეწყობის მიზნით კი, ევროკავშირმა რეგიონში სპეციალური წარმომადგენლის პოსტი უნდა შეინარჩუნოს.

თომას დე ვაალი, საერთაშორისო მშვიდობისათვის კარნეგის ცენტრის ვაშინგტონის ოფისის უფროსის ასოცირებული თანამშრომელი

სამხრეთი კავკასიის საკითხებზე მომუშავეებს ჟრუანტელმა დაუარათ, როდესაც ხმები გავრცელდა, რომ ევროკავშირის საგარეო სამსახური სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტის გაუქმებას აპირებს.

რატომ არის მნიშვნელოვანი ევროკავშირის ახალ, ლისაბონის ხელშეკრულების შემდგომ ეპოქაში ამ პოსტის შენარჩუნება, რომელიც ამჟამად შვედ დიპლომატ პიტერ სემნების უკავია?

უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ძველმოდურ, ვერტიკალურ იერარქიებში ცალკეულ პიროვნებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ამ ქვეყნებში გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს უყვართ, როდესაც რეგულარული თანამოსაუბრე ჰყავთ, ვისთანაც საქმის კეთება შეუძლიათ. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის სახით სამხრეთი კავკასიის ლიდერებს ჰქონდათ პასუხი ჰენრი კისინჯერის ცნობილ კითხვაზე – „რა ნომერია ევროპის ტელეფონი?“

> **სამხეთ კავკასიის ქვეყნების ლიდერებს უყვართ, როდესაც რეგულარული თანამოსაუბრე ჰყავთ.** ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის სახით მათ ჰქონდათ პასუხი ჰენრი კისინჯერის ცნობილ კითხვაზე – „რა ნომერია ევროპის ტელეფონი?“

რამდენიმე შემთხვევაში, წარმომადგენლის დიპლომატია გადამწყვეტი აღმოჩნდა. სემნების წინამორბედმა, ფინელმა ჰაიდი ტალიავინიმ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის კრიზისის მშვიდობიან მოგვარებაში დიდი წვლილი შეიტანა. 2008 წლის ივნისში, სემნებიმ გვიანი ღამის საუბრების დროს შეძლო სააკაშვილის დარწმუნება, რომ ამ უკანასკნელს აფხაზეთში მყოფი რუსეთის სამშვიდობო ძალები არალეგალურად არ გამოეცხადებინა. ამან, სავარაუდოდ, აფხაზეთი პოტენციურ სამხედრო შეტაკებას გადაარჩინა.

სამწუხაროდ, ვერც სემნებიმ და ვერც სხვებმა იგივე ხერხი ორი თვის შემდეგ სამხრეთ ოსეთში კრიზისის გამწვავებისას ვერ გამოიყენეს.

ამ პოსტის მეორე მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სამხრეთი კავკასიის მიმართ საერთაშორისო პოლიტიკა ხელბორკილდადებული აღმოჩნდება, თუ იგი სამ სხვადასხვა ორმხრივ პოლიტიკად გადაიქცევა – საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის მიმართულებით. თუ ამ რეგიონს სურს განვითარდეს, ბოლოს და ბოლოს მან, როგორც რეგიონმა, ისე უნდა იმოქმედოს.

ეს კონფლიქტების მოგვარებას, დანგრეული რკინიგზის აღდგენას, საბაჟო ბარიერების გაუქმებას და საზღვრების გახსნას გულისხმობს, რაც სამხრეთ კავკასიას რუსეთს, თურქეთს და ირანს შორის მიმზიდველ დერეფნად აქცევს. რეგიონული ინტეგრაციის ეფექტური ლობირება მხოლოდ გარედან მოსულს შეუძლია, რომელიც ამავდროულად მთელ რეგიონთან მუშაობს.

ეს ასევე ნიშნავს სამხრეთი კავკასიის სამ ჩრდილოვან კონფლიქტურ რეგიონთან მუშაობას. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ სამხრეთი ოსეთი გარე სამყაროსთვის დაკეტილია, მაგრამ მთელი რეგიონის სახელით მოქმედმა სემნებიმ საკმაოდ წარმატებულად შეინარჩუნა სასიცოცხლო კავშირები აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკასთან – რასაც მხოლოდ თბილისს მიმაგრებული დიპლომატი უკვე ვეღარ შეძლებს.

რეგიონის მესამე მოუგვარებელი კონფლიქტი – სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით, ყველაზე დიდი, ყველაზე ფარული და ყველაზე საშიშია. ამჟამად ევროკავშირს სამშვიდობო მოლაპარაკებებში ჯეროვანი როლი არ აქვს.

ადრე თუ გვიან, თუ ამ სამშვიდობო პროცესს ხორცშესხმა უწერია, ევროკავშირს იგივე როლის შესრულება მოუწევს, რაც მან დეიტონის შემდგომ ბალკანეთში აიღო თავის თავზე – როგორც რეკონსტრუქციის, უსაფრთხოების და პოლიტიკური რეფორმის გარანტორმა. მაგრამ, ისევ და ისევ, ამისთვის მთელი რეგიონის მასშტაბის ელჩია საჭირო, რომელსაც ამ მისიის შესასრულებლად უფრო მსუყე მანდატი ექნება.

სამხრეთი კავკასია ევროკავშირის ყველაზე დაუცველი მეზობელია, მაგრამ პოტენციურად – ყველაზე საინტერესო და ხელსაყრელი. ამ მისიის მისაღწევად კი ევროკავშირს ერთი საერთო დესპანი სჭირდება რეგიონში, რაც სამივე ქვეყნის პრობლემების ფოკუსირებისთვის ეფექტური იქნება.

სომხეთი

სომეხი ეხი ჰობეხტ ჯოჩარიანის წინააღმდეგ

ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში შეტანილია სარჩელი სომხეთის მეორე პრეზიდენტის რობერტ კოჩარიანის წინააღმდეგ.

ლიანა ხაჩატურიანი, ერევანი

10 ათას კაცზე მეტი უჭერს მხარს სომხეთის პირველი პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის და მისი მომხრეების მიერ ჰააგის საერთაშორისო კრიმინალურ სასამართლოში სომხეთის ექს-პრეზიდენტის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს.

სარჩელის მიზეზია სომხეთის ექს-პრეზიდენტის რობერტ კოჩარიანის (ის ქვეყანას 1997-2008 წლებში ედგა სათავეში) პოლიტიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ხმები. ოპოზიცია მას „სომეხი ერის წინააღმდეგ ჩადენილ მძიმე დანაშაულებებში“ სდებს ბრალს.

4500-გვერდიანი სარჩელი, რომელიც სომხეთის ოპოზიციამ კოჩარიანის წინააღმდეგ ჰააგაში მიავლინა, სომხეთის უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე სისხლიან ეპიზოდსაც შეიცავს. ოპოზიციის მტკიცებით, კოჩარიანი 1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის პარლამენტში განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორია. მაშინ სხდომათა დარბაზში შეჭრილმა შეიარაღებულმა ტერორისტებმა რვა გავლენიანი პოლიტიკოსი დახვრიტეს, მათ შორის – პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარგსიანი და პარლამენტის სპიკერი კარენ დემირჭიანი.

სარჩელი ასევე შეიცავს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მომხდარი სისხლიანი შეტაკებების დეტალებსაც. ოპოზიცია საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს აპროტესტებდა, რომელთა მიხედვითაც, ხელისუფლების კანდიდატმა სერჟ სარგსიანმა გაიმარჯვა. შეტაკებების შედეგად 10 ადამიანი დაიღუპა და ასობით დაშავდა. ოპოზიცია ირწმუნება, რომ კოჩარიანმა პირადად გასცა დემონსტრანტების დაშლის ბრძანება.

რობერტ კოჩარიანი

ჰააგის საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოდან მიღებული წერილი იტყობინება, რომ სარჩელი „სომეხი ერი რობერტ კოჩარიანის წინააღმდეგ“ წინასწარ განხილვაზეა მიღებული.

თუმცა, სომხეთში ბევრი სკეპტიკურად უყურებს აღნიშნულ სარჩელს და მას ქვეყნის პირველი პრეზიდენტის და ოპოზიციის ლიდერის ლევონ ტერ-პეტროსიანის მორიგ პიარ-კამპანიად აფასებს. თავად კოჩარიანი დუმილის უფლებას იყენებს.

ამ დღეებში ჰააგის საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოდან მიღებული წერილი იტყობინება, რომ სარჩელი „სომეხი ერი რობერტ კოჩარიანის წინააღმდეგ“ წინასწარ განხილვაზეა მიღებული. ამ ცნობამ ოპოზიციონერები კიდევ უფრო გაამხნევა.

კერძოდ, წერილში აღნიშნულია, რომ „შეტყობინება შესაბამისი წესით შეტანილია განცხადებათა რეგისტრში. ჩვენ განვიხილავთ მას, შესაბამისი რიგით, საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს რომის სტატუსის წესდების გათვალისწინებით“.

აღნიშნულ სარჩელთან მიმართებაში ერთიანი პოზიცია არ არსებობს სომხეთის ექსპერტთა წრეშიც. „საკუთარი ქვეყნის პოლიტიკოსების საერთაშორისო სასამართლოებისთვის გადაცემა, შესაძლოა, სერიოზულ გამოწვევად იქცეს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის“, – აღნიშნა „ლიბერალთან“ საუბარში ანალიტიკური ცენტრის „მიტკ“-ის პრეზიდენტმა გრანტ მელიკ-შაჰნაზარიანმა. მისი თქმით, „ოპოზიცია სომხებს შორის შუღლს აღვივებს“.

პოლიტიკურ მიმომხილველ მანველ სარგსიანს განსხვავებული აზრი აქვს. ის მიიჩნევს, რომ ოპოზიციას სარჩელის შესატანად სერიოზული საფუძველი ჰქონდა. „აღსანიშნავია, რომ სარჩელი წინასწარი განხილვისთვის იქნა მიღებული. როგორც ჩანს, საფუძველი მაინც არსებობს“, – განუცხადა მანველ სარგსიანმა „ლიბერალს“.

მიუხედავად იმისა, თუ რა ბედი ეწევა ამ სარჩელს, ერთი რამ ცხადია – მას უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური დატვირთვა ექნება. ერევანში დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ყოფილი პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი, რომელსაც დღესაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ქვეყნის პოლიტიკაში, კვლავ იბრძოლებს საპრეზიდენტო სავარძლისთვის. თუ ეს მართლაც ასე მოხდება, მაშინ ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარება მნიშვნელოვნად დაიძაბება.

თვალსაზრისი

ნების და ლობიის უქონლობა

ქართული ფილმის საყურებლად და ქართული საუბრის მოსასმენად აფხაზური საზოგადოება მზად არ არის.

ახრა სმირი, სოხუმი

ქართველი რეჟისორის მამუკა ყუფარაძის ფილმი „ნების უქონლობა“ მთავარ თემად იქცა აფხაზეთის შიდა-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ ფილმის განხილვა იმ დარბაზის ფარგლებსაც გაცდა, სადაც მისი ჩვენება შედგა, და იმ არხსაც, რომელზეც მისი ტრანსლირება მოხდა. წელიწადზე მეტი ხნის წინათ საქართველოში გადაღებული ეს ფილმი დღეს აფხაზეთში მასობრივი პოლიტიკური ისტერიის საბაბი გახდა.

ისტერია წამოიწყო პარლამენტის ოპოზიციონერმა დეპუტატმა, „აფხაზეთის ნაციონალური ერთობის ფორუმის“ წარმომადგენელმა დაურ არშბამ, რომელმაც თავის განცხადებაში ამ ფილმის აფხაზეთში ჩვენებას „ქართული სტრატეგიის გატარება“ უწოდა.

შემდეგ ტელევიზიასთან შეიკრიბნენ აფხაზ დედათა მოძრაობის „მშვიდობისა და სოციალური სამართლის“ წარმომადგენლები, და ფილმის ჩვენებასთან დაკავშირებით ასევე გამოთქვეს კრიტიკული მოსაზრებები.

მიუხედავად იმისა, რომ კარგად მესმის და ვიზიარებ იმ ქალბატონების სატკივარს, რომლებმაც საქართველოსთან ომში შვილები დაკარგეს, მათმა განცხადებებმა მაინც შოკი მომგვარა. თუმდაც იმიტომ, რომ ისინი იმ ტელევიზიას კი არ „ერჩოდნენ“, რომელმაც ეს ფილმი გაუშვა, არამედ იმ ადამიანებს, რომლებიც ამ ფილმის განხილვას დაესწრნენ. სწორედ ქართულ-აფხაზური ომის შესახებ დისკუსია და დიალოგი გახდა მათთვის მიუღებელი. „მოღალატეები“, „ქვეყნის შემარცხვენლები“, „საქართველოს წისქვილზე წყლის დამსხმელები“ – ასე უწოდეს ყველას, ვინც ამ დისკუსიაში მონაწილეობდა. არადა, ეს ფილმი ნახა და განიხილა ასლან კობახიამ, აფხაზეთის ომის გმირმა, ღირსეულმა ადამიანმა, რომელიც ასევე „საქართველოს მეგობრად“ მოიხსენიეს.

არც ერთ კრიტიკოსს არ გასჩენია კითხვა, თუ როგორ მოხვდა ეს ფილმი რეპუბლიკის პრეზიდენტის მიერ კონტროლირებად არხზე, თუკი ის ასეთი მავნებელია აფხაზური საზოგადოებისთვის.

> **ეს არის პირველი ფილმი, სადაც ქართველები(!) უშვებენ იმ აზრს,** რომ აფხაზეთს შეუძლია იყოს დამოუკიდებელი(!!!) და აქვს უფლება იბრძოლოს დამოუკიდებლობისთვის.

რაც ყველაზე სამწუხაროა, არც ერთ კრიტიკოსს არ შეუფასებია თავად ფილმი. არადა, ჩემი ღრმა რწმენით, ეს ძალიან სასარგებლო და კარგი ფილმია. ეს ფილმი არის საქართველოში მომხდარი ომების ჭეშმარიტი მიზეზის ძიების უიშვიათესი მცდელობა. ეს არის პირველი ფილმი, სადაც ქართველები(!) უშვებენ იმ აზრს, რომ აფხაზეთს შეუძლია იყოს დამოუკიდებელი(!!!) და აქვს უფლება იბრძოლოს დამოუკიდებლობისთვის. ეს არის ფილმი, სადაც ლაპარაკია საქართველოს ხელისუფლების, მისი ელიტისა, და ზოგჯერ მთელი ერის იმ უპასუხისმგებლო ქმედებებზე, რამაც უახლოეს წარსულში ასეთ ტრაგიკულ და სისხლიან მოვლენებამდე მიგვიყვანა.

და ბოლოს, ეს არის ფილმი, რომელსაც დღემდე არ უჩვენებენ საქართველოს ნაციონალურ ტელეარხებზე, რადგან ეშინიათ.

გულდასაწყვეტია, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიერ პოლიტიკური ქულების დაგროვების სურვილმა, საკუთარი ხელმძღვანელების მხარდაჭერის, ან უბრალოდ პირადი ანგარიშსწორების ჟინმა ამ ფილმის შინაარსობრივი მხარე შეუმჩნეველი დატოვა.

მოკლედ, ახალშობილი დაღვრილ წყლებს გააყოლეს. წარმოუდგენელია, თუ როგორ გამოიწვია „ნების უქონლობამ“ ლოგიკის ასეთი უსაშველო უქონლობა აფხაზურ საზოგადოებაში. სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოება არ არის დღეს მზად, განვითარების შემდგომ ეტაპზე გადავიდეს. არ არის მზად მტკივნეულ თემებზე დიალოგისთვის.

სტატიაში გამოყენებული ტერმინოლოგია ეკუთვნის ავტორს, და არა „ლიბერალს“.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

ინციდენტი ბალღოჯიანის საჯარო სკოლაში

ბანაჩენი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე

რამდენიმე დაინტერესებული პირის საჩივრის საფუძველზე, ზურაბ თაბაგარი ისე გაათავისუფლეს სკოლის დირექტორობიდან, რომ არავინ დაინტერესებულა, მართლაც ჩაიდინა თუ არა მან დანაშაული.

ლელა ხეჩოშვილი

2010 წლის 9 ივნისს ტელეკომპანია „იმედის“ დილის საინფორმაციო გამოშვებაში გასულ სიუჟეტში ყვარლის რაიონის სოფელ ბალღოჯიანის საჯარო სკოლის დირექტორი ზურაბ თაბაგარი მე-9 კლასის მოსწავლის გაუპატიურების მცდელობაში დაადანაშაულეს. დირექტორს ბრალს სდებდა სამი მასწავლებელი. იმავე დღეს, 20:00-საათიან „ქრონიკაში“ ბალღოჯიანის მკვიდრი ლევან კეკენაძე აცხადებდა, რომ სკოლის დირექტორი გარყვნილ ქმედებაში ადრეც იყო შემჩნეული და მას ამის გამო მოსაკლავად დასდევდნენ.

განათლების სამინისტროს მითითებით, სკოლის სამეურვეო საბჭომ დირექტორს უფლებამოსილება შეუჩერა, პროკურატურამ კი გარყვნილი ქმედების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღძრა და გამოძიება დაიწყო.

ზურაბ თაბაგარი, ბალღოჯიანის სკოლის ყოფილი დირექტორი, ჰყვება: „9 ივნისს შუადღე იქნებოდა, როცა რაიონიდან სოფელში დავბრუნდი. სოფლის

გამგეობის შენობაში პოლიციის თანამშრომლები და ის მასწავლებლები იყვნენ, რომლებიც მიჩივიან. ის გოგონაც იქ ჰყავდათ. ვიცოდი, რომ ეს მასწავლებლები – ნინო მოდებაძე, ლიანა კუპატაძე და ელდინო იობაშვილი ჩემს წინააღმდეგ მოქმედებდნენ, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთ რაღაცას დამაბრალებდნენ. ის ბავშვი ჩემი ქალიშვილის კლასელია. მისი მასწავლებელიც ვიყავი. გაკვეთილებს ვერ სწავლობდა, გონებასუსტია, მეტყველებაც უჭირს. სკოლას ხშირად აცდენდა და 9 კლასის ატესტატი რომ აეღო, 4 ივნისს, გაკვეთილის დროს ვუთხარი, ერთი საკითხი მაინც ესწავლა, რომ ნიშანი დამეწერა. გაკვეთილის შემდეგ ბავშვებისთვის უთქვამს, რომ ჩემი ეშინოდა. როცა ბავშვებს უკითხავთ, – რატომ გეშინიაო, – გოგონები ცალკე გაუყვანია და უთქვამს, რომ მასზე ვძალადობ“.

მარი გოგშელიძე, ბალღოჯიანის საჯარო სკოლის მოსწავლე: „პარასკევს ზურა მასწავლებლის გაკვეთილი გვქონდა. ის გოგო კლასში ორჯერ არის დარჩენილი. დირექტორმა გაკვეთილი ჰკითხა, არ იცოდა. დირექტორმა უთხრა, – ორი აბზაცი მაინც ისწავლე და გაკვეთილების შემდეგ ჩამაბარეო. ჩვენც გვთხოვა, – დაეხმარეთო. გაკვეთილი რომ დამთავრდა, ტირილი დაიწყო, – არ დავრჩები, რადგან გაკვეთილების შემდეგ მტოვებს და ძალადობს, მიშველეთო. ამ დროს ქართულის მასწავლებელი ნინო მოდებაძე შემოვიდა და იკითხა, – რა ხდებაო. ადგა და მოუყვა ყველაფერი. მეორე დღეს ნინო მოდებაძესთან წავედით, სადაც მისი მაზლი აკაკი კეკენაძეც დაგვხვდა. კეკენაძემაც გამოჰკითხა ჩვენ კლასელს. მერე ჩვენ გამოგვიშვეს, ის გოგო კი დაიტოვეს“.

მაია ცერცვაძე, კლასის ხელმძღვანელი: „ყველაზე ბოლოს ეს ამბავი მე გავიგე. შაბათს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნინო მოდებაძემ დამიბარა. მითხრა, – თურმე თქვენს კლასში ასეთი საშინელი ამბავი ხდებაო. იმავე საღამოს მივედი გოგონას ოჯახში, მშობელს ავუხსენი მდგომარეობა, მოვაყვანინე ბავშვი და მან იგივე გაიმეორა. დედამისმა მითხრა, – მეორე ბავშვი ავად მყავს, ხვალ თბილისში მივდივარ და რომ დავბრუნდები, რა გადაწყვეტილებასაც მივიღებ, ეს ჩემი საქმეაო. ნინო მოდებაძემ პოლიციის სახელზე განცხადება შეადგინა, ბავშვმა რაც მოგვითხრო, აღწერა და ხელი მოგვაწერინა“.

ნინო მოდებაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: „ეს ამბავი რომ მოვისმინე, ძალიან აღვშფოთდი. კლასის დამრიგებელსაც ვუთხარი. დედას უთქვამს, – ამ ამბის გახმაურება არ მინდა, თბილისში მივდივარ და როცა დავბრუნდები, მე თვითონ მივხედავო.

– მაგრამ დედის პოზიცია არ გაითვალისწინეთ და პოლიციას შეატყობინეთ.

– პოლიციისთვის მე არ დამირეკავს. ორშაბათს ელდინო იობაშვილმა დაურეკა გაკვეთილების შემდეგ, რომ დედას ბავშვი არ წაეყვანა და დირექტორს ეს ფაქტი არ შერჩენოდა.

– დირექტორთან დაპირისპირებული იყავით?

– კი, რადგან ერთხელ სკოლაში არ ვიყავი და ერთ-ერთი მოსწავლე ჩემს ნაცვლად შეაფასა დაბალი ნიშნებით, რაზეც კამათი მოგვივიდა.

– მანამდე, შაბათს ის გოგონა, მისი კლასელი და კლასის დამრიგებელი მაია ცერცვაძე თქვენს სახლში რატომ დაიბარეთ?

– გოგონას კიდევ ერთხელ გავესაუბრეთ. დეტალები მოვისმინეთ. გოგონამ გაიმეორა, რომ დირექტორი მას მკერდში ხელს უდებდა, შარვალს ხდიდა და ეფერებოდა.

– ამ შეხვედრას თქვენი მაზლი აკაკი კეკენაძე რატომ ესწრებოდა?

– როგორ თუ რატომ ესწრებოდა. აკაკი მაშინ ჯერ კიდევ სოფლის დეპუტატი იყო მუნიციპალიტეტის საკრებულოში. პროფესიით იურისტია და კონსულტაციებს გვიწევდა.

– დირექტორის წინააღმდეგ პოლიციის სახელზე განცხადება თქვენ შეადგინეთ?

– ელდინომ დაწერა და მე გადავწერე.

– საჩივარზე ხელი იმ გოგონასაც მოაწერინეთ?

– კი, მოაწერა. მის გარდა, მასწავლებლებმაც მოვაწერეთ ხელი – მე, მაია ცერცვაძემ, ლიანა კუპატაძემ და ელდინო იობაშვილმა. ამით დავადასტურეთ, რომ ყველაფერი რაც განცხადებაში შევიტანეთ, ბავშვმა მოგვითხრო“.

აკაკი კეკენაძე ყვარლის მუნიციპალიტეტის 2006 წლის მოწვევის საკრებულოს წევრი იყო სოფელ ბალღოჯიანიდან. 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ სიით მან კენჭი ისევ სოფელ ბალღოჯიანში იყარა. მაია ცერცვაძე ბალღოჯიანის საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრი იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კვოტით; ნინო მოდებაძე კეკენაძის რძალია და წინასაარჩევნოდ სოფელში აგიტაციას მის სასარგებლოდ ეწეოდა; ლიანა კუპატაძე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აგიტატორი იყო ბალღოჯიანში, ხოლო ელდინო იობაშვილი ამავე სოფელში სახელისუფლებო პარტიის კოორდინატორი. კეკენაძე არჩევნებში დამარცხდა. სოფელ ბალღოჯიანის მაჟორიტარი დეპუტატი ოპოზიციის წარმომადგენელი კახი კაპანაძე გახდა, რომელიც არჩევნებში „ეროვნული საბჭოდან“ მონაწილეობდა.

ზურაბ თაბაგარი: „კეკენაძე რომ დამარცხდა, ეს ამბავი მე მბრალდება. სკოლის დირექტორი ვიყავი, ფიქრობდნენ და მთხოვდნენ, რომ სოფელში ავტორიტეტი გაქვს და კეკენაძეს დაეხმარეო. მე ხალხში ვერ ჩამოვივლიდი და ვერ ვეტყოდი, ხმა ვისთვის მიეცათ. მასწავლებლები, ვინც გარყვნილ ქმედებაში მადანაშაულებენ, არჩევნებამდეც არ მალავდნენ, რომ თუ დეპუტატი კეკენაძე გახდებოდა, მისი დახმარებით მომიშორებდნენ და სკოლაში თანამდებობებს თვითონ გაინაწილებდნენ. კეკენაძე დეპუტატი ვერ გახდა და ეს ბრალდებაც ამას მოჰყვა“.

ბალღოჯიანის საჯარო სკოლაში სულ 25 მასწავლებელი მუშაობს. ჩვენ 14 პედაგოგი გამოვკითხეთ. მათ აღნიშნეს, რომ სკოლის ყოფილი დირექტორი მსგავს ქმედებაში არასოდეს ყოფილა შემჩნეული. „ასეთი მასწავლებლები, რომლებიც თანამდებობების დასაკავებლად ყველა ხერხს იყენებენ, სკოლაში საერთოდ არ უნდა მუშაობდნენ“; „ამიტომაც, როცა სამეურვეო საბჭომ, განათლების სამინისტროს მითითებით, სკოლის დირექტორისთვის უფლებამოსილების

შეჩერების საკითხზე იმსჯელა, უფლებამოსილება იმ მასწავლებლებსაც შევუჩერეთ"; „დირექტორის მიმართ ძალიან ანგაჟირებულები იყვნენ. ყოველთვის მიზეზს ეძებდნენ, რომ მისთვის ზიანი მიეყენებინათ"; „ზურაბ თაბაგარისგან წყენაც გვახსოვს და უხეშობაც, მაგრამ ეს ამბავი რომ დააბრალეს, მის მხარდასაჭერად აქ ის ხალხიც მოვიდა, ვინც მასზე ნაწყენი იყო", – აღნიშნეს მასწავლებლებმა მაია ცერცვაძემ, ნაირა მარტიაშვილმა და სხვებმა.

სოფელ ბალღოჯიანის მაცხოვრებლების განცხადებით, გოგონა, რომლის გაუპატიურების მცდელობაშიც მასწავლებლები ზურაბ თაბაგარს ადანაშაულებენ, ცოტა ხნის წინათ გარყვნილ ქმედებაში სოფელში მცხოვრებ რამდენიმე ახალგაზრდასაც ადანაშაულებდა.

გონერი გურული, ბალღოჯიანის მკვიდრი: „მაგ ბავშვმა, ცოტა ხნის წინ ჩემს შვილს და კიდევ 5 ბიჭს ზუსტად იგივე ბრალდება წაუყენა. ამბობდა, რომ თითქოს ჩემმა შვილმა სამი ლარი შესთავაზა და მასთან სექსუალური ურთიერთობის დამყარება მოითხოვა. პოლიციაში რამდენჯერმე მიგვიყვანეს. ბოლოს დარწმუნდნენ, რომ გოგონა ტყუოდა და თავი დაგვანებეს. რაც შეეხება ელდინო იობაშვილს, ეგ ქალი არჩევნებამდე დადიოდა და გვეუბნებოდა, რომ ხმა აკაკი კეკენაძისთვის მიგვეცა და სკოლის დირექტორი ზურაბ თაბაგარი აღარ იქნებოდა".

გოგონას ადგილსამყოფელი უცნობია. მამის განმარტებით, დედამ ის სოფლიდან წაიყვანა. „მე მწყემსი ვარ. ვერაფერს გეტყვით. მაგ ამბავზე დედას უნდა ჰკითხოთ, დედა კიდევ სად არის, არ ვიცი", – გვითხრა გოგონას მამამ.

შს ყვარლის რაიონული სამმართველოს ინფორმაციით, სოფელ ბალღოჯიანში მცხოვრები ე.კ-ს გაუპატიურების მცდელობის, ან მასთან გარყვნილ ქმედებასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელიც 2010 წლის 9 ივნისით თარიღდება. პოლიციის სამმართველოში დაადასტურეს, რომ გოგონა გაკვეული ხნის წინ თანასოფლელებს გარყვნილ ქმედებაში ადანაშაულებდა, მაგრამ წინასწარი მოკვლევის შედეგად დანაშაულის ნიშნები არ გამოვლინდა და საქმე არ აღიძრა.

ჩვენ დავინტერესდით და სოფელ ბალღოჯიანში ის მამაკაციც მოვძებნეთ, რომელმაც 2010 წლის 9 ივნისს ტელეკომპანია „იმედის" კორესპონდენტს ინტერვიუ მისცა და ზურაბ თაბაგარი დაადანაშაულა, თითქოს გარყვნილ ქმედებაში ის ადრეც იყო შემჩნეული და ამის გამო მას მოსაკლავად დასდევდნენ. ლევან კეკენაძე აკაკი კეკენაძის მამა აღმოჩნდა.

– ბატონო ლევან, ვინ ადანაშაულებდა კიდევ ზურაბ თაბაგარს გარყვნილ ქმედებაში და ვინ დასდევდა მას მოსაკლავად?

– მან და მისმა მეუღლემ ჩემს შვილს ხმა არ მისცეს და რაც დაემართათ, ღირსები არიან".

შს სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ზურაბ თაბაგარის წინააღმდეგ ან ფაქტზე, რაზედაც ზურაბ თაბაგარს ეჭვმიტანილის სტატუსი ექნებოდა, გარყვნილი ქმედების მუხლით, 2000-2009 წლებში სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ ყოფილა. პროკურატურას ზურაბ თაბაგარის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა ამ დრომდე არ დაუწყია. 2010 წლის 16 ივნისს, ბალღოჯიანის სკოლასთან დაკავშირებით გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში კიდევ ერთი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ამჯერად გამოძიება სსკ-ის 332-ე მუხლის I ნაწილით დაიწყო, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. ელდინო იობაშვილმა, ნინო მოდებაძემ და ლიანა კუპატაძემ ზურაბ თაბაგარი ამჯერად სკოლის ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში დაადანაშაულეს.

ჰქონდათ თუ არა მასწავლებლებს მშობლის ნებართვის გარეშე გოგონას გამოკითხვის უფლება და რამდენად სანდოა გოგონას ჩვენება გამოძიებისთვის? სახალხო დამცველის აპარატის ბავშვისა და ქალის უფლებების ცენტრის იურისტის ანა აბაშიძის განმარტებით, როცა საკითხი ეხება არასრულწლოვნის მიმართ უფლებების დარღვევას, კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის – დანაშაულის შესახებ სამართალდამცავებს ინფორმაცია მიაწოდოს.

„იმ შემთხვევაში, როცა მშობელი არ იცავს არასრულწლოვნის უფლებებს, სახელმწიფო, ამჯერად სკოლა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები. ზოგადი პრინციპის თანახმად, პირის ბრალეულობის დადგენის საფუძველი უნდა იყოს მტკიცებულებათა ერთობლიობა. რაც შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ის მოწმედ შეიძლება დაიკითხოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მცირეწლოვნობის, ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური დაავადების მიუხედავად, შეუძლია სწორად აღიქვას, დაიხსომოს ან აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მისცეს ჩვენება", – აცხადებს აბაშიძე.

როცა მშობელი არ იცავს არასრულწლოვნის უფლებებს, სკოლა, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ვალდებულია, დაიცვას ბავშვის უფლებები.

სტატია მომზადებულია ევროკავშირისა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსი არ გამოხატავს ევროკავშირისა და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მოსაზრებებს და შეხედულებებს.

თვალსაზრისი

მიხეილ "ათაბეჰჯი"

„ქემალიზმი მკვდარია, დიდხანს იცოცხლოს ქემალიზმმა“. ქემალიზმმა მთავარი დარტყმა კონსერვატორი და რელიგიური ბიზნეს ელიტისგან მიიღო.

გიორგი ცხადაია



წინა საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკის მეცნიერი სემუელ ჰანტინგტონი წერდა, რომ თურქეთის მოდელი საუკეთესოა მოდერნიზაციის მოდელებს შორის. თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებელი მუსტაფა ქემალ ათათურქი იწყებდა რეფორმების განხორციელებას იქ, სადაც ყველაზე დიდ მხარდაჭერას მოიპოვებდა, შემდეგ კი წინა საფეხურზე დაყრდნობით მომდევნო საფეხურზე გადადიოდა.

პირველი პრიორიტეტი მუსტაფა ქემალისთვის ნაციონალური იდეის ჩამოყალიბება იყო. პანთურქული იდეოლოგიისგან განსხვავებით, რომელიც ეთნონაციონალისტურ, რასისტულ და რელიგიურ საფუძვლებს ემყარებოდა, ქემალის იდეა სეკულარული იყო; სეკულარული იმ გაგებით, რომ აღიარებდა „თურქობის“ განმსაზღვრელ მხოლოდ ერთ კრიტერიუმს: მოქალაქეს უნდა გაეზიარებინა თურქეთის რესპუბლიკის დამფუძნებელი პრინციპები და იდეალები იმისთვის, რომ „თურქად“ ჩათვლილიყო. ეთნონაციონალიზმისგან განსხვავებით, ეს განმარტება გაცილებით უფრო დემოკრატიული იყო და იმის საფუძველს ქმნიდა, რომ ძლიერი, ერთგვაროვანი ნაციონალური საზოგადოება შექმნილიყო, რომელიც თურქეთის მამას – მუსტაფა ქემალ ათათურქს მოდერნიზაციის შემდეგ საფეხურზე გადასვლის საშუალებას მისცემდა.

ნაციონალურ ერთობაზე დაყრდნობით, ათათურქი ფიქრობდა საზოგადოებაში ეფექტური პოლიტიკური, მოდერნული (თანამედროვე – იმდროინდელ დასავლეთში გავრცელებული) ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. ამ პროცესში კი სოციალური, კულტურული, რელიგიური და სამართლებრივი რეფორმები უნდა განხორციელებულიყო.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტრადიციული ინსტიტუტები და ჩვეულებები (წოდებრივი ელიტის პრივილეგიები, რელიგიური ინსტიტუტების განსაკუთრებული როლი, ნეპოტიზმი, ქალების მიმართ დისკრიმინაცია) შესუსტდებოდა, თურქეთი მზად იქნებოდა, რომ განვითარების მომდევნო საფეხურზე გადასულიყო – ინდუსტრიალიზაცია და ეკონომიკური რეფორმები დაეწყო.

ათათურქს სჯეროდა მეცნიერების, რაციონალიზმის და პრაგმატიზმის (რელიგიური მოძღვრებებისგან საპირისპიროდ) განსაკუთრებული როლის საზოგადოებაში. „მეცნიერება საზოგადოების საუკეთესო გიდია ცხოვრებაში“, – ამბობდა ის. მისი აზრით, ნაციონალური, პროგრესული და რაციონალური განათლება უნდა ყოფილიყო ახალი საზოგადოების მთავარი დასაყრდენი. სასწავლო გეგმიდან დომინანტური რელიგიის მოძღვრების – სუნიტური ისლამის სწავლება უნდა ამოეღოთ. მუსტაფა ქემალის მოძღვრება ანუ ქემალიზმი გულისხმობდა და გულისხმობს იდეას, რომ უფასო საჯარო განათლება სოციალური რეფორმების განხორციელების საუკეთესო მექანიზმია და ხელს უწყობს სოციალურ მობილობას. ტერმინი „სოციალური მობილობა“ საზოგადოების დაბალი ფენიდან მაღალ ფენაში ადამიანების გადასვლას აღნიშნავს. განათლების რეფორმით, ათათურქს სურდა, რომ შეექმნა „ინტელიგენციის“, განმანათლებლების და ბიუროკრატების ახალი ფენა, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის ნაციონალური იდეის ერთგულნი იქნებოდნენ. ამგვარად, ადრეულ ჩაკეტილ ინტელექტუალურ ელიტას შეცვლიდნენ ახალი ინტელექტუალები, რომლებიც თავიანთ სტატუსს საგანმანათლებლო სისტემაში მაღალი პოზიციისთვის ბრძოლაში მოიპოვებდნენ.

ათათურქის სოციალური მობილობის მოდელი ვრცელდებოდა თურქეთის რესპუბლიკის ახალ არმიაზეც, რომელიც ინტელიგენციასთან, განმანათლებლებთან და ბიუროკრატებთან ერთად მის მთავარ სოციალურ დასაყრდენს წარმოადგენდა. ძალოვან სტრუქტურებში წამყვან პოზიციებს იკავებდნენ ადამიანები, რომლებიც იქამდე წოდებრივ პრივილეგიებს და განსაკუთრებულ სტატუსს არ ფლობდნენ. არმიის ოფი-

ცრების რეკრუტირება ქვედა საშუალო და ღარიბი ფენიდან ხდებოდა. ამ გზით ათათურქი ქმნიდა ერთგულ და ნაციონალური იდეისთვის თავდადებულ არმიას, რომელიც თურქეთის ახალი რეს-პუბლიკის პრინციპებს დაიცავდა.

ეს იყო „მოდერნიზაცია ზემოდან", ანუ სახელმწიფოსგან და მისი ლიდერისგან წამოსული რეფორმები. თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოსვლაში, 1919 წელს, ათათურქმა აღნიშნა, რომ „სტრუქტურა, რომელიც ქვემოდან ზემოთ წარმოიქმნება, რა თქმა უნდა, ყველაზე მყარია. ამის მიუხედავად, დასაწყისში არსებობს იმის საჭიროება, რომ ეს სტრუქტურა ქვემოდან ზემოთ კი არა, ზემოდან ქვემოთ ჩამოყალიბდეს. თუ პირველი მოდელი განხორციელდებოდა (ანუ „ქვემოდან ზემოთ" რეფორმები - გ.ც.), მთელი კაცობრიობა თავის კეთილშობილურ სურვილს აისრულებდა, მაგრამ რადგან ამის განხორციელების პრაქტიკული გზები ჯერ ვერ გამოინახა, ზოგიერთი რეფორმატორი გვთავაზობს, რომ ერებს მივცეთ საჭირო გზა და მიმართულება. როცა რეგიონებში ვმოგზაურობდი, აღფრთოვანებული დავრჩი იმით, რომ დავინახე – ჩვენმა მოდელმა „ზემოდან ქვევით" ქვედა დონეს უკვე მიაღწია და ადამიანებმა თავად დაიწყეს ქვევიდან ზევით ცვლილებების მოხდენა".

მუსტაფა ქემალს სჯეროდა, რომ სამხედროები არ უნდა ჩარეულიყვნენ სამოქალაქო საქმეებში, თუმცა ამის მიუხედავად, მისი სიკვდილის შემდეგ თურქმა სამხედროებმა რამდენიმე სახელმწიფო გადატრიალება მოაწყვეს (ბოლოს 1997 წელს), იმ საბაბით, რომ არჩეული ხელისუფლება ქემალიზმის პრინციპებისგან უხვევდა. ეს გადატრიალებები არ იყო მიმართული იმისკენ, რომ სამოქალაქო მმართველობა სამხედრო მმართველობას ჩაენაცვლებინა. მიზეზი, რის გამოც გადატრიალებები ხდებოდა, დემოკრატიული ინსტიტუტების სიმყიფე იყო.

ათათურქის მიერ დაარსებულმა რეს-პუბლიკურმა სახალხო პარტიამ 1960-იან წლებში, პოპულარული მემარცხენე მოძრაობების გავლენით, ქემალიზმის პრინციპების მემარცხენე-ცენტრისტული შესწორებები დაიწყო. 1970-იან წლებში კი „დემოკრატიული მემარცხენეობის" უფრო რადიკალურმა ტალღამ ქემალიზმის პრინციპების ახალი რედაქციით ჩამოყალიბება სცადა: ქვეყნის და საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის გზები არა მხოლოდ უნდა ავუხსნათ ხალხს, არამედ მათთან ერთად უნდა გამოვნახოთ; ხალხი ჩვენი ძალაუფლების მთავარი წყაროა; ხალხი არ არის კონსერვატორი და მცდარია მოსაზრება, რომ ისინი ვერ იგებდნენ და არ უჭერდნენ მხარს ათათურქის რეფორმებს. ამ ფონზე დაიბადა „სახალხო სექტორის" (დაახლოებით საბჭოთა კოოპერატივების ტიპის საკუთრების) ჩამოყალიბების იდეა, რომელიც სახელმწიფო და კერძო სექტორთან ერთად უნდა არსებულიყო, მაგრამ ეს იდეა ვერ განხორციელდა.

ქემალიზმის იდეას მთავარი დარტყმა, ლოგიკურად, არა მემარცხენეებისგან, არამედ იმ ძლიერი ფენისგან უნდა მიეღო, რომელსაც თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში გამოხატვის საშუალებას არ აძლევდა. ქვეყნის განვითარებამ საშუალო ბურჟუაზიის, საშუალო ფენის წარმოქმნა განაპირობა, რომელიც უკვე აღარ იყო კმაყოფილი იმით, რომ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ უნდა ეცხოვრა – ამ ფენას გაუჩნდა პრეტენზია, რომ თავად ემართა სახელმწიფო. თურქეთის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანი სწორედ ამ ახალი ელიტის წარმომადგენელია. ეს კონსერვატორი და რელიგიური ბიზნესმენების ფენაა, რომელიც ენერგიის, ფინანსების, მრეწველობის და მედიის სექტორებს თანდათანობით ეპატრონება. 1997 წლის გადატრიალების დროს და იქამდეც, თურქეთის მედია ქემალიზმის პრინციპების აქტიური დამცველი იყო.

ამ სტატიის დაწერის მიზანი ის იყო, რომ ქემალიზმსა და მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებულ მოდერნიზაციის მოდელებს შორის პარალელები გაგვევლო და მსგავსებები აღმოგვეჩინა. მე ვფიქრობ, რომ მსგავსებები მართლა განსაცვიფრებელია. კონსერვატორი და რელიგიური ბიზნესმენების ფენამ თურქეთში ალბათ ყველას ლევან გაჩეჩილაძე და 2008-2009 წლების მიტინგები გაგახსენათ, სადაც „ტრადიციების" და რელიგიური ღირებულებების დაცვის რიტორიკა წამყვანი იყო.

ამ სტატიის დაწერის მიზანი ის იყო, რომ ქემალიზმსა და მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებულ მოდერნიზაციის მოდელებს შორის პარალელები გაგვევლო და მსგავსებები აღმოგვეჩინა. მე ვფიქრობ, რომ მსგავსებები მართლა განსაცვიფრებელია.

კონსერვატორული საშუალო ფენის აღმავლობის შესახებ წელს აპრილში ჟურნალ Foreign Affairs-ში გამოქვეყნდა სტატია სათაურით „ქემალიზმი მკვდარია, დიდხანს იცოცხლოს ქემალიზმმა" („Kemalism is Dead, Long Live Kemalism"), რომელშიც ავტორები ამტკიცებენ, რომ საშუალო ფენის ბატონობა ქემალიზმის პრინციპებიდან გადახვევა კი არა, მათი დადასტურებაა, რაც ხელს შეუწყობს ბაზრის თავისუფლებასა და მშვიდობას. ავტორები ურჩევენ ქემალისტებს, რომ თავის გადარჩენისთვის ისეთი პრინციპების აბსოლუტურობა აღიარონ, როგორიცაა ბიზნესის საქმიანობაში ჩაურევლობა, სამხედროებზე სამოქალაქო კონტროლის დაწესება და კონფლიქტურ ზონაში ქურთი უმცირესობისთვის მეტი კულტურული უფლებების მინიჭება.

საქართველო და ევროპული სასამართლო

მოქალაქეები ქვეყნის წინააღმდეგ

საქართველოს მოქალაქეები სტრასბურგის სასამართლოში სახელმწიფოს ყველაზე ხშირად წამების მუხლით უჩივიან.

ნინო თოფურიძე, გიორგი ჭეიშვილი

2004 წლის 30 ივლისს გია ფაცურიამ სტრასბურგის სასამართლოს მიმართა. პატიმარი ჩიოდა, რომ საქართველოს პროკურატურამ მას უკანონოდ შეუფარდა წინასწარი პატიმრობა, რომლის განმავლობაშიც მას ჯანმრთელობა შეერყა.

ორი თვით ადრე გენერალურმა პროკურატურამ გია ფაცურია სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და საბანკო დოკუმენტაციის გაყალბების ბრალდებით დააკავა. მას წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ფაცურიამ განაჩენი გააპროტესტა, თუმცა, ისანი-კრწანისის სასამართლომ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მოტივად კი მიმალვის საფრთხე და საგამოძიებო საქმიანობისთვის ხელის შეშლა დაასახელა. საქმის შემდგომი მოსმენისას რაიონულმა სასამართლომ ფაცურიას, საბუთების გაყალბების ბრალდებით, 3 წელი მიუსაჯა.

მსჯავრდებული, რომელიც თავს დამნაშავედ არ თვლიდა, ამტკიცებდა, რომ მისი უკანონო წინასწარი პატიმრობით ადამიანის უფლებათა ევროკონვენცია დაირღვა და, მორალური ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, საქართველოს სახელმწიფოს სტრასბურგის სასამართლოში უჩივლა.

2006 წლის 7 ნოემბერს გია ფაცურიას საქმე ევროპულმა სასამართლომ მიიღო წარმოებაში, განხილვის შემდგომ კი დაადგინა: 2004 წლის 8 მაისს, ფაცურიას დაპატიმრებიდან სამ დღეში უდანაშაულობის პრეზუმცია გათავისუფლების სასარგებლოდ უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი, რასაც ფაცურიას გათავისუფლება უნდა მოჰყოლოდა. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ მიმალვის საფრთხე, რომლითაც ეროვნული სასამართლო აპელირებდა, მოსამართლემ სათანადოდ ვერ დააასაბუთა. ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის საფრთხე კი სტრასბურგმა ბრმად





მოყვანილად ჩათვალა.

გია ფაცურიამ სასამართლო პროცესი მოიგო, ქართულ მხარეს, ზარალის ანაზღაურების მიზნით, ევროსასამართლომ 3670 ევროს გადახდა დააკისრა.

სწორედ ფაცურიას საქმის შემდეგ ევროპულმა სასამართლომ მკაცრად გააკრიტიკა საქართველოს სასამართლო სისტემა იმის გამო, რომ ის, წინასწარი პატიმრობის შეფარდების გარდა, სხვა ალტერნატიული სასჯელის ზომას არ იყენებდა.

ევროპული სასამართლო და საქართველოს შიდა კანონმდებლობაც წინასწარი

პატიმრობის შეფარდებისას ითვალისწინებს ოთხ აუცილებელ პირობას, რომლიდანაც მინიმუმ ერთ-ერთი უნდა არსებობდეს. ესენია:

1. მიმალვის საფრთხე, 2. საგამოძიებო პროცედურების არასათანადოდ განხორციელების საფრთხე, 3. რეციდივის განმეორების საფრთხე, 4. შესაძლებელი წესრიგის დარღვევის საფრთხე, ანუ ლინჩის წესით გასამართლების საფრთხე – ამ ოთხი პირობიდან ერთის არსებობის შემთხვევაშიც კი შესაძლებელია წინასწარი პატიმრობის შეფარდება.

ევროპული სასამართლოს ერთ-ერთ დასკვნაში, რომელიც წამების საკითხების განხილვას მიეძღვნა, ნათქვამია, რომ საქართველოში პატიმართა გაზრდილი რაოდენობის მიზეზია სასამართლოს მხრიდან სხვა ტიპის სასჯელის შეფარდებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ეს მითითება საქართველოს ხელისუფლებამ 2007 წელს მიიღო. დღეს კი სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში კიდევ უფრო მეტი – 25-დან 30 ათასამდე პატიმარი იმყოფება.

„სასამართლოებში წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას ბრალდების ტექსტში მხოლოდ სამი რამ იცვლება – სახელი, გვარი და თარიღი. მოსამართლეები არ ასაბუთებენ იმას, თუ რატომ არ შეიძლება კონკრეტულ განსასჯელს სხვა სადამსჯელო ღონისძიება შეეფარდოს. წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში, მოსამართლე საფუძვლიანად უნდა გაესაუბროს ბრალდებულს, ის დარწმუნებული უნდა იყოს ამ ღონისძიების აუცილებლობაში, რაც დღევანდელ სასამართლოებში არ ხდება“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში ადამიანის უფლებათა ექსპერტი ბესო ბოხაშვილი.

ამ პრობლემას ევროპული სასამართლოც აღიარებს და ხაზს უსვამს მოსამართლეთა კვალიფიკაციის საკითხს.

სტრასბურგში მოხვდა დავით გორგილაძის საქმეც, რომელზეც ევროსასამართლომ გადაწყვეტილება 2009 წლის 20 ოქტომბერს გამოიტანა. მსჯავრდებულს მიაჩნდა, რომ სასამართლო კოლეგია, რომელმაც ის პირველი ინსტანციით გაასამართლა, არ იყო „კანონიერების საფუძველზე შექმნილი“. გორგილაძის მტკიცებით, მსაჯულებს, რომლებიც მის საქმეს განიხილავდნენ, არ გააჩნდათ შესაბამისი იურიდიული განათლება და გამოცდილება.

დავით გორგილაძეს ბრალი ედებოდა მამა-შვილის მკვლელობაში. გორგილაძე თავად გამოცხადდა ლანჩხუთის პოლიციის განყოფილებაში; სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ მას წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. უზენაესმა სასამართლომ, რომელიც ორი მსაჯულისაგან და ერთი მოსამართლისგან შედგებოდა, გორგილაძე დამნაშავედ მალევე ცნო და 18 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

დავით გორგილაძის საქმე განიხილეს არაკვალიფიციურმა მსაჯულებმა, რომლებიც მოსამართლის თანაბარი უფლებამოსილებით სარგებლობდნენ. მათ ხმა მისცეს გორგილაძის გამამტყუნებელ განაჩენს, რისი უფლებაც მათ, არაკომპეტენტურობის გამო, არ ჰქონდათ. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი სასამართლო არ იყო „კანონის საფუძველზე შექმნილი“ და დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის I პარაგრაფის დარღვევა, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას ითვალისწინებს. სტრასბურგმა ქართულ მხარეს კომპენსაციის სახით 5000 ათასი ლარის გადახდა დააკისრა.

ექსპერტთა განმარტებით, საქართველოში სამართლიან სასამართლოსთან მიმართებაში სტრასბურგმა საკანონმდებლო პრობლემაც გამოკვეთა, რომელმაც მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ იჩინა თავი, რაც, ევროკონვენციის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას გულისხმობს.

„საქართველოში მოსამართლეთა კვალიფიკაციის საკითხი საერთოდ არ ექვემდებარება განხილვას. მოსამართლეთათვის მთავარია, ადამიანმა არ დაუშვას ის ფაქტი, რომ შეიძლება მოიგოს პროცესი“, – განმარტავს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი.

სტრასბურგმა საქართველოს მეორე პრობლემაზეც მიუთითა – საქართველოს სასამართლო ვერ უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის გაკონტროლებას – ანუ, სასამართლო თავს იკავებს ბრალდებულისთვის, პატიმრობის გარდა, სხვა ტიპის სასჯელის შეფარდებისაგან, რადგან არ გააჩნია შესაბამისი პირობები შრომაგამოსწორებითი სასჯელის აღსრულებისთვის.

ომბუდსმენის სტატისტიკურ მონაცემებში ნათლად ჩანს, რომ საქართველოში წარმოებულ საქმეთა უმრავლესობა სახელმწიფოსა და პროკურატურის სასარგებლოდ წყდება. ბოლო 4 თვის მანძილზე გამოტანილი განაჩენებიდან, რომელთა საერთო რაოდენობა 5636-ია, 3188 ადამიანს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, 4 განთავისუფლდა, გამოსასწორებელი სამუშაო კი არც ერთისთვის არ შეუფარდებიათ.

2010 წლის სტატისტიკა გვაჩვენებს იმასაც, რომ აღმკვეთი ღონისძიებების 53% დაპატიმრებაზე, 45% – გირაოზე, 1,2% კი სხვა საპატიმრო ღონისძიებებზე მოდის.

2010 წლის 1 იანვარს ევროპულმა სასამართლომ საზოგადოებას თავისი არსებობის 50 წლის ანგარიში და სტატისტიკური მონაცემები წარუდგინა. ამ ანგარიშის მიხედვით, საქართველო, მოსახლეობის მაჩვენებლის გათვალისწინებით, სტრასბურგში მის წინააღმდეგ შეტანილი საქმეების მიხედვით პირველია.

ადამიანის უფლებათა ექსპერტი, ბესო ბოხაშვილი სტრასბურგის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ სარჩელების რაოდენობის გაზრდის მიზეზებს ასახელებს.

„საჩივრების გაზრდის მთავარი მიზეზი, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომია. რუსების წაქეზებით, ოსებმა შეთითხნილი საქმეები შეადგინეს და დაახლოებით 2000-მდე სარჩელი გაგზავნეს სტრასბურგში. ამან უარყოფითად იმოქმედა საერთო სურათზე“, – განმარტავს ბესო ბოხაშვილი.

სტრასბურგში საქართველოდან შესული 4373 სარჩელი დარეგისტრირდა. აქედან ევროსასამართლომ – 293 დაუშვებლად ცნო, ან ამოიღო განსახილველი საქმეების სიიდან. განიხილა 35 სარჩელი, რომელთაგანაც 28-ში ევროკონვენციის დარღვევა დაადგინა

2009 წელს ევროპულმა სასამართლომ საქართველოდან გაგზავნილი 11 სარჩელი განიხილა და 11-ვე მოსარჩელის სასარგე-

ბლოდ დააკმაყოფილა. აქედან 7 დარღვევა არაადამიანურ და პატივის შემლახავ მოპყრობას შეეხებოდა; 1 – ეფექტური გამოძიების შეუძლებლობას; 6 – თავისუფლებასა და უსაფრთხოებას; 1 – პირადი ცხოვრების უპატივცემლობას;

საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული საქმეების უმეტესობა მესამე მუხლის – წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას ეხება.

საქმეში, „რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ“, დავა სწორედ წამების მუხლის დარღვევას ეხებოდა.

შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე ჯგუფური გამოძალვის ბრალდებით იხდიდნენ სასჯელს რუსთავის მე-5 საპყრობილეში. მსჯავრდებულებმა ევროპულ სასამართლოს საჩივრით მიმართეს. ისინი მათ მიმართ დამამცირებელ მოპყრობასა და საპყრობილეში არსებულ გაუსაძლის პირობებს ასაჩივრებდნენ.

მოსმენის შემდგომ ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების დარღვევა. წამების მუხლის დარღვევის საფუძველზე, სასამართლომ საქართველოს მხარე დაავალდებულა, რამიშვილი-კოხრეიძისთვის 20 694 ევრო გადაეხადა.

საპატიმროებში, პატიმართა მძიმე მდგომარეობას ადასტურებს ბესო ბოხაშვილიც, რომლის თქმით, სტრასბურგის სასამართლოში პატიმართა წამებაზე წარდგენილი საჩივრები – არა პატიმრების ფიზიკურად წამებას, არამედ პენიტენციურ სისტემაში არსებულ პირობებს, სამედიცინო დაწესებულებებში გამეფებულ მძიმე სიტუაციასა და დაკავებისას გადამეტებული ძალის გამოყენებას ეხება.

თუმცა, როგორც წესი, ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტებზე საუბარს მსჯავრდებულები თავს არიდებენ. რუსთავის მკაცრი რეჟიმის კოლონიის პატიმარი იმედა ბუთხუზი ჩივის, რომ მას ფიზიკურად არაერთხელ გასწორებია რუსთავის მეექვსე საპყრობილის უფროსი, გვარად გიგინეიშვილი.

ცემის ფაქტს ადასტურებს რომან ოვაკიმიანიც, რომლის მტკიცებით, 2006 წლის ივლისში მეექვსე საპყრობილის თანამშრომლებმა დავით მამუკაძემ და ზურაბ ზვიადაძემ მას უმოწყალოდ სცემეს, რის შედეგადაც მან ხერხემლისა და თავის არაერთი მძიმე დაზიანება მიიღო.

პატიმრები უახლოეს მომავალში ევროსასამართლოში ჩივილს აპირებენ. როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი, ნიკოლოზ ლეგაშვილი განმარტავს, მზადდება შესაბამისი სარჩელი სტრასბურგში გასაგზავნად.

მსჯავრდებულთა დაკავებისას, წინასწარი პატიმრობის გარდა, სხვა სახის სადამსჯელო ღონისძიებების არშეფარდების გამო, საპატიმრო დაწესებულებები პატიმრების რაოდენობას ვეღარ აუდიან. პატიმართა გადაჭარბებული რაოდენობის გამო, ციხეებში გაუსაძლისი მდგომარეობაა. ამიტომ, ისინი სახელმწიფოს სტრასბურგის სასამართლოში ყველაზე ხშირად წამების მუხლით უჩივიან. მოსამართლეთა არაკვალიფიციურობისა და ბრალის დაუსაბუთებლობის გამო კი, დავების უმრავლესობა სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ წყდება. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე წაგებულ 17 დავაში საქართველოს სახელმწიფომ მოსახლეობის ბიუჯეტიდან მომჩივანთა სასარგებლოდ 342899 ევრო გადაიხადა.

საეთაშორისო სასამართლოებში საქართველოსთან მიმართებაში ახსებული დავებზე ინფორმაციის მიღება იზღუდება

ივნისის ბოლოს, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ მესამე თავში ცვლილება შევა, რომლის თანახმადაც, მოსახლეობისათვის სახელმწიფოს მიერ წარმოებული დავების და სასამართლო პროცესების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი აღარ იქნება.

ცვლილების ინიციატორია მმართველი პარტიის საპარლამენტო უმრავლესობა. ავტორთა განმარტებით, კანონის მიზანია, დაიცვას სახელმწიფო, როგორც მხარე, სახელმწიფოს გარეთ წარმოებული დავებისას.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტის – თამარ კორძაიას განმარტებით, ცვლილება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაა.

„კონსტიტუციით, ინფორმაცია შეიძლება არ გაიცეს იმ შემთხვევაში, თუ ის წარმოადგენს – სახელმწიფო, პირად, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას. ეს ჩამატება, და არა ცვლილება, არც ერთ ამ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებს. ამას გარდა, კანონი ინფორმაციის გამცემ ორგანოს ვალდებულებას აკისრებს, დაასაბუთოს, რატომ ვერ გასცემს ინფორმაციას – ამ ინიციატივით ყველა ეს გონივრული წინაპირობა მოხსნილია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გვეუბნებიან, რომ საერთაშორისო სასამართლოებზე არ ვრცელდება ინფორმაციის თავისუფლება. ამ ქმედებით, რომელ ღირებულებას იცავს სახელმწიფო, სრულიად გაუგებარია; ამაზე არსად გვპასუხობენ!“ – განმარტავს კორძაია.

მისივე თქმით, კანონპროექტის ავტორთა არგუმენტაცია – დაიცვან მხარეთა თანასწორობა სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, ინფორმაციის გავრცელებით ვერანაირად ვერ დაირღვევა.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და ცვლილების ინიციატორი ლაშა თორდია, რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამტკიცებს, რომ ცვლილებები არ ეწინააღმდეგება არანაირ საერთაშორისო ვალდებულებას, საჯარო ინფორმაციის მიღება პრობლემა არ იქნება მხარეებისთვის, თუმცა სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის თავისი პოზიციის საჯარო დისკუსიის საგნად ქცევა.

კითხვაზე, თუ რატომ უნდა დაიფაროს სახელმწიფოს პოზიცია, თორდია პასუხობს: „წინასწარ არ უნდა იყოს ცნობილი, თუ რა პოზიციაზე დგახარ... რასაც იცავ, ის რომ არ გახდეს საჯარო დისკუსიის თემა... ეს ცნობილი არ უნდა იყოს, რადგანაც ეს ხდება სასამართლო პროცესის დროს, სანამ მიმდინარეობს დავა... გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ უკვე შესაძლებელი იქნება, ყველამ თავისუფლად ისაუბროს ამ საკითხებთან დაკავშირებით“...

იურისტ თამარ კორძაიას განმარტებით, ჩამატება კანონში თვალნათლივ ეწინააღმდეგება ევროკონვენციის მეათე მუხლს. კანონში ცვლილების შეტანა ქართული სიტყვის თავისუფლებას უკან დახევს.

გამოსაშვები გამოცდები

მაშინ, როცა ჩეხეთ ვეხ ხდება ტეხიტოხია

2011 წლიდან ატესტატის მისაღებად მოსწავლეებს დაახლოებით ათ საგანში მოუწევთ გამოცდის წარმატებით ჩაბარება. ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზად მთავრობამ – მოსწავლეების მობილიზების ხელშეწყობა, სწავლის მოტივაციის, მოსწავლეების ცოდნის ხარისხისა და მოცულობის გაზრდა დაასახელა. ამ მიზნების მისაღწევად გამოცდების სისტემის გამოყენება უტოპიური და არაკომპეტენტური გზაა.

სიმონ ჯანაშია

ფოტო: ბარბარა ქოროლევსკაია

ერთიანი ეროვნული გამოცდები, თბილისი, 1 ივლისი 2010

იმისთვის, რომ გავარკვიოთ თუ რამდენად მოემსახურება ეს გამოცდები ქართველი მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებას, უნდა გავიაზროთ ამ გამოცდის ფორმატი და შინაარსი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, მოსწავლეს გამოცდაზე მოუწევს „მინიმალური კომპეტენციის ზღვარის“ გადალახვა, იმისთვის, რომ დაადასტუროს საკუთარი მზადყოფნა სკოლის ატესტატის მისაღებად.

რა შეიძლება იგულისხმებოდეს მინიმალური კომპეტენციების ზღვარში? პასუხის საილუსტრაციოდ მინისტრი ხშირად ამბობს, რომ გამოცდებზე მოსწავლეს დასჭირდება მათემატიკური ოპერაციების შესრულებაში იმგვარი კომპეტენციის ფლობა, როგორიც მაგალითად 80-ის ხუთი პროცენტის გამოთვლისთვის არის საჭირო. ასევე ითქვა ისიც, რომ ეს გამოცდა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლე, რომელმაც არ იცის, თუ რა იწვევს ბუნებრივი სეზონების ცვლას, ვერ მიიღებს ატესტატს.

ერთი შეხედვით, მშვენიერი იქნება, თუ ატესტატის ყველა მფლობელს ექნება ამგვარი კომპეტენციები. ასევე საუცხოო იქნებოდა, გამოსაშვები გამოცდები ამ კომპეტენციების მიღწევას მართლაც რომ უწყობდეს ხელს. იმის დასაჯერებლად, რომ მოსწავლე, რომელსაც პროცენტის გამოთვლა არ ეცოდინება, ატესტატს ვერ აიღებს, ის უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ უზრუნველყოფს გამოცდის ფორმატი ამას.

წარმოიდგინეთ მოსწავლე, რომელიც მათემატიკაში გამოსაშვებ გამოცდას აბარებს. დავუშვათ, რომ ტესტზე ორმოცდაათი კითხვაა. მათ შორის არის ერთი, ორი ან სამი, რომელიც პროცენტის გამოთვლას ეხება. იმ შემთხვევაში, თუ ტესტზე დაწესებულია გამსვლელი ქულა (მაგ. სწორი პასუხების 50%), მაშინ დასაშვები ხდება, რომ მოსწავლე, რომელსაც არ ეცოდინება პროცენტის გამოთვლა, სხვა ცოდნის საფუძველზე, ე.წ. მინიმალური კომპეტენციის ზღვარს მაინც გადალახავს. ერთადერთი გზა, რომლითაც ჩვენ უზრუნველვყოფთ იმას, რომ ტესტირების ფარგლებში წარმატებულ მოსწავლეს ეცოდინება პროცენტის გამოთვლა, ის არის, რომ კონკრეტულ შეკითხვაზე სწორი პასუხების გაცემა იყოს სავალდებულო და არა გამსვლელი ქულის გადალახვა. აპირებს ასეთი მოთხოვნების შემოღებას სახელმწიფო გამოსაშვებ ტესტებზე? სავარაუდოდ – არა!

იმის დასადგენად, თუ რამდენად უზრუნველყოფს გამოცდა განათლების მინიმალურ ხარისხს ან ცოდნას, მნიშვნელოვანია ტესტის შინაარსიც შევისწავლოთ. თვალსაჩინოებისთვის გადავხედოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ „2011 წლის ატესტატის მინიმალური კომპეტენციის პროგრამას“ ისტორიაში. გთავაზობთ მცირე ექსპერიმენტს. სანამ სტატიის კითხვას გააგრძელებთ, გამოიცანით, ჩამოთვლილთაგან რომელი საკითხები არ იქნება

გათვალისწინებული მინიმალური კომპეტენციების დასადგენი სკოლის დამამთავრებელი ტესტის ფარგლებში?

1. ძველი ეგვიპტის ცივილიზაცია
2. ძველი შუამდინარეთის ცივილიზაცია
3. ძველი ინდური და ჩინური ცივილიზაციები
4. მეზოამერიკული ცივილიზაციები
5. ხალხთა დიდი გადასახლებები
6. ოტომანთა იმპერია
7. შუა საუკუნეების დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები
8. მსოფლიო რელიგიები
9. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება
10. სახელმწიფოების მოწყობის მოდელები
11. ისტორიული წყაროები, მათი ანალიზი და ინტერპრეტირება
12. ისტორიული კვლევის დაგეგმვა და განხორციელება

თუ ფიქრობთ, რომ რომელიმე ეს საკითხი შესულია ე.წ. „მინიმალური კომპეტენციების სტანდარტში“, ცდებით. გამოსაშვებ ტესტში საკითხები ამ თემების შესახებ არ იქნება. სამაგიეროდ, არის შესული 39 დასახელების სხვა საკითხი. მაგალითად, სკოლადამთავრებულმა გამოცდაზე უნდა დაადასტუროს, რომ იცის – ვინ იყო ფარსმან ქველი და მურვან ყრუ. ამავე დროს მას არ სჭირდება იმის გამოვლენა, რომ იცის, ვინ იყო რამზესი, შარლემანი, კოლუმბი ან იმის ცოდნა, თუ რა განსხვავება და მსგავსებაა მონარქიასა და დემოკრატიას შორის. როგორ შეიძლება ეს გამოცდა კომპეტენტურობის საზომი იყოს, თუ მოსწავლეს ასეთ მნიშვნელოვან ცოდნის დადასტურებას არ ვთხოვთ?

ერთი შეხედვით გამოცდის შინაარსობრივი ნაკლის პრობლემის გადაჭრა მარტივია. დავამატოთ ეს საკითხები საგამოცდო პროგრამას, და ყველაფერი მოგვარდება. თუ რაიმე გამოგვრჩება, მომავალში მათაც აუცილებლად დავამატებთ. შესაბამისად, ჩვენ შევძლებთ გამოსაცდელ საკითხთა წრე მუდმივად გავაფართოვოთ. კაცმა რომ თქვას, თუ გამოსაშვები გამოცდების იდეის ავტორებს დავეთანხმებით, გამოცდა ხომ სწორედ ცოდნას განაპირობებს და რასაც შევიტანთ გამოცდაზე, ის ეცოდინებათ ჩვენს მოსწავლეებს.

ეს მიდგომაა სწორედ უტოპიური. განათლების სისტემა ამ გზით ვერაფერს მიაღწევს. სამაგიეროდ, ასე, შესაძლოა, რეალობაში გავაცოცხლოთ ბორხესისა და ლუის კეროლის ნაწარმოებებში აღწერილი სასაცილო ვითარება, როდესაც კარტოგრაფები რუკის სიზუსტის გასაზრდელად სულ უფრო მეტად დეტალიზებულს ხდიან მას. საქმე ბოლოს იქამდე მიდის, რომ რუკა 1:1 მასშტაბის ხდება და თითქმის ზუსტად იმეორებს ლანდშაფტს. ასეთი რუკა აზრს კარგავს, რადგან პრაქტიკულად გამოუსადეგარია.

ასევე შეიძლება დამთავრდეს ჩვენი მცდელობა, რომ იმის ნაცვლად, რომ რუკა ნავიგაციისთვის გამოვიყენოთ, ლანდშაფტის შეფასების მთავარ ინსტრუმენტად განვიხილოთ. ბუნების გასაცნობად რუკა არასოდეს იქნება საკმარისი, ისევე როგორც ტესტი ვერასოდეს იქნება მოსწავლის მრავალწლიანი გამოცდილების შედეგების მთავარი საზომი. ტესტი ვერც მისი კომპეტენტურობის საწყაო იქნება, რადგან კომპეტენცია ნიშნავს კონკრეტული ამოცანის შესრულებისათვის საჭირო უნარს. იგი მოიცავს უნარების, ცოდნისა და ქცევის ერთობლიობას (განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისთვის - ავტ.).

ცხოვრებისეული პრობლემებისა და ამოცანების ნაირგვაროვნება კი ისევე შეზღუდულად შეიძლება ავსახოთ ტესტში, როგორც ბუნებრივი მრავალფეროვნება რუკაზე.

ერთი მხრივ, იდეის ავტორები მართლები არიან. ტესტი იმით განსხვავდება რუკისგან, რომ მას იმის შეცვლა შეუძლია, რასაც ის აღწერს. არ სჭირდება მოსწავლეს აცტეკებისა და ინკების შესახებ ცოდნა, რადგან ეს მინიმალურ კომპეტენციებში არ შედის. არც იმის ცოდნა სჭირდება, თუ რა არის იუდაიზმი. არც იმის ცოდნა სჭირდება, თუ როგორ უნდა გაარკვიოს ისტორიული წყარო ავთენტურია თუ არა, რადგან ეს საკითხები გამოცდაზე არ იქნება. სამაგიეროდ, მოსწავლეს შევუწყობთ ხელს, რომ ის საკითხები „ისწავლოს“, რაც გამოცდაზე იქნება. ეს მიდგომა კი იმას ჰგავს, რომ ისეთი რუკა შევქმნათ, რომელიც, თავისი შეზღუდულობის გამო, ბუნებრივ გარემოსაც უბიძგებდეს შეზღუდულობის, მაგრამ გაზომვადობისა და სტანდარტიზებულობისკენ. სამაგიეროდ, ასეთი რუკა არასდროს მოგატყუებთ და ისევე, როგორც გამოსაშვები გამოცდებით გამყარებული ატესტატი, მხოლოდ „ჭეშმარიტ“ ინფორმაციას მოგაწვდით.



განათლება

მაჩტო, "მაუსის" ჰიჩისჰიჩ

მიუხედავად იმისა, რომ პირველკლასელებიც კი უკეთ ფლობენ კომპიუტერს, მასწავლებლების უმრავლესობა ბეჯითად ცდილობს ახალი ტექნოლოგიების ათვისებას.

თამარ ფარადაშვილი

ფოტო ლევან ბერიძისა

მასწავლებლები ახალი ტექნოლოგიების ათვისებისას

განათლების სამინისტროში გახსნილი საინოვაციო ტექნოლოგიების ცენტრი მომავლის საკლასო ოთახის მოდელს წარმოადგენს. ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი ელექტრონული დაფაა, რომელიც ლეპტოპთანაა შეერთებული და ათასნაირ ფუნქციას ასრულებს. მაგალითად, ტესტირების დროს დაფა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, მონაფეების პასუხები პირდაპირ ლეპტოპში მიიღოს – ბავშვები მერხებთან ისხდნენ, ხელში პულტები ჰქონდეთ მომარჯვებული და სწორი პასუხები პირდაპირ ლეპტოპში გაგზავნონ, შედეგები კი კომპიუტერულმა პროგრამამ მომენტალურად დააჯამოს. ქიმიის გაკვეთილზე კი ელექტრონული დაფა პირდაპირ ვირტუალურ ლაბორატორიად გარდაიქმნება.

ელექტრონულ დაფებს „ჰიტაჩი“ და „სამსუნგი“ აწარმოებს. საქართველოს განათლების სამინისტროს ვებ-გვერდზე წერია, რომ დაფა სიახლეა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ბევრ განვითარებულ ქვეყანაშიც. იაპონიის 30 ათასამდე დაწყებით და დამამთავრებელ სკოლაში ელექტრონული დაფები ერთი თვის წინ შეიტანეს, მომავალი სასწავლო წლის დაწყებისთვის კი გეგმავენ სასკოლო სახელმძღვანელოების 50 პროცენტის გაციფრულებას.

„ელექტრონული დაფა და ციფრული სახელმძღვანელოები ბავშვებს სწავლაში უდავოდ დაეხმარება, მაგრამ შეძლებენ კი მასწავლებლები ამ მაღალი ტექნოლოგიების ათვისებას?“ – ეჭვობენ იაპონელი განათლების ექსპერტები.

თბილისის 187-ე სკოლის ინფორმატიკის კაბინეტში 12 მასწავლებელი წრიულად განლაგებულ კომპიუტერებთან ზის და ცდილობს, მითითება შეასრულოს – მეილიდან ჩამოტვირთოს ექსელის დოკუმენტი. ნაწილი ამას სწრაფად აკეთებს და მეორე ეტაპზე გადადის – დოკუმენტში მოსწავლის ნიშნებს აჯამებს. მასწა-

„ერთ დღეს მათემატიკის მასწავლებელმა მთხოვა, – ვერ ვაკეთებ და თუ შეგიძლია, ფაუერფოინთში პრეზენტაცია ამიწყვეო. ცოტა გამიკვირდა, მაგრამ მერე, კლასი ჩემს მომზადებულ მასალას რომ უყურებდა, ვამაყობდი“.

ვლებელთა მეორე ნაწილი კი მეილის ფუნქციებს გაუბედავად ათვალიერებს. ღილაკზე დაწკაპუნებას ვერ ბედავს და ტრენერს ელოდება.

მიუხედავად იმისა, რომ მეილიდან დოკუმენტის ჩამოტვირთვა რამდენიმე დღის წინათ ისწავლეს, ამ ოპერაციის შესასრულებლად განმეორებით ახსნა მაინც სჭირდებათ.

„სახელი და გვარი სად უნდა ჩავწერო?“ – კითხულობს ერთი მასწავლებელი. მეორე მოსწავლის სახელსა და გვარს ქართული ფონტით ვერ წერს. შ-ს ნაცვლად ს იწერება, რ-ს ნაცვლად – ღ, ზოგი ასო კი საერთოდ არ ჩანს. რამდენიმე მასწავლებელი თავს ეხვევა, კლავიატურას ერთად ათვალიერებენ და ცდილობენ, სასურველი ასოები გამოაჩინონ ეკრანზე. ტრენერის დახმარება მაინც აუცილებელი ხდება, რადგან არც ერთმა პედაგოგმა არ იცის, რომ, ღილაკ Caps Lock-ზე დაჭერის შემთხვევაში, ყველა ასო არ იწერება.

ეს მასწავლებლები ტრენინგს ესწრებიან, რომლის მიზანი სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების სწავლებაა.

მათ „ელექტრონული დაფის მომავლამდე“ დიდი დრო აშორებთ, გაკვეთილებს დღესაც ტრადიციულად – სტანდარტული დაფითა და სახელმძღვანელოებით ხსნიან.

ტრენინგების ძირითადი მიზანია: სერტიფიკატების გაცემის შემდეგ პედაგოგებმა შეძლონ, რომ, მაგალითად, მიზიდულობის ძალა ანდა წინადადებების წევრების გარჩევა მოსწავლეებს კომპიუტერში მომზადებული პრეზენტაციით აუხსნან.

70 ათასი პედაგოგიდან დღემდე სერტიფიკატს მხოლოდ 1724 მასწავლებელი ფლობს. თუმცა, სერტიფიკატი არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ტრენინგგავლილ პედაგოგს შეუძლია, მაგალითად, კლასს „შუშანიკის წამება“ კომპიუტერულ პროგრამა „ფაუერფოინთში“ გაკეთებული პრეზენტაცით აუხსნას და ასე შეძლოს ბავშვისთვის წარსულთან ასოცირებული, ძველქართული ტექსტი, „თანამედროვე“ გახადოს.

ამის მიზეზი ისიცაა, რომ ტრენინგის შემდეგ მასწავლებლების უმეტესობა კომპიუტერთან ურთიერთობას წყვეტს და პროგრამების გამოყენება ავიწყდება. მართალია, საჯარო სკოლებში ყოველ 22 მოსწავლეზე ერთი კომპიუტერია გამოყოფილი, პედაგოგებს მაინც არ ჰყოფნით მოტივაცია, გაკვეთილების შემდეგ სკოლაში დარჩნენ და ცოდნა აღიდგინონ, თუნდაც იმ სახელმძღვანელოს მეშვეობით, რომელიც ტრენინგზე დაურიგეს.

„მირჩევნია, დავჯდე და ბავშვები მოვამზადო. რისთვის ვხარჯო ამდენი დრო?“ – ამბობს თბილისის საჯარო სკოლის ერთ-ერთი პედაგოგი, რომელიც იმიტომ, რომ 200 ლარად მუშაობა არ უღირს, მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში ამზადებს.

„ხანდახან მასწავლებლები დავალების გარეშე მოდიან და ამბობენ – პანაშვიდზე ვიყავი, შვილმა არ დამსვა კომპიუტერთან, დაღლილი ვიყავი, ტრიმესტრის ბოლოა და ნიშნები გამომყავდა, – ამბობს პედაგოგების ტრენერი, ზაზა ქარსაულიძე, – არადა, ტრენინგი ზუსტად იმისათვისაა, რომ ნიშნები ექსელის პროგრამით გამოიყვანონ და კალკულატორზე აღარ იწვალონ“.

მეორე დონის ტრენინგზე მოსახვედრად მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ ტექსტურ რედაქტორში მუშაობა, იმეილის შემოწმება და ინტერნეტში ძიება. თუმცა იმიტომ, რომ კომპიუტერი მაინც არ არის პედაგოგების ყოველდღიურობის ნაწილი, მეორე დონის ტრენინგზე სერტიფიცირებულ მასწავლებლებსაც კი ზოგჯერ ისეთი განცდა აქვთ, თითქოს კომპიუტერს პირველად ხედავენ. ტრენერები იხსენებენ, რომ ხშირად მასწავლებლებს მაუსთან შეხებისაც კი ეშინიათ, ფიქრობენ, რომ პროგრამა აირევა, დოკუმენტი დაიკარგება ან მასალა, რომლის შექმნაზეც დიდხანს იწვალეს, წაიშლება.

ასე იყო 187-ე სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგის, დოდო დანელიას შემთხვევაშიც. თუმცა, ტრენინგში მონაწილეობა მაინც გადაწყვიტა, რადგან მიხვდა, რომ თუკი კომპიუტერის დახმარებით ჩაატარებდა გაკვეთილს, ამით საკუთარი მოსწავლეების ენაზე დაიწყებდა ლაპარაკს და მათგან უფრო მეტ ნდობასაც მოიპოვებდა.

„მეგონა 58 წლის ასაკში კომპიუტერს ვერ ავითვისებდი. მასთან მიკარებისაც მეშინოდა, მაგრამ ტრენერმა კომპიუტერის ისეთი შესაძლებლობები მაჩვენა, ერთი სული მაქვს, როდის დავეუფლები იმ დონეზე, რომ გაკვეთილზე გამოყენება შევძლო“, – ამბობს დოდო დანელია.

„კომპიუტერთან მუშაობა მომავალი თაობის პრეროგატივაა. მეშინია, რომ პრეზენტაციის დროს რამეს ისე ვერ გავაკეთებ, ბავშვები გამომიჭერენ შეცდომაში და სულ დაძაბული უნდა ვიყო“, – ამბობს თბილისის ერთ-ერთი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის 55 წლის მასწავლებელი. ამ ქალბატონმა, რომელიც ვინაობას არ ამხელს, ტრენინგში მონაწილეობა სკოლის დირექტორის თხოვნით მიიღო (რომლის მოვალეობაცაა მასწავლებლების კონტროლი), სერტიფიკატიც აიღო, მაგრამ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით გაკვეთილი არც ერთხელ არ ჩაუტარებია.

მეთერთმეტე კლასის მოსწავლე, ერეკლე გამყრელიძე ყოველდღე იღებს ფოტოებს და მათ ფოტოშოპში ამუშავებს. მუვიმეიქერის საშუალებით პატარა ფილმებიც გაუკეთებია. „ერთ დღეს მათემატიკის მასწავლებელმა მთხოვა, – ვერ ვაკეთებ და თუ შეგიძლია, ფაუერფოინთში პრეზენტაცია ამიწყვეო. ცოტა გამიკვირდა, მაგრამ მერე, კლასი ჩემს მომზადებულ მასალას რომ უყურებდა, ვამაყობდი“, – ამბობს ერეკლე.

საინოვაციო ტექნოლოგიების ცენტრის გახსნას განათლების სამინისტროში დიდ მიღწევად მიიჩნევენ. ამბობენ, რომ ცენტრში ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილის ჩატარება, თუმცა ქართველი პედაგოგების უმრავლესობა ჯერ ისევ იმეილის გახსნას და ექსელის პრიმიტიული ოპერაციების შესრულებას სწავლობს.

„რადგან მასწავლებლებს კომპიუტერთან მუშაობისას პრობლემები ექმნებათ, ამის გამო ნუ ვიქნებით სკეპტიკურები. არ ვეთანხმები აზრს, რომ მოთხოვნა წარმოშობს მიწოდებას, თუ მიწოდება არ იქნება, მოთხოვნაც არ გაჩნდება, ახლა სწორედ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე“, – ამბობს განათლების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე, ბადრი ნიაური.

ვიდრე სკოლებში ელექტრონულ დაფაზე მოთხოვნა გაჩნდება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი წლის ბოლოს შეაჯამებს, რამდენად ეფექტურად აითვისეს მასწავლებლებმა ახალი ტექნოლოგიები და მომავალი ტრენინგების დაგეგმვის დროს გამოვლენილ ხარვეზებს გაითვალისწინებს.

ფოტოები ლევან ხარბედილიძე

სკოლამდელი აღზრდა

მე-20 საუკუნეში დაჩენილი ბაბა-ბალები

საბავშვო ბაღები მოძველებული მეთოდოლოგიით მუშაობენ.

ნათია ახალაშვილი

„აბა დავიწყეთ! ხმამაღლა!“ – ამზადებს ბაღის დირექტორი 37 აღსაზრდელს.

„მოწყენილი სახეები დღეს არ იქნებაა“... – მთელი მონდომებით, ერთხმად იწყებენ პატარები სიმღერას.

ჯგუფი გამოსაშვები ზეიმისთვის ემზადება. წელიწადში მინიმუმ 4 ზეიმი ყველა ბაღში დაუწერელი კანონივითაა – შემოდგომის, საახალწლო, საგაზაფხულო და სასწავლო წლის ბოლოს. ამ დღეასწაულისთვის მზადება ბაღების დღის გრაფიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

„მოწყენილი სახეები...“, „ჩიტო, ჩიტო, ნაცარა“, „საყვარელო მამულო“ – ეს ის სიმღერებია, თითოეული ბაღის არსებობიდან დღემდე ყველა თაობის აღსაზრდელს რომ უმღერია. უკვე 10 წელიწადზე მეტია, ბაღებს ახალი პროგრამა არ მიუღიათ. წესით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამებს, ზოგად მეთოდიკას, სახელმძღვანელოებსა და დამხმარე ლიტერატურას განათლების სამინისტრო უნდა აწოდებდეს. მაგრამ, ერთიანი სასწავლო პროგრამა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებისთვის არ არსებობს.

თითოეული ბავშვი ბაღში ყოფნის დროს რას გააკეთებს, ეს ბაღის დირექტორისა და პედაგოგის მონდომებაზე, ფანტაზიასა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული. იმის გამო, რომ, ყოველგვარი სტრატეგიის გარეშე, უკვე თაობები იზრდება, ბაღის ზოგიერთი ხელმძღვანელი აღარ ელოდება ნანატრ პროგრამას და ცდილობს, თავად მოძებნოს სხვა ქვეყნების სკოლამდელი აღზრდის პროგრამები და საკუთარ გარემოს მოარგოს. ზოგ ბაღში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეთავაზებულ სასწავლო პროგრამებსაც (პროგრამა „ნაბიჯ-ნაბიჯ“) იყენებენ.

ადრე პედაგოგებს ტრენინგებიც უტარდებოდათ, რაც ბოლო წლებში შეწყდა. „ადრე სპეციალისტები მოდიოდნენ, გვქონდა ლექციები, უკვე რამდენი წელია, არავის შემოუხედავს და მივდივართ ძველი პროგრამით“, – ამბობენ 27-ე ბაღში.

ბაღის მასწავლებლის ხელფასი 80-დან 250 ლარამდე მერყეობს, რის გამოც, არც ახალგაზრდებს უჩნდებათ იმის სურვილი, რომ ბაღის პედაგოგად იმუშაონ.

მაშინ, როცა ბაღებისთვის თანამედროვე სასწავლო პროგრამა არ არსებობს, აღმზრდელები გამოსავალს „სასკოლო გარემოს“ შექმნაში პოულობენ. შედეგად, ბაღის ზოგმა აღსაზრდელმა სკოლაში მისვლამდე უკვე წერაც იცის, კითხვაც და ანგარიშიც. ამ „შედეგებით“ ყველა

172-ე ბაგა-ბაღი, თბილისი

წელიწადში მინიმუმ 4 ზეიმი ყველა ბაღში დაუწერელი კანონივითაა – შემოდგომის, საახალწლო, საგაზაფხულო და სასწავლო წლის ბოლოს. ამ დღესასწაულისთვის მზადება ბაღების დღის გრაფიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილია.

კმაყოფილია – მშობლებიც, პედაგოგებიც, ბაღის დირექციაც და ამ წახალისებით გახარებული ბავშვებიც. მაგრამ განათლების ექსპერტები და ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ეს არასწორი მიდგომაა.

„როცა პირველ კლასში მოსული ბავშვი უკვე კითხულობს, ანგარიშობს და წერს, როგორც წესი, მთელი წელი არ ვითარდება. მისთვის სწავლა მოსაწყენია, ჰგონია, რომ უკვე ყველაფერი იცის, და აღარ ცდილობს რაიმე დაამატოს. არადა, ბაღებში ბავშვთა მოტორიკაზე უნდა მუშაობდნენ, როცა ეს არ ხდება, სკოლაში შეფერხებები იჩენს ხოლმე თავს“, – განმარტავს სკოლის ფსიქოლოგი თინათინ ცერცვაძე.

ბაღში ბავშვის ხელოვნური მომზადება არ მოხდებოდა, თუკი აღმზრდელებს სპეციალური თამაშებითა და სავარჯიშოებით ბავშვის მსხვილი და წვრილი მოტორიკის, ყურადღების, მეხსიერების, კოორდინაციის განვითარების საშუალება ექნებოდათ.

ბაღის თითო ჯგუფში 35-40 ბავშვია. ერთდროულად ამდენ ბავშვთან სრულფასოვნად მუშაობა ერთ აღმზრდელს უჭირს და ამიტომ პროგრამის შედგენისას ეს ფაქტორიც მოქმედებს. ბაღებს ისეთი პროგრამის შედგენა უწევთ, რომ თამაშში ყველა ბავშვის ჩართვა მოახერხონ.

„ძალიან რთულია ამდენ ბავშვთან სრულფასოვანი მუშაობა. ეზოში თუ გავდივართ, ხომ სულ ბავშვებს ვითვლი“, – აცხადებს ვაკე-საბურთალოს რაიონში მდებარე ერთ-ერთი ბაღის პედაგოგი. მისივე თქმით, ბავშვებს იმ მასალებით აძერწინებენ ან ახატვინებენ, რაც აქვთ. „თიხა, უკვე რამდენი წელია, აღარ გვქონია. ახლა ძირითადად პლასტელინით ვძერწავთ, კვირაში ერთხელ“.

სწორედ ამ ფაქტორით ხსნის თინათინ ცერცვაძე იმას, რომ ბაღებში, მათთვის განკუთვნილი მეთოდების ნაცვლად, ამჯობინებენ, სკოლას მიმსგავსებული მეცადინეობის ფორმებს მიმართონ.

„გამორიცხულია, კოორდინაციის სავარჯიშოები 35-40 ბავშვს თუნდაც კვირაში ერთხელ ჩაუტარო. ამ დროს ეს ყოველდღეა საჭირო. 35 ბავშვთან, ერთ ოთახში თამაშის ორგანიზებაც კი წარმოუდგენელი მგონია. მაშინ ბავშვების „გაწვრთნაზე“ უნდა იყოს მიმართული პედაგოგი და შედეგადაც გაწვრთნილი ბავშვი უნდა მიიღოს. სხვა გზა არ აქვს, თუნდაც იდეალურ მასწავლებელს“.

თბილისის ბაღებში კიდევ ერთი პრობლემაა ჯგუფებისთვის განკუთვნილი მცირე ფართობი. საბჭოთა პერიოდში ბაღის თითო ჯგუფს სამი ოთახი ჰქონდა: ერთი – ძილისთვის, ერთი – კვებისთვის და ერთიც – სხვადასხვა აქტივობისთვის. დღეს კი ერთი ჯგუფისთვის ერთი, ან უკეთეს შემთხვევაში, ორი ოთახია გამოყოფილი. ბაღებში მხოლოდ ბაგა-ჯგუფის ბავშვები იძინებენ.

თბილისის მერიაში ოთახების სიმცირეს იმით ხსნიან, რომ ბაღებში ბავშვების რაოდენობამ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში მკვეთრად იმატა. 2007 წელს თუ 27 ათასი ბავშვი დადიოდა თბილისის 195 ბაღში, დღეისათვის დარჩენილ 158 ბაღში მათი რაოდენობა უკვე 40 ათასს აღწევს.

მუნიციპალიტეტში ამბობენ, რომ ბაღების რაოდენობის კლება იმიტომ მოხდა, რომ ზოგი შენობა ავარიული იყო, ზოგან კი დევნილები ჩასახლდნენ. თუმცა, 2006 წლის შემდეგ, რაც ბაღები ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს გადაეცათ, თბილისში რამდენიმე ახალი ბაღიც გახსნილა, ისეთ ადგილებში, სადაც დიდი მოთხოვნა იყო. თუმცა, როგორ ჩანს, მოთხოვნა თითქმის მთელი ქალაქის მასშტაბით დიდია.

თბილისის სხვადასხვა ბაღში მისულებს განცხადებების დაფაზე გაფრთხილებები გვხვდება, რომ ბაღში ადგილები აღარ არის. მერიაშიც აღიარებენ, რომ ბაღებს ფართობის პრობლემა აქვთ და ბავშვებს ვერ იტევენ, მაგრამ კონკრეტული გამოსავალი ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის.

ბაღები თბილისში მუნიციპალიტეტისგან ვაუჩერული სისტემით ფინანსდებიან. დაფინანსება ბაღში ბავშვების რაოდენობაზეა დამოკიდებული და წელიწადში 600-დან 1000 ლარამდე მერყეობს. რაც უფრო მეტია ბავშვი ბაღში, მით ნაკლები დაფინანსება მოდის თითო ბავშვზე. ამ თანხაშია გათვალისწინებული ყველაფერი, რაც ბაღს სჭირდება. მერიამ, ამის გარდა, მხოლოდ კაპიტალური რემონტის პასუხისმგებლობა დაიტოვა.

სარეკომენდაციო ხასიათის სასწავლო გეგმისა და მეთოდოლოგიური მასალების შემუშავებას განათლების სამინისტროში 2010 წლის ბოლოსთვის აპირებენ. მანამდე კი უკვე თაობები ასრულებენ ბაღს ისე, რომ ყველაზე საყვარელ და სასარგებლო ძერწვას, ხატვას და თამაშებს უფროსები, სხვადასხვა გარემოებების გამო, მეცადინეობას და სხვადასხვა სეზონის ზეიმისთვის მზადებას ამჯობინებენ.

ჩოგოჩ "გავაჯეთოთ" ევრო-ბელტეხელი საქართველო

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს საგარეო პროექტები

დავით ბუხრიკიძე

სულხან ცინცაძის სიმებიანი კვარტეტი, ბერლინი, სექტემბერი 2009

პარიზი, ბერლინი, ამსტერდამი, მადრიდი, რომი, ოსლო... ევროპის ათვისების მასშტაბით გასაკეთებელი კულტურის სამინისტროს გაცილებით ნაკლები დარჩა, ვიდრე გიგი უგულავას – თბილისის ულიფტო და ცუდად გადახურულ გარეუბნებში. მინისტრ ნიკა რურუას საქმიანი კრეატიულობა და მიზანდასახულობა ზენიტს აღწევს. მას სამინისტროში ვერასდროს ნახავთ, თუმცა, არაოფიციალური წყაროებით, პარასკევი ბედნიერი გამონაკლისია. მინისტრი ხან კანის კინოფესტივალის წითელ ხალიჩაზეა, ხან ოსლოს ოპერაში, ხანაც პარიზის „პალე დე ტოკიოს“ საგამოფენო დარბაზში. მოკლედ, იქ, სადაც ქვეყანას სჭირდება.

ეს ომგავლილი და კრიზისდალეული საქართველოს ახალი და თითქმის იმპროვიზებული სტრატეგიაა, რომელიც ქვეყნის შიგნით იარების მოშუშებასა და დავიწყებას გულისხმობს, ხოლო საზღვარგარეთ დიდი კულტურულ-ისტორიული არქეტიპების გაცოცხლებას. რეპრეზენტაციის ფორმები არც ახალია და არც მოულოდნელი. სამინისტრო ძირითადად, თვალისთვის და ყურისთვის საამო ეროვნული პროექტების ევროპაში გატანის კოხტად შეფუთვაზე მუშაობს. ეს, ერთი მხრივ, ამარტივებს სამინისტროს პოლიტიკას და მის საქმიანობას და, მეორე მხრივ, აძნელებს ფინანსური გამჭვირვალობის ხარისხს.

სტრატეგია თითქმის ერთი და იგივეა: ჯერ ხანგრძლივი მოთელვითი სამუშაო, რომელიც სამინისტროს მიერ ფინანსების მოძიების ნაკლებად მტკივნეულ პროცესთან ერთად, სანდოდ დახვეწილ და კართან დაახლოებული ხელოვანების ნატიფ გავარჯიშებას გულისხმობს; შემდეგ პროგრამაში აუცილებელია ფოლკლორის ცეცხლოვანი ელემენტების შეტანა და უფრო მსუბუქად კლასიკური თუ თანამედროვე მუსიკალური ჟესტის დამატება. პლუს ფოტოგამოფენა პირობითი სახელწოდებით „მე მიყვარს საქართველო“ ან „საქართველო ვარდების რევოლუციის შემდეგ“. ამას მოსდევს აქტიური საინფორმაციო პიარი, ტელერეპორტაჟები პარიზის თუ მადრიდის ღირსშესანიშნავი ხედებით, სანაქებო ქართული ღვინის ოდნავ მორცხვი რეკლამა და ბოლოს, ქვეყნის პირველი პირის დასწრება ქართული კულტურის დღეების გახსნაზე.

სამინისტროს ბოლოდროინდელი საგარეო პროექტებიდან აღსანიშნავია კანის კინოფესტივალზე წარდგენილი საკმაოდ ვრცელი ქართული პავილიონი, რომელიც, ეროვნული კინოცენტრის დახმარებით, კრუაზეტის სანაპიროს გაზარმაცებულ პროდიუსერებსა და კინოპუბლიკას ქართულ კინოპროდუქციას სთავაზობდა. მადრიდის ცენტრში, სალვადორ დალის მოედანზე გახსნილი სამხატვრო გალერეა „საქართველო“, ცხადია, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა გია ბუღაძემ მინისტრთან ერთად „აკურთხა“.

უპატივცემულოდ არც შოთა რუსთაველი დარჩა, რომლის ბიუსტი რომში, „ვილა ბორგეზეს” ცნობილ პარკში, გოეთესა და ჰიუგოს გვერდით დაიდგა. ცხადია, როგორც ყველგან, იქაც უხვად იყო ევროზონასთან მისაახლოებელი სალამ-ქალამი, მინისტრ ნიკა რურუას მოკლე და ამაღელვებელი „სპიჩი“, ლირიკული პურისჭამა და „თელიანი ველის“ ღვინოები ანსამბლ „რუსთავის“ სიმღერისა და პიანისტ ვალერიან შიუკაშვილის მიერ შესრულებულ შოპენ-შუმანის ფონზე. საავარსკვლავოდ გამზადებულ სოფო ნიჟარაძეს „ევროვიზიის“ საკონკურსო სიმღერის – „შაინის“ შესრულება მეორედ მოუხდა ოსლოში, სადაც ქართული კულტურის დღეები მოეწყო. მას ზურგს მოდერნისტული ჯგუფი „შინ“ და კლასიკური ფოლკლორული „ერისიონი“ უმაგრებდნენ.

და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მაისის ბოლოს პარიზში, თანამედროვე ხელოვნების ცენტრ „პალე დე ტოკიოში“ გამართული „ქართული გაზაფხულის“ გახსნა. გამოფენას დაესწრო პრეზიდენტი სააკაშვილიც, რომლისთვისაც ეს ნიკოლა სარკოზისთან შეხვედრის წინ ერთგვარი მოთელვა იყო. „მაგნუმის“ ფოტოგრაფების თვალით დანახული საქართველო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ მნიშვნელოვანი საინფორმაციო გარღვევაა ევროპისათვის.

მართალია, კულტურის პოლიტიკის საგარეო შედეგები უზარმაზარი არ არის, მაგრამ იმდენად ხელშესახებია, საშინაოს ბევრად აღემატება. ამ თვალსაზრისით კი, თბილისის მერის მსგავსად, ჯაზის მოყვარულ ნიკა რურუასაც გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი აქვს.

ენტონი შადიდის "ღამე ახლოვდება"

„ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტმა ენტონი შადიდმა საერთაშორისო ამბების გაშუქებისთვის პულიცერის პრემია წელს მეორედ დაიმსახურა.

რუსუდან რუხაძე



თავისუფლებაზე მეტია hurriya, ნოსტალგია ვერ იტევს hanin-ს, მთლად კაბაც არ არის abaya – ეს ის სიტყვებია, რომლებსაც ენტონი შადიდი თვის წიგნში „ღამე ახლოვდება“ (Night Draws Near) არ თარგმნის ინგლისურად, არაბულადვე ტოვებს და მიახლოებით მხოლოდ ერთხელ განმარტავს ტექსტში. წიგნი ერაყზე, ომზე და თავისუფლებაზე, ღმერთზე და ადამიანებზეა. „ჟურნალისტიკა არასრულყოფილია, რაც უფრო მეტი იცის რეპორტიორმა, მით უფრო რთულია ამბის გადმოცემა და, ამ პროფესიის ბუნებიდან გამომდინარე, ნაკლებად ვახერხებთ ვწეროთ შესაბამისი სამართლიანობით“, – წიგნის შესავალშივე შადიდი გულწრფელად უბოდიშებს მკითხველს. „რამდენადაც მეტ ხანს ვრჩებოდი ერაყში, მით უფრო მიჭირდა მოვლენების აღქმა და გაგება. ხალხი, რომელსაც ვხვდებოდი, ხანდახან ერთმანეთს და საკუთარ თავსაც ეწინააღმდეგებოდა“, – ეს უკვე წიგნის დასასრულისკენ, მაგრამ მისი არც ერთი შიში არ გამართლდა. წიგნმა მოწონება დაიმსახურა, ავტორმა კი პულიცერის პრემია.

ბაღდადი მოგონებების ქალაქია – ამ ფრაზას ხშირად შეხვდებით წიგნში. თუკი სხვა ქალაქები თავიანთი ისტორიული ძეგლებით, არქიტექტურული შედევრებით იწონებენ თავს, თვალნათელი და ხელშესახებია მათი წარსული, ერაყის დედაქალაქი მისი მკვიდრების მოგონებებში ინახავს ისტორიას და ძველ დიდებას. ის ვერ ხედავს თავის წარსულს, მას მხოლოდ შეუძლია ახსოვდეს.

სოციალური ეთიკის პროფესორს დონალდ შრივერს თავის სტატიაში „ჟურნალისტიკა და დემოკრატიული მეხსიერება“ ერთი საინტერესო მაგალითი მოჰყავს: 1993 წელს ABC-ის რეპორტიორმა სერბ ჯარისკაცს ჰკითხა: „რატომ ებრძვით ბოსნიელ მუსულმანებს?“. პასუხად ჟურნალისტმა მიიღო: „იმისთვის, რაც მათ კოსოვოში გაგვიკეთეს“. არადა, ომი კოსოვოში 1389 წელს იყო, – იხსენებს პროფესორი და განმარტავს, რომ მეხსიერებას პოლიტიკოსებთან, რელიგიურ წინამძღვრებთან ერთად დიდწილად ჟურნალისტებიც აყალიბებენ და მეტიც, ისინი ისტორიის პირველ ვერსიასაც კი ქმნიან. ასეთი მეხსიერებისთვისაა ეს წიგნიც.

ენტონი შადიდი ოკუპაციამდე ჩავიდა ერაყში და იქ 2003 წლის მარტიდან 2004 წლის ივნისამდე დარჩა. ის ყველაფრის მოწმე გახდა – ნახა ომის მოლოდინი, შემზარავი შეტაკებები და მისი შედეგები ადამიანების თვალებში. „მე ყოველთვის ვგრძნობ თავს არაბად ამერიკაში და ამერიკელად არაბულ სამყაროში“ – არაბული წარმოშობის ამერიკელი ჟურნალისტისთვის ეს არის ეთიკის მთელი კოდექსი, რითიც ის ახერხებს ობიექტურობა შეინარჩუნოს. მთელი ხიბლი კი ისაა, რომ ობიექტურობა თანაგრძნობით წერას არ გამორიცხავს.

ერაყის ომი გარკვეული გამოწვევა და ახალი ეტაპი იყო მედიისთვის და ჟურნალისტებისთვის. კონკურენცია ახალი ამბების ბაზარზე საკმაოდ გაიზარდა და მართალაც დიდი პროფესიონალიზმი და ძალისხმევა იყო საჭირო, რომ შენ აერჩიე მკითხველს ერაყზე ამბების მთხრობელად. იქ მომხდარი ამბები კი არ ჟონავდა, არამედ ვრცელდებოდა თავად სამხედრო პირების მიერ სოციალური ქსელების მეშვეობით. ომის გაშუქებამ, ისევე როგორც თავად ომებმა, ფორმა და შინაარსი იცვალეს. პირველი მსოფლიო ომის დროს ფრონტზე საერთოდ არ შეუშვეს ფოტორეპორტიორები, მეორე მსოფლიო ომის დროს დაბეჭდვამდე ცენზურას გადიოდა ყველა მასალა, რათა არ გამოეწვია მოსახლეობის კომპრომისული განწყობა. ვიეტნამის დროს მედია უკვე რეგულარულად სთავაზობდა მკითხველს დახოცილი და დაჭრილი ჯარისკაცების ფოტოებს. ბოლო ათწლეულში კი ომები პირდაპირ ეთერში იწყება... ასეთ საინფორმაციო სივრცეში შადიდის წიგნი დამსახურებულად ხდება ერაყის ომზე ნამდვილი ამბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო.

„ამერიკელები მოვიდნენ როგორც

რვაშვილიანი ქვრივი კარიმასთვის საუკეთესო დღე ისაა, როდესაც არაფერი ხდება. მოხდენით კი ბაღდადში რამე თუ აფეთქდება და ვინმეს თუ დაკრძალავენ მზის ჩასვლამდე. „ცხოვრება არც ცუდია და არც კარგი, თამაშია მხოლოდ“, – ამბობს იგი.

განმათავისუფლებლები და იქცნენ დამპყრობლებად“ – ეს არის წიგნის მთავარი ღერძი. ბაღდადელები სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ იმას, რაშიც ერთსულოვანნი არიან: „სადამი ცუდი იყო, მაგრამ ის ერაყელი მაინც იყო“, „არ გვიყვარდა სადამი, მაგრამ არც ოკუპაციას მივესალმებით“, „ბევრს ველოდით ამერიკელებისგან და ვერაფერი მივიღეთ შიშის გარდა“, „გვინდა მმართველი, რომელიც არაბია“, „ჩვენ ვართ ისლამის მხარდამჭერები, არც სადამის და არც ამერიკელების“, „ისინი სადამის ჩამოსაგდებად მოვიდნენ და მის მსხვერპლებს გვებრძვიან“... ამ წიგნში ყველა გვერდზე ისმის ადამიანის ხმა და ყველა გვერდზე შეხვდებით ღმერთს – ღმერთი დაგვიფარავს, ღმერთი განსჯის, ღმერთი თუ ისურვებს, ღმერთმა იცის... ფატალიზმს, გაურკვეველი მომავლის შიშს, თავისუფლების წყურვილს, ცვლილების დაუოკებელ სურვილს, წყეული ქვეყნის განცდას ღმერთამდე მიჰყავს თითოეული ერაყელი და თანმდევია ძიებაც – რისთვის ისჯებიან, სად შესცოდეს...

წიგნში უხვადაა ისტორიული პასაჟები: ომი ირანთან, ქუვეითთან, დაპირისპირება ამერიკასთან, შიიტებისა და სუნიტების დაუნდობელი წინააღმდეგობა. დართულ ბიბლიოგრაფიას თუ ჩავხედავთ, ენტონი შადიდი ისტორიაში გასარკვევად სამეცნიერო ლიტერატურას ეფუძნება.

წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი – ომარი ბაღდადიდანაა და ლონდონში ცხოვრობს. იქიდან იწერება, რომ სამშობლოს შესახებ ამბების გაგებას ნაკლებად ახერხებს ინგლისური მედიის საშუალებით და ამიტომაც ყოველდღიურად უწევს „ალ-ჯაზირას“ ადევნოს თვალყური. ბრიტანული მედიის კონტენტ-ანალიზის შედეგად მკვლევრებმა გამოარკვიეს, რომ ერაყის ომის შესახებ სტატიები ყველაზე ხშირად შეიცავდა სიტყვებს: „ომი“, „ნავთობი“, „ერაყი“, „ბუში“. შესაბამისად, მოსახლეობის 44%, Pew research center-ის მონაცემების მიხედვით, იზიარებდა „ნავთობის თეორიას“ ერაყის ომის მიზეზებში. ბუნებრივია, ასეთი ტიპის გაშუქებაში დაიკარგნენ ადამიანები, სტატიები აცდა რეალობას. მაღალტირაჟიანი ჟურნალების ყდებზე ერაყის ომის შესახებ სათაურები და ილუსტრაცია ბუშისა და სადამ ჰუსეინის პერსონებამდე დადიოდა და ომმა დაკარგა მისი ნამდვილი გმირები, ადამიანები და ჯარისკაცები. მათ კი შადიდის წიგნში იპოვით.

ავტორი მადლიერებით იხსენიებს ყველა იმ ადამიანს, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გაუღო კარი და გულწრფელი იყო მასთან. „ისინი მენდნენ და გამიზიარეს წუხილიცა და იმედებიც“, – წერს შადიდი.

რვაშვილიანი ქვრივი კარიმასთვის საუკეთესო დღე ისაა, როდესაც არაფერი ხდება. მოხდენით კი ბაღდადში რამე თუ აფეთქდება და ვინმეს თუ დაკრძალავენ მზის ჩასვლამდე. „ცხოვრება არც ცუდია და არც კარგი, თამაშია მხოლოდ“, – ამბობს იგი, ომებში დაბრძენებული. მისი პატარა გოგო ამალი დღიურებს წერს, რომელიც წიგნის ერთ-ერთი წყაროა. ამალი წერს ძმაზე, რომელიც ჯარში მსახურობს, სიკვდილის შიშზე, შიმშილზე, უშუქობაზე, სკოლაზე, მაგრამ არა პოლიტიკაზე; ხანდახან განსაკუთრებული სასოწარკვეთით... ფატიმა კი მშობლიურ ქალაქს ველარ ცნობს: „ომმა შეცვალა ქალაქი, ხალხი აღარ სცემს პატივს ერთმანეთს, ჯუნგლებს დაემსგავსა აქაურობა, ბაღდადში 5 მილიონი ალი ბაბა ცხოვრობს“.

შაჰლა ექიმია და მისი „ბედნიერება“ ახლა იმით შემოიფარგლება, რომ შვილები არ ჰყავს. მისმა ბავშვობამ და ახალგაზრდობამ მუდმივ ომებსა და არეულობაში გაიარა: „მე ყოველთვის ვეუბნებოდი დედას, – კრიმინალი ხარ იმის გამო, რომ გვშობე. მე თუ უკეთეს ცხოვრებას ვერ შევთავაზებ ჩემს შვილებს, არასოდეს მოვავლენ მათ ამ ქვეყნად“.

მუჰამედ განი სკულპტორია, ბევრი იშრომა ბაღდადის თანამედროვე იერისთვის, დღეს კი აფეთქებების შედეგად მისი ქანდაკებების დეტალები ქალაქის ქუჩებშია მიმოფენილი, ნაწილი კვლავ მის სახელოსნოში დაბრუნდა. „ბაღდადი ლამაზი გოგოა, მაგრამ შელახული ტანსაცმელი აცვია. თმა გაწეწილი აქვს, თუმცა შინაგანად ისევ ძველებურად მშვენიერია“, – შეყვარებულია განი ბაღდადზე.

ჩარლზ პოლარდი კი ამერიკის არმიის სერჟანტია და უსამართლობად მიაჩნია, რომ „ჩვენი ჯარი საკუთარი სიცოცხლის ფასად სხვის ქვეყანას აშენებს“.

რა იცვლება ამერიკელთა ოკუპაციის შემდეგ ერაყში? – ზოგისთვის მეტი უსაფრთხოება, ზოგისთვის ყოველდღიურად სადილი შვილებს, ზოგისთვის მხოლოდ GQ-ს ახალი ნომერი ყურანის გვერდით და „ტერმინატორი 3“-ის და „მატრიცა 2“-ის პოსტერები ბაღდადის ქუჩებში. ერაყელებისთვის კი ფასი სულ სხვა რამეს აქვს – hurriya, რომელიც თავისუფლებაზე მეტია.

პოეტები და თალიბანი

ლაშა ბუღაძე, მწერალი

ორიოდე დღის წინ ერთ-ერთ რადიოარხზე ახალგაზრდა პოეტებისადმი მიძღვნილ გადაცემას წავაწყდი და, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად (ან მოდი, ასე ვთქვათ, ჩემი აზრით) ესენი სულაც არ იყვნენ პოეტები, მაინც ბოლომდე მოვუსმინე მათ საუბარს.

სრულიად უწიგნურ და საკუთარ თავში დარწმუნებულ პოეტებს რა გამოლევს საქართველოში, მაგრამ მხოლოდ ეგოცენტრიზმთან და გაუნათლებლობასთან რომ გვქონოდა საქმე, კიდევ რა გვიჭირდა – ჩვენ წინაშეა სოციალური პოეტის ახალი სახეობა: „პოეტი-თალიბი“.

ცხადია, აქ არ ვსაუბრობ მართლაც ნიჭიერ, საინტერესო და „დახვეწილ“ თანამედროვე ქართველ პოეტებზე, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ ამ მყვირალა ქოროსთან, თუმცა რა ქორო, ქორო კი არა, მთელი არმიაა! თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, რამდენი ადამიანი წერს საქართველოში ერთნაირად ხმაურიან ლექსს! გეგონება, – ყველას ერთი ავტორი ჰყავსო, – წერენ და წერენ ერთსა და იმავე თემაზე, ერთნაირად ბრაზობენ და ერთნაირად ღაღადებენ.

ერთ-ერთ უნივერსიტეტშიც გახლდით ამას წინათ, კვლავაც „პოეტი-თალიბების“ საღამოზე (მგონი, განგება დამცინის) და სწორედ იქ მივხვდი: ეს მელექსე ჯეელები (უმეტესად ბიძიობასა და ბავშვობას შორის გაჩხერილი ახალგაზრდა ბიჭ-კაცები), როგორც პოეტები, მხოლოდ ოთხად ოთხ თემას უტრიალებენ. ეს თემებია: ეკლიანი გზა და ღმერთთან დიალოგი (ნორჩი გალაკტიონის სტილში – წყენაშერეული ისტერიულობით); პოეტი – როგორც ჯვარზე გაკრული მესია; ღვინოში ჩატუმბული ცხოვრებისეული პრობლემები და, ცხადია, ქალები – ქალი, როგორც სატანა, ქალი, როგორც ანგელოზი... ვინც კი იქ იყო (ან რადიოგადაცემაში კითხულობდა), ყველა ერთსა და იმავეს ჩიოდა ლექსად: რომ ჯვარს აცვამენ, რომ სატანა-ქალებს უარს ეტყვიან, და რომ ულიარებელ გენიოსებად აღიარებს შთამომავლობა (ესეც გალაკტიონისგან).

გაუნათლებელი პოეტი (ანუ პოეტის ეს სახეობა) სამი ქართველი პოეტის პროდუქტია. ესენი გახლავთ: გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი და ლადო ასათიანი. თუკი რამეს კითხულობენ, მხოლოდ ამ პოეტების ლექსებს. ოღონდ, ცხადია, ამასაც უაღრესად ზედაპირულად. ეს ნაფტალიური მესიანიზმ-ეგოცენტრიზმი, მლაშე და „უკვერცხებო“ პატრიოტიზმი, ქალთა „უარმყოფელობა“ და ლოთობა სულ-სულ ამათგანაა. ოღონდ, თუკი გენიოსთა შემთხვევაში, დრამასთან გვქონდა საქმე (თუნდაც მათი ბიოგრაფიების გათვალისწინებით), აქ უკვე კარიკატურაც აღარაა. ესაა კარიკატურის კარიკატურა.

ღმერთო, თან რამდენს სვამენ! რადიოშიც სვამდნენ (ჭიქების ჭახუნის ხმა ისმოდა) და იმ საღამოზეც სვამდნენ, მე რომ ვიყავი. ხოლო რადიოწამყვანი გოგონა (ესეც პოეტი აღმოჩნდა ბოლოს – ამანაც წაიკითხა ერთი ლექსი: „შენ რომ გეგონა, არ გიყვარვარო“... – რაღაც ამის მაგვარი... თალიბი-პოეტი ქალები კიდევ ცალკე თემაა) ალაგ-ალაგ ლირიკულ სადღეგრძელოებსაც ამბობდა: „გოჩა (მგონი, გოჩა ერქვა მის ერთ-ერთ სტუმარს), ეს სიტყვები შენი ცრემლებია, შენი სულიდანაა გადმომდინარი, მე ასე მესმის, შენი ტკივილებია ეს“...

პოეტ-თალიბებს მსმენელ-თაყვანისმცემლებიც ბლომად ჰყავთ და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სრულიად გულწრფელი თაყვანისმცემლები – მსმენელ გოგონათა მრევლიანა.

არ დავმალავ, დიდი მოწონების მოწმე შევიქენი, დიდი ჭყივილების, ინტიმური და გაცხადებული ცრემლის... ანუ მათ ნამდვილად ვერ დავდებთ ბრალს ფარისევლობაში: მართლა მოსწონდათ. და ეს ბუნებრივიცაა: როცა დიდ პოეტად ითვლება, ვთქვათ, მუხრან მაჭავარიანი, სწორედ ასეთ პოეტურ-მსმენელურ მუშახელს იღებ.

და მაინც, შეიძლება არ დამეთანხმოთ, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ

კადრი ფედერიკო ფელინის ფილმიდან „ამარკორდი“

მთელი ეს სუროგატი დიდი უსექსობის შედეგია. როცა ქართველი პოეტი თავის ლექსში „ეკლიან გზას“ შეუდგება, ესე იგი, სექსი არა აქვს – ქართველი პოეტი (და არა მხოლოდ პოეტი და არა მხოლოდ ქართველი) მაშინ ხდება მყვირალა და აგრესიული, როცა გოგოები მოსწონს, ესენი კი ზედ არ უყურებენ... Voglio una donna! – ხომ გახსოვთ, ის ხეზე შემხტარი კაცი „ამარკორდიდან“ – სინამდვილეში, სწორედ ეს ამოუკითხავი მუდარა ისმის ამ ლექსებიდანაც... მსმენელთა მუშახელი კი ვერაფერს ხვდება, მხოლოდ ტირის და ტაშს უკრავს. ამ დროს კი სულ სხვა რამეა საჭირო...

ქართული ეპატაჟის დაბადება

რატი ამაღლობელი

როტერდამის პოეზიის ფესტივალზე ერთ ფრიად უცნაურ და ღირსშესანიშნავ ამბავს შევესწარი. სკანდინავიელი პოეტი ქალის შვილმა, 8-9 წლის მაგნუსმა, თუ არ ვცდები, ასე ერქვა ამ ბავშვს, როტერდამის დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში, სადაც მსოფლიოს მრავალი კუთხის პოეტი ერთმანეთს საქმიანად და ყალბად უღიმოდა, პოეტი-დედის ხანგრძლივი ძიების შემდეგ სრულიად მარტოდ შთენილმა პატარა მაგნუსმა, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ქართულად, ქალაქურად რომ ვთქვათ, აიღო და ჩაიჯვა.

თითქოს დიდი არაფერი, მაგრამ მაგნუსი სრულიადაც არ იყო ნეტარი ჩვილი. მას არც დღის ენურეზი (მოზარდის უნებლიე შარდვა) და არც სხვა რაიმე პრობლემა ჰქონია. იგი 8-9 წლის ჯანმრთელი, ლოყებღაჟღაჟა, ფიზიკურად ძლიერი, სკანდინავიელი მებრძოლი ვიკინგების ჩამომავალი მაგნუსი გახლდათ. მე მასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა მქონდა, მისი ინგლისური ყველაზე უკეთ მესმოდა და იმის გამო, რომ ბავშვის პოეტი-დედა ფესტივალის დაწყებისთანავე სერბ პოეტ კაცს დაუმეგობრდა, მაგნუსიც რეალურად ჩვენ ჩაგვბარდა.

ასე მოხდა თავისთავად, უნებურად.

მაგნუსის და ჩვენი, მისი ახლად შეძენილი მზრუნველების პრობლემაც ეს გახლდათ – მას სურდა დედა!

ფესტივალის ბოლო დღეს მაგნუსმა თავისი გამართული ინგლისურით, რომლის თითოეული სიტყვაც მესმოდა და შესაბამისად სიამოვნებას მგვრიდა ეს ფაქტი, საყოველთაო და ტრაფარეტული ფუსფუსი დაარღვია და განაცხადა: „მე ვარ მაგნუსი, ამის და ამის შვილი, იპოვეთ დედაჩემი და უთხარით, რომ ჩავიჯვი!“ მოვლენების სწრაფი და უცნაური განვითარების შემდეგ მე მივხვდი, რომ ეს იყო უზუსტესად გააზრებული აქტი, ასეთივე სიზუსტით შერჩეული დრო და ადგილი ბავშვის მიერ, რომელსაც დედასთან არათუ ყოფნის, არამედ უკვე მისი ხილვის იმედიც დაკარგული ჰქონდა. ეს არ იყო საქართველო, სადაც მსწრაფლ და მკვირცხლ გამოჩნდებოდა გულაჩუყებული ქართველი ქალი, რომელიც ბავშვისადმი სინანულის და ბავშვის დედისადმი ზიზღის ნარევი გრძნობებით გამოჰბანდა მაგნუსს მის ლოყებივით ღაჟღაჟა ტაკოებს. საქართველოც რომ არა, თავად დამოუკიდებელი მაგნუსი არ მისცემდა ამის უფლებას არავის, გარდა დედისა.

როტერდამის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალი გაისუსა. ასეთი ყურადღება აქამდე არც ერთ გამომსვლელს არ ღირსებია, როგორიც იმ წუთებში ჩემს ღირსეულ მეგობარ მაგნუსს.

ორგანიზატორებმა იმარჯვეს მობილურები, ეძებდნენ სერბს, ეძებდნენ მაგნუსის დედას! პოეტი-დედა რამდენიმე წუთში მართლაც გამოჩნდა. ფოიეში გაისმა ტაშიც. ეს ტაში, რასაკვირველია, მაგნუსს ეკუთვნოდა. მან დაიბრუნა დედა, და „ნაბიჯი“, რომელიც მაგნუსმა საამისოდ „გადადგა“, ნამდვილად ღირდა ამად.

რასაკვირველია ჩემთვის, და მხოლოდ ჩემთვის – თითქოს რაღაც მსგავსი ხდებაო ქართულ ლიტერატურაშიც. ქართული ლიტერატურული ეპატაჟიც ხომ, უმკითხველოდ, უტირაჟოდ, უჰონორაროდ, საზოგადოების მიერ მიტოვებულ, გაუდაბურებულ და ცარიელ სივრცეებში დაიბადა, როგორც თუნდაც უშნო და არაესთეტური აქტი, ყურადღების მოლოდინში მყოფი, რომ იგი – ესა და ეს არის, დიახ არის და ყველაფრის მიუხედავად, არსებობს, რომ მან შეიგინა, შეიფურთხა, გააფუჭა იმის მოლოდინში, რომ დაინახონ, აღიარონ და უთხრან მარტივი რამ – „მე გხედავ, შენ ხარ, შენ არსებობ“. საზოგადოების ტოტალურმა უინტერესობამ და უყურადღებობამ შვა ის, რაც დაუინტერესებლად, გაუაზრებლად, წაუკითხავად ასე აღიზიანებს უმრავლესობას.

ჩვენსა და მაგნუსს შორის კი განსხვავება ის არის, რომ მაგნუსმა მკაფიოდ და ზუსტად უწყოდა, რაც სურდა და მიზანსაც მიაღწია, ჩვენ...?

HUP HOLLAND HUP



სანდრო ნავერიანი

თორნიკე ლორთქიფანიძემ და ლევან ძნელაძემ მითხრეს, – პროგნოზებში პელე ხარო. ამას ვინ როგორ გაიგებს, კაცმა არ იცის და ამიტომაც ორი სიტყვით გეტყვით: ჩემთვის პელე და დღევანდელი ფეხბურთი ისე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც კალათბურთი და NBA. რთული გასაგები არ იქნება, მაგრამ ამასაც ვიტყვი: პელეს დროს ტინგიცაობა იყო, დღეს – ფეხბურთი; კალათბურთი ყოველთვის კალათბურთი იყო (და იქნება), NBA კი – კალათბურთი და კიდე უფრო მეტი.

პელე ჩემთვის იგივეა, რაც კალათბურთი, დღევანდელი ფეხბურთი კი – NBA.

ჰოდა, იმიტომაც არ მივაქციე ყურადღება, რო მათ თვითონ არ იცოდნენ, რას გულისხმობდნენ.

ორივე კარგი ადამიანია. მაგრამ ფეხბურთის ინჩი თუ იციან, ბინჩიმდე ჯერ არ მიუღწევიათ.

ეს ყველაფერი კი მნიშვნელოვანია, მაგრამ დღეს უფრო მნიშვნელოვანი რამე მოხდა – პირველად ვიგრძენი, რომ მუნდიალი დაიწყო...

სანამ ვინმე ამას წაიკითხავს, ოთხივე ნახევარფინალისტი ეცოდინება, ამიტომაც მე იმ ნახევარფინალისტზე ვილაპარაკებ, რომელიც უკვე ვიცი.

HUP HOLLAND HUP.

ძალიან ბევრი ფიქრობდა, რომ ისევ ბრაზილია იცეკვებდა სამბას კოინდარზე... სამბას კი იცეკვებენ, მარა სახლებში, კოპა კაბანას პლაჟებზე.

მალანდროები ისევ ისე გააგრძელებენ ფორთოხლით თამაშს და ოთხი წლის შემდეგ, 2014-ში ყველაზე დიდი შანსი სწორედ მათ ექნებათ.

ფარისევლური წარმატებები მათ.

ამ თამაშში იყო კიდევ ერთი გუნდი, ჰოლანდია, რომლის გამოვარდნის შემთხვევაშიც მე, უბრალოდ, ლამაზი ფეხბურთის გულშემატკივარი ვრჩებოდი.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო კრუიფ-რეპის ჰოლანდია, ან თუნდაც კლუვერტ-ბერკამპისა... და არც ვან ბასტენ-რაიკაარდ-გულიტისა. – ალბათ, სადმე შუაში გამომრჩა. მაგრამ ეს იყო ის ჰოლანდია, რომელსაც 88-ის შემდეგ ელიან მისი გულშემატკივრები.

88 წლის შემდეგ ჰოლანდიას არ ჰყოლია ისეთი ბრძოლისუნარიანი გუნდი, როგორიც დღეს. რა თქმა უნდა, ისეთი თამაშისთვის, როგორითაც დღეს ჰოლანდიელებმა ითამაშეს, მფრინავი ჰოლანდიელების სახელი ნამდვილად არ დაუმსახურებიათ, მაგრამ დღეს მე პირველად ვნახე ჰოლანდიელი ფეხბურთელები, რომლებიც მზად არიან ჩემპიონობისთვის.

ამ თამაშში შესამჩნევი იყო იმ ჰოლანდიელების შავი მუშაობა, რომლებიც არასდროს არ ჩანან კრუიფის, გულიტის და ბერკამპის ფონზე. კი, ამ თამაშში ყველაზე სანახაობრივად ჩანდა რობენის ფინტები, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი უკანა ზონა იყო; ზონა, რომელიც ჰოლანდიას ყოველთვის სუსტი ჰყავდა.

ისე გოლს, რომელიც ფელიპე მელოს ავტოგოლად ჩაუთვალეს, ინგლისში, ესპანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში და ა.შ. შემტევის სახელზე წერენ და სწორადაც იქცევიან, იმიტომ რომ გოლი, რომელიც სნეიდერმა შეაგდო, ჰოლანდიის გოლი იყო, და არა ავტოგოლი.

დიდი იმედი მაქვს, რომ ფინალში ევროპულ თამაშს ვნახავ, თუ არადა, ისიც კარგი იქნება.

ჰოსა ბრაზილიელი ხარ

გიო ახვლედიანი, ლონდონი

უეინ რუნი და ფაბიო კაპელო

ალბათ ძალიან კარგია, ბრაზილიელი ფეხბურთელი რომ ხარ. იმიტომ კი არა, რომ მაგარი ხარ, არამედ იმიტომ, რომ როგორღაც არ ჯავრობ ამაზე და დიდად არც მტკიცება გიწევს, – მაგარი ვარო.

ჰოდა, აი, ინგლისელი ფეხბურთელი რომ ხარ, დიდად სანერვიულო საქმეა, განსაკუთრებით, თუ ნაკრებში მიგიწვიეს და, ჯვარი გეწეროს, თუ ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდა.

სწორედ მანდ იწყება, რაც იწყება.

აუცილებლად თავს გაწირავ და იმის მტკიცებას დაიწყებ, რომ მაგარი ხარ. სიტყვით კი არ დაიწყებ – საქმით, იმიტომ, რომ სულ ელეთმელეთები გემართება, როდესაც სამლომიან მაისურს მოირგებ და ძველებური წესით იტყვიან, აი კაცი, უკვე კეპი მოიხვეჭაო. მერე კიდევ მინდორზე გახვალ, და კინაღამ მოკვდები, სანამ ღმერთო დაიფარე დე-

დოფლის სიტყვები ჩამთავრდება. სულ ჟრუანტელი დაგივლის და იფიქრებ, – როგორ დამაფასეს, ჩემი ერი დგას ახლა და მიყურებს, მე კი მისი სახელით საქმე უნდა გავაკეთოო. იმგვარი ჟრუანტელია, რომ ვერც იფიქრებ, რომ სხვასაც შეუძლია დაუაროს, იმასაც არ ფიქრობ, რომ ფეხბურთის სათამაშოდ მოსულხარ, არამედ სამშობლოს წინაშე ვალის მოსახდელად, და მეტი როდისღა უნდა მოინდომო კაცმა, თუ არა სამშობლოსადმი ვალის მოხდის ჟამს, მით უმეტეს, შენი ქვეყნის მთავარ მოედანზე ქვას აწერია – ინგლისი იმედოვნებს, რომ ყოველი მოქალაქე მოიხდის ვალს. ჰოდა, მონდომების და თავგანწირვის იმგვარი ტალღა მოგაწვება, რომ ერთი სული გაქვს, სანამ მსაჯი სასტვენს ჩაბერავს. იმგვარად მონდომებული ხარ, რომ აქამდე ისე არაფერი გინერვიულია. მილიონერი ხარ, შენი სურათები ყოველდღე გაზეთებშია, ცხოვრებაში შენს შვილიშვილებსაც არაფერი გაუჭირდებათ, არათუ შვილებს, მაგრამ აი, მაინც ნერვიულობ; ოლონდაც ინგლისელი ხარ და ამ ნერვიულობას როგორღაც მალავ, ფიქრობ, – ეგებ ბიჭებიც ეგრევე ნერვიულობენ, მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ თამაშის წინ ყველამ ძმურად გავამხნევეთ ერთმანეთი და პირობაც მივეცით, რომ არ გავტყდებით და რაც ვიცით და არ ვიცით, ყველაფერს მოედანზე დავდებთ, გულთან ერთად, იმიტომ, რომ ჩვენ ინგლისი ვართ. Demn it! ჩვენ ინგლისი ვართ, ჩვენ ფეხბურთი მოვიგონეთ, ჩვენ ერთმანეთის მხარში ამოდგომა ვიცით, ვიცით, გუნდი რა არის. მე კიდევ წელს საერთოდ მშვენივრად ვითამაშე, ამიტომაც დამიძახეს ნაკრებში? მსოფლიოს ყველაზე ძველ ნაკრებში. ჩვენი გამჩერებელი ვინ უნდა იყოს? ნახე, რამდენი ხალხი მოსულა ჩვენს სანახავად. მსოფლიოში არავის არ დაჰყვება იმდენი ფანი, რამდენიც ჩვენ. როგორ ვუყვარვართ! ღმერთო, რამდენი გვმართებს მათი, რამდენ ფულს ხარჯავენ ჩვენს დევნასა და ცქერაში. როგორ გვამხნევებენ და გვიმღერიან. ბაბუაჩემი! რა ამაყი იქნებოდა დღეს ბაბუაჩემი. უბრალო მაღაროელი იყო, კვირაში რამდენს იშოვიდა, და მაინც ახერხებდა, რომ ფული გადაედო საშაბათო თამაშისა და ერთი ტკბილი ფაინთისთვის. ნავი რომ ვუყიდე, კინაღამ გაგიჟდა. როგორ გაეხარდებოდა, ახლა რომ მიყურებდეს. ღმერთო, როგორ მეშინია, ამდენი ხალხი მიყურებს. რომ მიყურებენ იმის კი არ მეშინია, არც ამ მოწინააღმდეგის მეშინია. რაღაცას რომ ელიან ჩემგან, იმაზე ვღელავ. კი, ნამდვილად. რამე რომ ისე არ გამომივიდეს, ვინღა ვარ? რა იცი, ასეთი მნიშვნელობის სანაკრებო თამაშია. ეს უცხოელები ჩვენ ინგლისელობას საერთოდ არაფრად აგდებენ. ვითომ არავინაც არა ვართ. თან იოლად გამოსდით ყველაფერი, ჩვენ კიდევ – ყველაფერი რთულად. ჩვენ სამჯერ უკეთესები უნდა ვიყოთ, რომ მოვიგოთ. და რატომ? მე რა ვიცი, რატომ. მერე გაზეთებში გაგვლანძღავენ. დაგვცინებენ, – იდიოტები არიანო. ვითომ წინა დღეს არ გვადიდებდნენ. რა ჯანდაბაა, არაფერი ვიცი! ჩემს პოზიციაზე სუფთად უნდა ვითამაშო. დანარჩენი, კისერიც უტეხიათ. ჩემს პოზიციაზე თავს დავდებ, რომც წავაგოთ, ვერაფერი მითხრან. რამხელა პასუხისმგებლობაა ეს ნაკრები. ეს ჯიმიც როგორღაც ალმაცერად მიყურებს, მგონი, დიდად არ მოსწონს, რომ მე უნდა დამაზღვიოს. ვარჯიშზეც ეტყობოდა. მაგან თუ არ დამაზღვია, ჩათვალე, რომ გახეული ვარ. რა უბედურებაა ეს ნაკრები. უცნობი ბიჭები, სიმკაცრე. არა, მე ის მაინც უნდა შევძლო, რომ რაღაცნაირად სახე შევინარჩუნო. ინგლისი ვართ და იმიტომ გვაქვს ამხელა პასუხისმგებლობა. გუშინ მშვენივრად ვივარჯიშე... აჰა, დაიწყო. რა ჯანდაბაა, მუხლები შეშის ნაპობებივით მაქვს. ის მაინც დაეწერათ, მანამდე რომ ტრავმა მქონდა.

და აი, სწორედ ამ დროს გამოირკვევა, რომ რაც ამ თამაშისა იცი, ერთბაშად დაგავიწყდა.

თუ რატომ, ამოუცნობია. მგონი, იმიტომ, რომ ინგლისელი ფეხბურთელი ხარ.

ალბათ კარგია, ბრაზილიელი ფეხბურთელი რომ ხარ, იმიტომ, რომ რაც იცი და არ იცი, ყველაფერი ერთბაშად გახსენდება თამაშის დროს.

ლიბერალი

იკითხეთ
ლიბერალის
პორტალზე
www.liberali.ge

ბლოგი: მარიკა ქოჩიაშვილი

კოაქსილი აიკრძალა

3 დღის წინ საქართველოში კოაქსილის შემოტანა აიკრძალა. საქართველოში პრეპარატის შემოტანა 2003 წელს დაიწყეს, თუმცა, ნარკოლოგებმა მალევე აღმოაჩინეს, რომ ნარკომანებისთვის კოაქსილი ნარკოტიკად იქცა.



ფულტიმედია:

ბამოსღები 2010

ფულტიმედია:

ლარის გაუფასურება

ივნისში ლარი დოლარის მიმართ 10-ამდე ნიშნულით დაეცა. ბოლო 4 წლის განმავლობაში ეს ლარის ყველაზე მაღალი გაუფასურებაა. რატომ მოხდა კურსის ასეთი ვარდნა, რამაც მედიკამენტები და კვების პროდუქტები გააძვირა? სავალუტო პოლიტიკის შესახებ ეროვნული ბანკის დირექტორი გიორგი ქადაგიძე საუბრობს.

ვაშა, მეტროშენს!

კახა თოლორდავა

ერთხელ ტონინო გუერას მასტერკლასს დავესწარი. ბოლო დღეს მასტერკლასის მონაწილეებმა მოკლემეტრაჟიანი, საკმაოდ მარტივი ფილმისთვის სცენარის შექმნა გადავწყვიტეთ, რა თქმა უნდა – გუერას დახმარებით. ყველამ ჩვენ-ჩვენი სიუჟეტი შევთავაზეთ განსახილველად. ჩემი ამბავი თბილისის მეტროში ვითარდებოდა. როდესაც ამბავი ვუამბე, გუერას გაეღიმა და მითხრა: „ცუდი არაა ყმაწვილო, მაგრამ თქვენ ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვით, რაც ფილმის გადაღებას შეუძლებელს ხდის“. „რას გულისხმობთ?“ – შევეკითხე მე. „თბილისში ხომ მეტრო არ არის!“ – მიპასუხა მან. ზუსტად რამდენიმე წუთში ის გაოცებული გვიყურებდა მასტერკლასის მონაწილეებს და კიდევ და კიდევ გვეკითხებოდა, – „არ მატყუებთ? თბილისში მართლა არის მეტრო?“ ბოლოს, როგორც იქნა, დავარწმუნეთ. „ღმერთო ჩემო, – ამოიოხრა მან ღიმილით, – ყოველთვის მიყვარდა თბილისი, ახლა კი უფრო შემიყვარდა. მეტრო ნებისმიერი ქალაქისთვის განძია. საიდუმლოდ გეტყვით, რომ მეტრო თქვენი შემოქმედებითი მუხტის განმსაზღვრელია. მეტროში შეიძლება ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა მოხდეს!“ იმ დღეს ბედნიერი ვიყავი, რადგანაც გუერამ თქვა ის, რაშიც ადრეული ახალგაზრდობიდან ვიყავი დარწმუნებული.

თბილისის მეტრო უდავოდ დიდებული რამაა. ეს არც ირონიაა და არც გადამეტებული ხოტბა. ის სწრაფია, მოსახერხებელი, სუფთა და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ შესაძლებლობებით სავსე. ეს კი ყველაზე მთავარია. აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ის, სატრანსპორტო საშუალებასთან ერთად, შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი სივრცეც გახდება. ეს პროცესი, უკვე დიდი ხანია, დაწყებულია მსოფლიოს ძალიან ბევრ ქალაქში და როგორც ჩანს, დროის განმავლობაში სულ უფრო და უფრო მოიკრებს ძალებს. აი, საინტერესო ფაქტები მეტროში ხელოვნების არსებობისა: ნიუ-იორკს უკვე მეტროსადგურებში არსებული ხელოვნების ნიმუშების ონლაინ მეგზური აქვს ქრისტოდან როი ლიხტენშტაინამდე (http://www.nycsubway.org/perl/artwork), ნახეთ, საოცარი რამაა; სტოკჰოლმში, 100 სადგურიდან 90 სადგურში 140-მდე არტისტის ნამუშევარი არსებობს (http://www.flickr.com/photos/vargklo/sets/72057594140322750); პარიზის მეტრო ლამის ვიზუალური ხელოვნების მუზეუმია; ლისაბონის მეტროს ყ ვ ე ლ ა სადგური ადგილობრივი არტისტების ძალისხმევითაა გაფორმებული; იგივე ხდება მიუნხენში, სანტიაგოში, ტოკიოში, ლონდონსა თუ პრაღაში. ყველაფერი ეს სრულიად გასაოგნებელი სანახავია და ძალიან მინდა, თბილისიც რომ შეემატოს მათ რიცხვს. ერთ-ერთ წინა სტატიაში ვსაუბრობდი იმაზე, თუ როგორ აკლია თბილისს თბილისელების ხელი და ამ მხრივ თბილისის მეტრო გამონაკლისი ნამდვილად არაა. აქ ჯერ კიდევ სტალინის სუნი ტრიალებს და იტრიალებს მანამ, ვიდრე გადაწყვეტილებების მიმღები პირები თბილისელებს, განსაკუთრებით კი ქალაქის ახალგაზრდა არტისტებს არ მისცემენ იმის საშუალებას, რომ მათი კრეატიული ენერგია ქალაქს მოხმარდეს. თბილისი იცვლება და მისი მომავლის სახე დღესვე უნდა დავინახოთ, თუნდაც – ბუნდოვნად. ქალაქი არ უნდა შეუშინდეს რისკზე წასვლას და თამამ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ეს თამამი გადაწყვეტილებები ვიღაც იდიოტმა, მოხვეჭის სურვილით შეპყრობილმა დეველოპერებმა კი არა, თბილისელებმა უნდა მივიღოთ. ნამდვილად არ ვიცი, თუ როგორ უნდა მოხდეს ეს, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს შესაძლებელია.

„ყველაფერი მიედინება... ერთსა და იმავე ნაკადში ვერავინ შეაბიჯებს“... ეს სიტყვები პირველად თბილისის მეტროში ამოვიკითხე მომცრო ზომის წიგნში, რომელიც მთლიანად მეტროში ყოფნისას წავიკითხე ახალგაზრდობაში. ჰო, მთელი დღე მეტროს ვაგონში ვიჯექი და ჰერაკლიტეს ვკითხულობდი. ნუ მკითხავთ – რატომ. ვერ გიპასუხებთ. სამაგიეროდ, მეტროში კითხვის შედეგად მიღებული ცოდნა ნამდვილად დამეხმარა თუნდაც იმის გაცნობიერებაში, რომ რამდენადაც მნიშვნელოვანი უნდა იყოს რაღაც, იმ რაღაცას ახალი, თუ შესაძლებელია, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი რამ უნდა შემატო და შემდგომი ცვლილებისთვის შეამზადო. თბილისის მეტრო სწორედ ამ ახლის მისაღებადაა მზად. იმ შემთხვევაში, თუ სურვილი და თამამი ხ ე დ ვ ა იქნა. მანამდე კი აი, აქაც http://been-seen.com/index.php/articles/passport/creative-subways-around-the-world შეიხედეთ და იოცნებეთ. ჩემსავით.

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ
ᲞᲑᲔᲑᲘ
ᲕᲐᲡᲘᲙᲝ
ᲝᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ
ᲛᲐᲔᲡᲢᲠᲝ
ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ
23:00



www.sulakauri.ge

ახალი წიგნები



თუკი მოგვინდება ეს ტექსტი რომელიმე ლიტერატურულ ჟანრს მივაკუთვნოთ, არსებულებში ვერ ვიპოვით და წერისა და თვითგამოხატვის ამ ხერხს "ესეები არარსებული წიგნების შესახებ" ანდა სათაურშივე გამოყენებული "უცნობი წიგნები" უნდა დავარქვათ.

საქმე მარტო ის როდია, რომ ამ წიგნებში აღწერილი ოცი ლიტერატურული და ესეისტური ნაწარმოები არ არსებობს. ესეების მეშვეობით ვიგებთ, რომ ისინი ურთიერთციტირებებით , ალუზიებითა და ურთიერთგავლენებით მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. შედეგად, ოცივე ესე და, შესაბამისად, ოცივე წიგნი, რომელთა შესახებაც ესეები გვიყვება, მართალია არარსებულ, მაგრამ მაინც ერთ ლიტერატურულ და სააზროვნო სამყაროს ქმნის.

ორივე წიგნის შინაარსი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. განსხვავება არის იმდენად, რამდენადაც თვითონ ავტორი განასხვავებს ქართველ და უცხოელ მკითხველებს ერთმანეთისგან. თუკი გინდათ გაიგოთ, რაში მდგომარეობს ეს განსხვავება, წაიკითხეთ და შეადარეთ ერთმანეთს "უცნობი წიგნები ქართველებისთვის" და "უცნობი წიგნები საქართველოდან"

ფასი 11.90